140
1991/2

ISSN 0132 - 6007

# ცისკარი

2
1991



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერე რა, რომ ცხენის წელიწადი გასრულდა!





მანანა გელაშვილი

— არც არაფერი! თავის ნებიერებს ცხენი კვლავაც გაუწევს მფარველობას. არა გჯერათ? სულ ტყუილად...

აი, ამ გოგო-ბიჭებს, მაგალითად, ნიადაგ თავის გვერდით ეგულებათ კეთილი და, როგორც ყველა განბრძნობილი არსება, ოდნავ სევდიანი დიდმშვენიერი თეთრი ცხენი, რომელ მათგანსაც გინდათ, ჰკითხეთ, თვალის დაუხამხამებლად გიპასუხებენ, აბა რა, ახლაც თეთრი ცხენია ჩვენი მფარველი, ჩვენი უმრავლესობაც ცხენის წელს არის დაბადებული და ჩვენი თეატრიცო. მერე უფროსებს გადახედავენ და გაიღიმებენ. არა, ისე, მთავარი მფარველები საქართველოს მშვიდობის ფონდი და გაერთიანება „ივერია-კომპლექსი“ არიან; ცოტას დააყოვნებენ და —მაგრამ თეთრი ცხენი მაინც სხვა არისო... უფროსები კი, ამ საბავშვო თეატრის სულისჩამდგმელები, ალეკო თეთრაძე და ნანა ჭავჭანიძე, დააკონკრეტებენ პატარა მსახიობების ნათქვამს — ალბათ ამ ორი სპონსორის გარეშე ძალზე გაგვიჭირდებოდა ჩვენი თეატრის შექმნასთან და ფეხზე დადგომასთან დაკავშირებული ბევრი და. პირველ რიგში, ორგანიზაციული საკითხის გადაწყვეტა-მოგვარებაო. ხოლო ის, ვინც ერთხელ მაინც დაესწრება საბავშვო თეატრ „თეთრი ცხენის“ წარმოდგენას, თავისთვის უთუოდ იმასაც დასძენს, რომ თუ არა სულისჩამდგმელთა დიდი გატაცება, მოწადინება, ბავშვების სიყვარული და სურვილი — მათი სახით ქართულ თეატრს პროფესიონალი რეჟისორები და მსახიობები თუ არა, ნამდვილი მაყურებელი, თეატრალური ხელოვნების ჭეშმარიტი შემფასებელი მაინც აღუზარდოს, არც ეს ციცქნა თეატრი იარსებებდაო.

ქალაქში ხმა გავარდა — მ. დადიანის სახელობის ხელოვნების მუშაკთა სახლთან საბავშვო თეატრი იქმნებაო. ჩვენში ცეკვა-სიმღერისა თუ დეკლამაციის ნიჭით დაჯილდოებულ, მსახიობობაზე მეოცნებე გოგო-ბიჭებს რა გამოლევს და ლამის ყველა უბნიდან მოაწყდნენ მსურველები. რამდენი ბავშვის „გასინჯვა“ მოუხდა რეჟისორ ალეკო თეთრაძეს (ერთ-ორჯერ მთელი კლასი მოვიდა). რამდენი ლექსი თუ სიმღერა მოისმინა, რამდენი ცეკვა ნახა, ვიდრე საუკეთესოთა შორის ყველაზე საუკეთესოებს შეარჩევდა. ბარემ არ ემეტებოდა გასაწბილებლად პატარები, მაგრამ ზოგი აშკარად უფროსების მიერ თავსმოხვეულ სიყალბეს ვერ ძლევდა, ზოგს მუსიკალური სმენა ღალატობდა, ზოგი იბნეოდა, სხვები მორცხვობდნენ. ისე რომ, საბოლოო ჯამში მომავალ თეატრალურ დასში ჩასარიცხად თხუთმეტი ბავშვი შეირჩა და თხუთმეტივე ერთნაირი გატაცებით შეუდგა მუშაობას. საპრემიეროდ სპექტაკლი-მიუზიკლი „პ + პ, ანუ ტყეში ნუ დაიგვიანებ“ იყო შერჩეული (პიესის ავტორები — თემურ ჭანტურიშვილი და გია კაჭარავა, კომპოზიტორი — ჯოჯი მაღალაშვილი).

„პ + პ?!“... ნუთუ ვერ გამოიცანით? პეპი პლუს პალიკოო? არა, რას ამბობთ! აბა, დაუკვირდით: „პ + პ“! რაო პელე პლუს... ვინაო?! არა, არა, პრინციო? რაღა თქმა უნდა, პრინცი პლუს პრინცესა, დიახ, პრინცი პლუს პრინცესა. იმას კი ალბათ სულ იოლად გამოიცნობთ, რომ სპექტაკლში (რეჟისორი — ალეკო თეთრაძე, ქორეოგრაფი — თამაზ ვაშაკიძე, კოსტიუმების მხატვარი — ნინო ჩიტიაშვილი) სიყვარულზეა მოთხრობილი. ორი ხელმწიფე ვერა და ვერ შერიგებულა: სულ იმას ფიქრობენ, მეორეს როგორ აჯობონ. ერთ ხელმწიფეს ქალიშვილი ჰყავს, პრინცესა, მეორეს — ვაჟიშვილი, პრინცი. ჰოდა... ხომ გითხარით, ადვილად გამოიცნობთ-მეთქი, დიახ, პრინცსა და პრინცესას ერთმანეთი შეუყვარდებათ და... სწორია — „ბოროტსა სძლია კეთილმან“... თითქოსდა ყველასთვის ნაცნობია თემაც, სიუჟეტიც, სიტუაციებიც, ლამის ბანალურებიც კია, მაგრამ სპექტაკლის ყველა შემქმნელისა და მონაწილის ოსტატობაც იმაში გამოიხატება, რომ ყველაფერი ახლებურად, ორიგინალურად, თავისებურად არის გააზრებული, ხორცშესხმული, წარმოდგენილი. უნდა გენახათ, როგორ ღელავდა დიდი თუ პატარა პრემიერის წინ (გასული წლის 4 ივლისს) და როგორი ბედნიერი იყო ყოველი მათგანი პრემიერის შემდეგ! საინტერესო საბავშვო თეატრალური კოლექტივის ამბავი უმალ გახმიანდა და, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, პირველი აღიარების შემდეგ თეატრმა „თეთრმა ცხენმა“ მრავალი მიწვევა მიიღო — ზელენოგრადში მიმდინარე საბავშვო თეატრების საერთაშორისო ფესტივალზე, აშშ-ში... უეჭველია, ამ სახელმწიფოს შემოკლებული სახელწოდების გაშიფვრა არავის გაუჭირდება, დიახ, ბატონო, გასული შემოდგომის დამდეგს ჩვენი „თეთრი ცხენი“ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა იქაური საქველმოქმედო ორგანიზაციისა და, კერძოდ, მისი ხელმძღვანელების, ჯუდი ვუდროუფისა და დოროთი დაგლასის მიწვევით. ამ უდიდესი სახელმწიფოს 13 ქალაქი მოიარა ციცქნა ქართულმა თეატრმა 40 დღეში, 23 წარმოდგენა და 30 კონცერტი უჩვენა იქაურ მაყურებლებს. და, ალბათ, ყველა ეს ციფრი რომ გადაამრავლო ერთმანეთზე, იმდენ თავის თანატოლსა თუ მოზრდილ ამერიკელს გააგებინა, რომ დედამიწაზე არსებობს სახელმწიფო საქართველო, ამ ნიჭიერი, თვალმახარა გოგო-ბიჭების სამშობლო, რომელიც მისი თანმდევი ბედის უკუღმართობის გამო ბევრისთვის ჯერაც აღმოუჩენელი ქვეყანაა. უამრავი შეხვედრა ჰქონდათ ჩვენს ნორჩ მსახიობებს — საბავშვო თეატრ „ლითლ სიათრის“ დასთან, უბრალოდ, თავის თანატოლებთან, საქართველოს მეგობრებთან. „თეთრი ცხენი“ მთელი თავისი შემადგენლობით ქალაქ ჩატანუგას საპატიო მოქალაქეებადაც აირჩიეს, მერე „ჰეპი ჰელოუენში“ მონაწილეობის მისაღებადაც მიიწვიეს, გაზეთებშიც საქებარი სიტყვით მოიხსენიეს და სამომავლოდაც დაპატიჟეს აშშ-ში...

ახლაც იტყვით, რაკიღა ცხენის წელი გასრულდა, აღარც მისი მფარველობა ჰრისო?!

ყოველთვიური საყმაწვილო ჟურნალი
ნაკადული
გამოდის 1926 წლიდან
2 თებერვალი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



ნუგზარ
აფხაზავა
მხატვარი
იოსებ
სამსონაძე

ტილ-გაბუშტული ცხვირი ჰქონდა (დედა თუ ჰყავდა, ალბათ, ჩინელი ან იაპონელი). —ველი, ახლა ამ ოთახს რომ აკრავს გარშემო, შეუღწევადია ყოველი სახის ელექტრომაგნიტური ტალღისათვის. ასე რომ, თამამად შეგიძლია ილაპარაკო. გინდ აქ ყოფილხარ და გინდ წყნარი ოკეანის ფსკერის შლამში ღრმად ჩაფლულ ბატისკაფში მჯდარხარ. ჰა, ხმა ამოიღე, ხომ არ ჩავეძინა?



## თავი მეოთხე. ლარი ნიცშე

### 1. ორი შეთქმული

— მე ვარ! — ტელეფონის ყურმილი ლამის სანახევროდ ჩაიმალა ლარი ნიცშეს მარცხენა ხელის ტორში. მარჯვენაში საწერკალამი ეჭირა. — რა საკითხავია! აუცილებლად! დილის ნომერში! ბომბივით გასკდება? გასკდეს! კისერიც უმტვრევიათ! ერთმანეთიც დაუჭამიათ! მიდი, შეუბერე! — ყურმილი დაავდო, თითქმის დაახეთქა. მის წინ მაგიდაზე მდებარე ქაღალდის ფურცელი მიიწია და ტექსტის ზემოთ, მარცხენა კუთხეში, ირიბად წააწერა: „აიწყოს!" ხელი მოაწერა, თარიღი და საათი დაუსვა და მერელა ახედა მაგიდასთან მდგარ აწოწილ ქერა ჭაბუკს, მოლოდინში მოწიწებით რომ გარინდებულიყო. — ამას დავბეჭდავთ! — წარბები შეჭყარა და თავისი კეხიანი ცხვირის მეოხებით მთლად ქორს დაემსგავსა. — მაგრამ იცოდეთ და ერთხელ და სამუდამოდ დაიხსომეთ, რომ მეტ გამონაკლისს აღარ დავუშვებ! მასალა ადგილზე უნდა იყოს დაუგვიანებლად, ზუსტად დათქმულ დროს! გასაგებია? თუკი ჩვენი მუშაობის სტილი და რიტმი თქვენთვის არახელსაყრელია, მიბრძანდით, კარი ღიაა! ჩვენ ოპერატიული ჟურნალისტები გვჭირდება! ახლა თავისუფალი ხართ!

როცა ქერა ჭაბუკმა კარი გაიხურა, ლარი ნიცშე ოდნავ გადაიხარა მაგიდის კუთხეში მდგარი მინიატურული მონიტორისაკენ.

— ჟანეტ! — ხმადაბლა თქვა.

მონიტორის ეკრანზე მყისვე გამოჩნდა რედაქტორის მოადგილის მშვენიერი მდივნის მოღიმარი სახე.

— ჟანეტ, მე კაბინეტში არა ვარ!

მდივანმა თავი დააქნია და გაქრა.

ლარიმ მაგიდის კუთხეში ჩამონტაჟებულ ღილაკთაგან ერთ-ერთს თითი დააჭირა და სავარძლიანად შებრუნდა მარჯვნივ.

— ახლა მომიყევი, ედ!—მიმართა კაბინეტის კუთხეში, ვეებერთელა კომფორტულ სავარძელში მოსვენებით მჯდარ, ყავისფერი ტყავის ნაკეცებში თითქმის ჩაკარგულ ხმელ-ხმელ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც ჩინური თუ იაპონური თვალთა ჭრილი და ოდნავ ჩაჭყლე-

— კარგია ეს. — ამოიხვნეშა სავარძელში მჯდომმა. — გადავეჩვიე ასეთ კომფორტს და. მართალი გითხრა, ჩამთვლიმა კიდეც. — თითები ერთმანეთში ჩახლართა, გაატკაცუნა და მიმოიხედა, თითქოს აქამდე აქ არ მჯდარაო. — მშვიდ გარემოში ცხოვრობ, ნიც, მშურს შენი!

— ისემც რა გითხრა, მშვიდი ცხოვრება არა მქონდეს! ხანდახან საგიჟეთში მგონია თავი! — ხელი აიქნია ლარიმ. — ჰე, შეუბერე!

— ინებე! — ედიმ ხელები გაშალა. — გიხაროდეს: უკვე ხუთკაციანი რაზმი გვყავს — ტომსა და ჰარის ეზრა, არტური და მარი დაემატნენ. ისინი უკვე იქ არიან.

— სად „იქ"? — ლარი მკვეთრად გადაიხარა წინ. — იიქ?

— დიახ, დიახ, სწორედ „იიქ"! — გამოაჯავრა ედიმ.

— რანაირად?

— იმნაირად. მოხალისე ეზრა ლაუე...

— მოხალისე? — შეაწყვეტინა გაოცებულმა ლარიმ. — კი მაგრამ, როგორ მოახერხა?

— თეოდორა ო'ნილმა ჩაუწყო კარტი.

— თეოდორა ო'ნილმა? ბალერინამ?

— ყოფილმა ბალერინამ, — გაუსწორა ედიმ. — თავადაც იცი, ორი წელია, სცენაზე აღარ გამოდის. ახლა იგი კარმენისა და ჟანა დ'არკის ნაცვლად მეფის ფავორიტის როლს თამაშობს და, უნდა ითქვას, ძალზე ბუნებრივადაც. მაგრამ ერთ რამეს გეტყვი, ნიც: თუ შენ ყოველ სიტყვას გამაწყვეტინებ, ვერაფრის მოყოლას ვერ მოვახერხებ.

— ჰო, კარგი, კარგი. მუნჯი ვარ. მიდი, შეუბერე!

ედიმ ფეხი ფეხზე გადაიდო და ააქანავა.

— მაშ, ასე. ეზრა ლაუე, როგორც მოხალისე ელექტროინჟინერი და გამოცდილი სპეციალისტი, ბერგსონის სიგმატრონით გადაისროლეს. გუშინდელი დილიდან იგი უკვე კარიერშია. არტურ პასადენამ და მარი ბრედფილდმა ოპერაცია „პირამიდით" მიაღწიეს მიზანს, სხვა საშუალება მათ არ ჰქონდათ. ისინი ამ დილით შეუდგნენ მუშაობას. მარიმ იყოჩაღა — დილიდანვე გადმომცა მთელი გზის ვიდეოფონოგრამა.

— მართლა?!

— მართლა, და უნდა გამოვტყდე, რომ ამაზე საძაგელი, ამაზე აბაზრზენი რამ ჩემს სიცოცხლეში არ მი-


გაგრძელება. იხ. „ნაკადული" № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახავს. არც ვიცი. სახელად რა დავარქვა. ჰეშმარიტად, მხეცზე უმეტესი მხეცია ადამიანი.

— თანა გაქვს?

ედიმ საყვედურნარევი გაკვირვებით ახედა.

— ასეთი რამე ჯიბით რომ ატარო, ორი თავი უნდა გქონდეს, მისტერ ნიცშე! ერთს გეტყვი: საღამოს დავსხდეთ ჩემთან და ერთად ვუყუროთ. მერე, გამოსაფხიზლებლად, რუსულ არაყს დაგალევინებ.

— ეგრე იყოს, — დათანხმდა ლარი, თუმცა ეტყობოდა, საღამომდე დაცდა გაუჭირდებოდა. — ახლა ეგ მითხარი, რაკეტის საქმე როგორღაა? გაახერხე რამე?

ედის გულიანად გაეცინა.

— შემთხვევით ხომ არ დაგავიწყდათ, ვისთანა გაქვთ საქმე, მისტერ ნიცშე? ვიდრე თქვენ კორესპონდენტებთან დაობდით და ტირაჟის გაზრდისთვის იღვწოდით, ედუარდ როსტოკს დრო ფუჭად არ დაუკარგავს: რაკეტა უკვე გზაშია, სამ-ოთხ დღეში იგი ქარონზე დაჯდება, ქარონიდან კი...

— ოო, გენიალური ბიჭი ხარ, ედი!

ედი როსტოკმა კმაყოფილებით ჩაიხითხითა.

— ასე რომ, თუ საქმე ასევე კარგად წავიდა და ბედმა არ გვიმტყუნა, ორ-სამ თვეში მილიარდერები გავხდებით, ნიც! და აი, მაშინ შენ შეგეძლება, ბოლოს და ბოლოს, ჩამოშორდე ამ გიჟურ სამუშაოს, როგორც თავად უწოდებ ხოლმე ჟურნალისტობას...

— ჰო, ოღონდ ჯერ „სპააკ ენდ სტიქსს" ფარდა უნდა ავხადოთ და ცხვირ-პირი გავუსწოროთ, ედი! მთავარი ესაა და არა დოლარები! ცოტა რამ ხომ უკვე ვიცით ამ ფირმის შესახებ, — ლარიმ მძიმედ დაუშვა თავისი ვეება მუშტი მაგიდაზე („ვისაც მოხვდება, მართლაც ცხვირ-პირს გაუსწორებს". — გაიფიქრა ედიმ). — მაგრამ ისიც კი, რაც ვიცით, სავსებით საკმარისია, ამ ურჩხულის განადგურება რომ გადაწყვიტოს კაცმა!.. შენ კი, შენ რას უზამ შენს მილიარდს, ედი?

— ჯერ არ გადამიწყვეტია. ეგ კია, რომ აუცილებლად თავს გავანებებ კარატეს მასწავლებლობას. მომბეზრდა...

— ვიცი, ეს შენი დიდი ხნის ოცნებაა. მიდი, შეუბერე! — ლარი სავარძლიანად შებრუნდა მაგიდისკენ, ხელი გასწია და ცისფერ ღილაკს თითი დააჭირა. მაშინვე მონიტორის ეკრანზე მდივნის მოღიმარი სახე გამოჩნდა. ეტყობა, დადარაჯებული იყო. — მიკითხა ვინმემ, ჟანეტ?

— დიახ, მისტერ ლარი. — ჟანეტის ლაპარაკს ფრანგული აქცენტი დაჰკრავდა. — მისის ელენ როსიმ დაგირეკათ, თანაც ორჯერ. გთხოვათ, დაუყოვნებლივ დაუკავშირდეთ. შეგაერთოთ, მისტერ ლარი?

ედი როსტოკი წამოდგა. ახლა იგი წელანდელივით ახალგაზრდა აღარ ჩანდა, კაბინეტის პატრონის კბილა იქნებოდა დაახლოებით.

— ჰო, ახლავე შემაერთეთ. — ლარიმ ცერად გახედა ედუარდს, მერე ტელეფონის აპარატზე გადაიტანა მზერა, აშკარად შეეტყო მოუსვენრობა. — რაღაც მოხდა, თორემ ელენი არ დარეკავდა, პირველს არასოდეს დაურეკავს, არც ადრე, არც შემდეგ. — ხმადაბალი ზუმერი მოისმა. ლარი სწრაფად დასწვდა ყურმილს. — მე ვარ, ელენ. მოხდა რამე?.. რაო?!.. როდის?.. ამ დილით?.. კარგი, მოვდივარ! — ყურმილი ფრთხილად დადო თავის ადგილას. ხელები მაგიდაზე დაალაგა. ედი განცვიფრდა — ლარის თითები უცახცახებდა.

— რა მოხდა, ნიც?!

ლარი ნიცშეს თავი არ აუწევია, საკუთარ ხელებს დასჩერებოდა და დუმდა.

ედიმ სკამი აიღო, მაგიდის მეორე მხარეს დადგა და პირისპირ დაუჯდა გახევებულ მეგობარს.

ლარიმ თავი ასწია, ბეჭები შეარხია და... უცნაურად გაიღიმა:

— სტივი... სტივენ როსი ხომ გახსოვს? ჩემი მეგობარი ჟურნალისტი... ერთი პირობა კარატესაც ასწავლიდი. უთუოდ გეხსომება...

— მახსოვს, ნიც, მერე?

— ელენისთვის, ცოლისთვის, დაუბარებია: დასავლეთს მივემგზავრებიო. თვითონ კი „სპააკ ენდ სტიქსის" ნიუ-იორკის კანტორაში მისულა.

— ოპერაცია „პირამიდა"?

— ჰო.

— მაშასადამე...

— მაშასადამე, ახლა ისიც იქ არის, ედი!

## 2. ჰელენა (დასაწყისი).

### 3. 1 + 1 = 1.

ლარი ნიცშე ისმენს სტივენ როსის უკანასკნელი წერილის ჩანაწერს. მასთან ერთადაა ელენი — სტივის ცოლი.

საქორწინო მოგზაურობისას სტივენ როსი და ლარი ნიცშე თავიანთ მეუღლეებთან — ელენ შერბერგერთან და ჰელენა რაიტთან ერთად ავტოკატასტროფაში მოჰყვნენ. „ბიუიკმა" ფრთა გამკრა მათ „ტოიოტას" და გადააბრუნა იგი. ქალები დაიღუპნენ. ექიმებმა ჰელენას ტვინი ელენს გადაუნერგეს...

### 4. დოქტორი სპააკი

მეგობრები ერთად გამოეწერნენ. ელენ-ჰელენა ერთხანს კიდევ უნდა დარჩენილიყო ჰოსპიტალში, ბევრ რამეს უნდა შეჰგუებოდა ახალგაზრდა ქალი.

შუა შემოდგომა იდგა. ნოტიო ჰაერი სველი საბანივით დამძიმებულიყო, სმოგი აწვა თავს ვეება ქალაქს. ერთფეროვან რუხ მასად ქცეულიყო ცა და დედამიწა.

— რა უნდა ვქნათ ახლა? — ულრან ტყეში რომ გზა აერევა, იმ მგზავრივით იკითხა სტივმა.

— არ ვიცი, — მწრები აიჩეჩა ლარიმ. — უნდა დავიცადოთ.

— იცოდე, რაც უნდა მოხდეს, ამ ამბავმა ჩვენს ურთიერთობაზე არ უნდა იმოქმედოს, გესმის?

— არ ვიცი, — გაიმეორა ლარიმ. — ვნახოთ.

ერთხანს უბრად მიაბიჯებდნენ. მოულოდნელად ლარი ნიცშე ისე შეჩერდა, თითქოს ხეს თუ კედელს შეეჯახაო. ხელი ყელში იტაცა და ამოიგმინა.

— რა მოგივიდა?! — შეშფოთდა სტივენი და მკლავში წაეტანა. — გეტკინა რამე?!

ლარიმ შუბლზე აისვა ხელი და თავი მოაბრუნა.

— ამდენი ხანია თავს ვიმტვრევ, სტივ, და... აი, უცებ გამახსენდა... აქამდე როგორ... თითქო შავი ფარდა ახადესო გაჩახჩახებულ სცენას... იცი, ვინ დაგვღუპა მე და შენ, ვინ იჯდა იმ „ბიუიკის" საჭესთან?

— ვინ?

— დოქტორი სტაფორდ ჯონ სპააკი, სტივ!

●

დოქტორი სტაფორდ ჯონ სპააკი.

ოქროსხელება ქირურგი.

იდუმალი დოქტორი სპააკი.

საოცრებებს ჰყვებოდნენ მასზე: ნებისმიერ ოპერაციას აკეთებსო, არნახული, გაუგონარი პროფესიონალიაო, საოცრად ზუსტი, უტყუარი და სწრაფი ხელი აქვს, გულის, ფილტვების, თირკმლების გადანერგვაში ბადალი არა ჰყავსო. საკუთარი კლინიკა ჰქონდა, მხოლოდ მილიონერებსა და სენატორებს მკურნალობდა, საარაკო ჰონორარებს იღებდა და მალე იმოდენა კაპიტალი დააგროვა, როკფელერების მთელ დინასტიას შეშურდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



და აი, ამ კაცს, ვისი საქმეც აგრერიგად ჰყვაოდა, ხოლო ქონება უდუღდა და გადმოსდიოდა, წინ ახალბედა ჟურნალისტი ლარი ნიცშე გადაუდგა.

ლარიმ სრულიად შემთხვევით შეიტყო, რომ დოქტორი სპააკი მეორე, იატაკქვეშა ცხოვრებითაც ცხოვრობდა. შეიტყო და მკლავები დაიკაპიწა, ძირისძირობამდე ჩაჰყვა და ჩაუღრმავდა ამ ამბავს.

ვერაფრით ვერ შეაჩერა სტივენმა. ვერაფრით ვერ აალებინა მეგობარს ხელი განზრახვაზე. „აკი აქეთ მარიგებდი: ჩხვლეტია თემებს მოეშვი, ვეშაპებსა და ზვიგენებს ნუ ეჭიდებიო“, — ახსენებდა მისსავე ნათქვამს. „ეს — შენ, თორემ მე მაგარი ვარო, — იცინოდა და მუშტებს კუმშავდა ლარი, — მე ვერაფერს დამაკლებენ, ვერ გამტეხენ, ბუზსაც ვერ ამიფრენენ, იქით მიფრთხილდნენო“.

ჰოდა, თავისაზე დადგა და თავისი გაიტანა.

სპააკი თურმე სწორუპოვარი ქირურგ-კოსმეტოლოგიც იყო, და რა გამოირკვა: მისი კლიენტები მხილებული და სისხლმისხილი, საპყრობილიდან გაქცეული განსაკუთრებით საშიში დამნაშავენი, განგსტერები, მანიაკები, მაფიოზები იყვნენ, სკალპელით, მაკრატლით, პინცეტით, ბეწვახერხითა და ბიოლოგიური წებოთი ისე ოსტატურად უცვლიდა ადამიანს იერსა და ხმის ტემბრსაც კი, რომ დედა შვილს ვერ იცნობდა და ცოლი — ქმარს.

მისი შემოსავლის ძირითადი და უმთავრესი წყარო სწორედ იატაკქვეშა პრაქტიკა ყოფილიყო თურმე.

და აი, ახალგამოჩეკილმა, ჯერ კიდევ უსახელო ჟურნალისტმა, ვილაც ლარი ნიცშემ საქვეყნოდ ამხილა ოქროსხელება ქირურგი და სასამართლოს კართან მიიყვანა იგი.

ჯერ ნიუ-იორკის შტატის, მერე კი ქვეყნის უმაღლესმა სასამართლომ სამუდამოდ აუკრძალა ყოველგვარი საექიმო პრაქტიკა დოქტორ სტაფორდ ჯონ სპააკს.

●

ამ ამბიდან ზუსტად ერთი წლის თავზე მისწვდა სპააკის დადარაჯებული შურისმაძიებელი ხელი ლარი ნიცშეს.

მისწვდა, აწყობილი ცხოვრება დაუნგრია, გაუუკუღმართა და მყისვე გაუჩინარდა თვალსაწიერიდან. ველარავინ გაიგო, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ. პოლიციამ ვერც შავი „ბიუიკის“ ასავალ-დასავალი დაადგინა. მანქანა ისე გაქრა, ვითომც თავის ზვინში შეყოლილი პაწია ნემსი ყოფილიყოს. არა და, სწორედ ის იქნებოდა წინასწარგანზრახული დანაშაულის უტყუარი მამხილებელი საბუთი. სხვა რამ ხელჩასავლები კი, გარდა „ბიუიკისა“, არაფერი არსებობდა, და რაკი ვერც ის იპოვეს, პოლიციამ ხელი ჩაიქნია და განზე გადგა.

ცხოვრება ნელ-ნელა დგებოდა კალაპოტში. ელენჰელენა და სტივენი ერთად ცხოვრობდნენ და ახლა უფრო მეტადაც კი უყვარდათ ერთმანეთი. ხოლო ლარიმ, არ იქნა და არა, ვერ ამოიღო გულიდან ჰელენა და მისი სიყვარული, ალარც ცოლი შეურთავს.

და აი, ამ ორი წლის წინათ ნიუ-იორკში უცებ გაჩნდა ფირმა, რომელსაც უცნაური სახელი ერქვა: „სპააკ ენდ სტიქს“. მალე სოკოებივით ამოიზარდნენ მისი ფილიალები ფილადელფიაში, დალასში, ცინცინატში, ლოსანჯელესში... ფირმა უცნაურ სამსახურს უწევდა თავის კლიენტებს (თვითმკვლელებს) — ამ ქვეყნიდან უხმაუროდ და უმტკივნეულოდ გამგზავრებაში ეხმარებოდა. მათ საფასური, როგორც გამოირკვა, სავსებით ასატანი იყო.

ლარის ეჭვი გამართლდა — ფირმის პატრონი თვით სტაფორდ ჯონ სპააკი გამოდგა და არა მისი მოგვარე.

და ლარი ნიცშე დაუყოვნებლივ შეუდგა მოქმედებას.

— ძალიან გთხოვ, თუ ხათრის ნატამალი გაქვს, ძველ ამბებს ნუ გაიხსენებ, ლარი!

ლარი მოულოდნელობისაგან შეკრთა კიდეც: დუმილი იმდენად გაჭიანურდა, იმის იმედიც კი გადაუწყდა, რომ ჰელენა ოდესმე ხმას ამოიღებდა.

— ხმაც იგივე შეგრჩენია...

— აკი გთხოვე! — ცივად შეაწყვეტინა ქალმა.

— მაპატიე.

— ამ ათ წელიწადში თუ რამე შეიცვალა, მხოლოდ ის, რომ უბედური სტივი ახლა გაცილებით უფრო ძლიერ მიყვარს, ვიდრე ოდესმე მყვარებია. მე მინდა, იცოდე და გახსოვდეს ეს.

ლარიმ ისეთი ძალით დააჭირა კბილი კბილს, საფეთქლები ეტკინა. ყელს მომდგარი გმინვა შეიკავა და სახეზე მძიმედ ჩამოისვა ხელი.

— რისთვის დამიძახე, ჰელენა?.. ელენ... ამისათვის? — თავი მაგნიტოფონისკენ გადააქნია. — მხოლოდ ფირის მოსასმენად?

— ეს ის სპააკია, ლარი?

— ის არის.

— არ სცდები?

— გამორიცხულია.

— სტივმა არ იცოდა ეგ?

— რა მოგახსენო... ალბათ, არა.

— არ დაეჭვდა მაინც?

— იცი, რა... მე, თითქმის ათი წელია უკვე, სტივენი არ მინახავს... შენ უკეთ უნდა იცოდე. ხუთი თითივით იცნობ მის ხასიათს. ასე არ არის?

— ჰო, ვიცნობ. ნუ ბრაზობ, ერთი მითხარი, ლარი... ოდესმე შენთვის რომ მოემართა, დაეხმარებოდი?

— არ მოუმართავს.

— დაეხმარებოდი?

— უნდა დავხმარებოდი?

— მგონი კი... ახლა ერთიც... თავის მოკვლა თუ უნდოდა, დამბაჩას ვერ იშოვნიდა?

— იშოვნიდა, ალბათ, მაგრამ... იცი, რას გეტყვი, ჰელენა... ელენ... შენ სულ ტყუილად გამოიტირე სტივი, გესმის?

— მე შენ... ხომ გთხოვე... და ნუ დამცინი, ლარი!

— არ დაგცინი, სავსებით სერიოზულად ვამბობ.

ელენმა ფეხები ჩამოუშვა სავარძლიდან.

— მური გინდა იძიო, ლარი? ანკი რისთვის? თანაც, ჩემი უბედურება არ მეყოფა? შენც ნახე, რა, დრო და სიტუაცია შურისძიებისათვის!

— მომისმინე...

— მორჩი, ლარი!

— არ ვხუმრობ-მეთქი, გეუბნები! სტივი ახლა პლუტონის თანამგზავრ ასტეროიდზე იმყოფება. არის ასეთი ასტეროიდი, ქარონის ახლოს, ნომერი S=2113, სახელად სტიქსი.

— ლარი!

— ასეა-მეთქი.

ელენმა ხელები გადაიჯვარედინა, საკუთარ მხრებს ჩაეჭიდა, დაიძაბა, ცახცახის შეკავება თუ უნდოდა.

— ღმერთო... — ჩაიჩურჩულა.

ლარი დუმდა, უნდოდა, გონს მოსულიყო.

— როგორ თქვი? სტიქსი, ხომ?.. მგონი ქვესკნელის, ჰადესის მდინარეა, არა?

— ჰო. პლუტონი ხომ იგივე ჰადესია... უფრო ზუსტად — ჰადესის მეუფე. ჰოდა, სტივი ახლა იმ ასტეროიდზეა.

— ლარი... დარწმუნებული ხარ?

— სავსებით. თუკი, რა თქმა უნდა, გზაში გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა

ელენმა ხელები მუხლებზე დაილაგა. წინ გადაიხარა.

— რა შეიძლებოდა მომხდარიყო?

— ჯერჯერობით მთლიანად არ ვიცი, როგორ და რა გზით ხდება „თვითმკვლელის" გადასროლა დედამიწიდან სტიქსზე. არ ვიცი, მაგრამ ამაღამ ზუსტად შევიტყობ. ამ ოპერაციას კოდური სახელი — „პირამიდა" ჰქვია. ერთი რამ ცხადია: „სპააკ ენდ სტიქსს" უახლესი, სრულყოფილი, მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით გაწყობილი უნიკალური აპარატურა აქვს, რომელიც თითქმის მთლიანად ავტომატურია. ამიტომ ფირმის ნიუ-იორკის კანტორას, მაგალითად, სულ სამი კაცი ემსახურება: ფირმის აგენტი ბერტ კასენი, რომელსაც შენ იცნობ, და ოპერატორები კენტ დევისი და ჰანს კოიმანი. თვით ოპერაციაში მათ გარდა, ალბათ, ერთი სამიოდე კაციც მონაწილეობს. ეს არის და ეს.

— რამდენადაც ვხვდები, ეს ფირმა მარტო სტივისთვის არ დაუარსებიათ.

— ცხადია. ასტეროიდ სტიქსზე ახლა ორასამდე „მიცვალებული" მუშაობს.

— რას აკეთებენ ისინი იქ, ლარი?

— იმავ გზით წავალ, რა გზითაც სტივი წავიდა. აი, იმან... ბერტ კასენმა ხომ დიდსულოვნად შემომთავაზა ფირმის სამსახური. ოღონდ კი მოვისურვო...

— კარგი, — დაეთანხმა ლარი. — ოღონდ შემპირდი, რომ უჩემოდ ამას არ გააკეთებ. თავი შეიკავე, ვიდრე მე არ გეტყვი.

— რატომ?

ლარიმ დააპირა განემარტა, მე და ჩემს მეგობრებს ეჭვი გაგვიჩნდა, რომ სტიქსზე „პაციენტის" გადასროლას მისი ფსიქიკური „დამუშავებაც" თან ახლავსო, მაგრამ გადაიფიქრა. რადგან არტურ პასადენასა და მარი ბრედფილდის გაგზავნის ამბავიც უნდა მოეყოლა და ისიც უნდა ეთქვა, რომ თითო პაწაწინა ელექტროდმა. რომელიც არტურსა და მარის კეფაზე ჰქონდათ მიმაგრებული, როგორც ჩანს, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც შეასრულა ანტიტელეპათიური ეკრანის მოვალეობა.

— ამას სხვა დროს აგიხსნი, ახლა კი მაპატიე, მეჩქარება... ელენ... — ძალა დაატანა თავს ლარიმ. — მპირდები, ხომ? დიდხანს არ მოგიწევს ლოდინი.

— კარგი, ასე იყოს.



— ეს ასტეროიდი თითქმის მთლიანად ნაირლითონებისაგან შედგება. დიდი რაოდენობითაა თითქმის სუფთა ურანი, თორიუმი, კობალტი, ვანადიუმი, ნიკელი, ხალასი პლატინა... რა ვიცი, უამრავი რამ. მოპოვებული ნედლეულის თვითღირებულება მინიმალურია — მუშახელი ხომ, ფაქტობრივად, მუქთია. ფირმა კოლოსალურ მოგებას იღებს.

— ღმერთო...

ოთახში სიჩუმემ დაისადგურა. ლარიმ საათის მანათობელ ციფერბლატს დახედა. წასვლის დრო იყო.

— ლარი!

— გისმენ.

— თუ იცი, მტკივნეულია?

— რა?

— აი... ოპერაცია „პირამიდა".

— არ ვიცი. მგონი, არა. აკი იძლევიან გარანტიას.

— ლარი, მე უნდა წავიდე!

ქვეშეცნეულად მოელოდა ამას ლარი ნიცშე.

— სად? — მაინც ჰკითხა.

— სტივთან! — გაისმა პასუხი და ლარი მიხვდა, რომ ქალის გადაწყვეტილება მტკიცე და საბოლოო იყო.

— შენ გგონია, ასე ადვილია იქ მოხვედრა?

— გმადლობ, ნუ გამაცილებ, თვითონ ვიპოვი კარს. ელენს, ეტყობა, არ გაუგონია.

### თავი მეხუთე

## ჰადესი (დასაწყისი)

### 1. თეოდორა

თეოდორა ო'ნილი სტაფორდის ფავორიტია. იგი ფრიად დავალებულია შეფისაგან.

ის, რომ ტომ ჰარისონმა ჯიმ კროიდერის ბარში აგინა დოქტორი სპაკი, შეფის ყურამდე მისულა. ჰარისონი დააპატიმრეს. დაიწყო სტიქსზე მომუშავეთა (ყველა მოხალისისა და ყველა ცოდვილის) შემოწმება. ეჭვქვეშაა თეოდორაც. სწორედ ამ დროს ინახულა იგი მისმა ბავშვობის მეგობარმა, ერთ-ერთმა შეთქმულთაგანმა. კარატეს მასწავლებელმა ირენ სევიჯმა.

თეოდორას უკვირს, რომ სტაფორდი მუდამ შავ სათვალეს და თეთრი ნატის ხელთათმანებს ატარებს...

### 2. კარატეს მასწავლებელი

სტიქსის ცაზე (თუ ამას ცა ერქვა!) სამი მნათობი ნათობდა — პლუტონი, მისი თანამგზავრი ქარონი და შორეული მზე. სამივე ერთად სავსე მთვარის მაგივრობა-



საც კი ვერ სწევდა, მაგრამ საიმისოდ კი კმაროდა, რომ ახლომდებარე რელიეფი გაგერჩია: ახორხლილი ტინები, ღარები და შვერილები დაგენახა და კისერი არ მოგეტეხა. მაგრამ კაცი რომ გეცნო, მუზარადი მუზარადზე უნდა მიგედო და თან მახვილი მზერაც უნდა გქონოდა. ედუარდ როსტოკი მზერის სისუსტეს არ უჩიოდა, მაგრამ კარიერში მოფუსფუსე სკაფანდროსნები ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, ირენის ცნობა გაუჭირდებოდა, არათუ, ვთქვათ, სტივენ როსისა, რომლისთვისაც, აგერ უკვე რამდენი წელია, თვალიც არ მოუკრავს.

ედიმ საათს დახედა. ჯერ კიდევ იყო დრო.

მოასწრებენ ჰარი ლეიდენი და არტურ პასადენა ტომ ჰარისონის გამოხსნას?..

კარგად გამოიყენა ლარიმ ინტერპოლი. იმათ გარეშე ალბათ გაჭირდებოდა ბერტ კასენისა და კენტ დევისის დაყოლიება. რა სწრაფად მოტყდნენ! ჭეშმარიტად დიდი ძალა აქვს დედამიწის სფეროს ფონზე გადაჯვარედინებულ ორ მახვილს! მაგათ კი არა, უკეთეს ვაჟკაცებსაც შეუცვლიდა ფერს.

ჰქვიანურად მოიქცა ლარი, თვითონ რომ არ წამოვიდა სტიქსზე. ჯერ ერთი, ასტორიაშიც ხომ საჭიროა მაგარი კაცი — იქნებ იქ გამოიჭირონ ეს ბილწი სპააკი. გარდა ამისა, ასე რომ არ ექნა, ელენი ნაღდად რაღაცას აუტეხდა თავს. მაინც, რა საოცრებაა ამათი ურთიერთობა... საოცრება კი არა, საცოდაობა...

მხარმარცხნივ ვიღაც სკაფანდროსანი დალანდა ედიმ. ბურღი შემართა, წელანდელ განაბურღში საჭრისს თავი შეაყოფინა და ჩართო, თან თვალი იმ სკაფანდროსნისკენ ეჭირა. იცოდა, რომ ამ კარიერში მარტო სტრონგ ჰოილია საშიში — სპააკის თვალ-ყური და დროებით ტომ ჰარისონის შემცვლელი. დანარჩენები ფსიქიკურად სანახევროდ გამოთიშული **ცოდვილები** არიან, ვერაფერს რომ ვერ დაგიშავებენ, რობოტებივით მარტო მადნის მოპოვებაზე, ძილსა და საკვების მიღებაზე რომ არიან დაპროგრამებულები.

ლანდმა გეზი იცვალა და თვალს მოეფარა.

დიდი თავხედი ვინმეა ეს სპააკი! იმოდენა სკანდალს გადაურჩა (გადარჩენაა, აბა რა, მარტო საექიმო პრაქტიკის აკრძალვას რომ გაკმარებენ!) და ახლა უარესი ავანტიურა წამოიწყო. ადამიანის გაუმაძღრობას მართლაც არ აქვს საზღვარი. მაგრამ გაუმაძღრობა — გაუმაძღრობად, მთავარი ისაა, ამნაირი მუშახელის გამოყენება რამ მოაფიქრა! სადისტია ეს ოხერი, ასპროცენტიანი მანიაკია!

მაგრამ მორჩა, ახლა ისეთ ბადეშია მოყოლილი, ისეთი ხაფანგი აქვს დაგებული, ველარაფერი უშველის. ელექტრული სკამი არ ასცდება.

თუმცა... თუ ოპერაციის ბოლომდე ასტორიაში მისი ადგილ-სამყოფელი ვერ დავადგინეთ, შეიძლება ხელიდან დაგვისხლტეს კიდეც. მერე მოდექი და სდიე ნამცეცა ასტეროიდს უკიდეგანო კოსმოსში!

მაგრამ ირენს ისეთი იმედი აქვს ამ მარი ბრედფორდისა, წარმატებაში ეჭვიც არ ეპარება. ისე კი... [illegible] ღმერთმანი, არ ვისურვებდი იმ ქალის ქმრობას, რომელსაც უიარაღოდ, მარტოდმარტო, მხოლოდ და მხოლოდ შეხედვით კამარის შესაკრავად შემართული ვეფხვის შეჩერება შეუძლია!..

რა დიდებული რამ არის ეს ბერგსონის სიგმატრონი! ოცნებასავითაა: წელან, წამის წინ, დედამიწაზე რომ იყავი, ახლა აქა ხარ, კიდევ ერთი წამის შემდეგ კი შეგიძლია სირიუსის რომელიმე თანამგზავრზე ამოჰყო თავი! ნუთუ ამაზედაც არ შეჩერდება ადამიანის გონება? არა და, სანამდე ივლის?..

აღარ გავიდა დრო?..

ვიდრე საათს დახედავდა, ედის მუზარადში მსუბუქი ტკაცუნი გაისმა და ირენის ხმამ იკითხა:

„ედი, მისმენ?“

„გისმენ, ირენ!“

„კაშკაშა ცისფერ ნათურას ხედავ?“

„ვხედავ“.

„ბაგირს გამოჰყევი, გეზი იმ ნათურისკენ გეჭიროს. მთავარი ბლოკის შესასვლელთან მოგიყვანს, იქ გელოდებით“.

„მოვდივარ!“

„იჩქარე!“

ედიმ ბურღი მოისროლა, შემობრუნდა და... უცებ ცხვირწინ ტანმორჩილი სკაფანდროსანი დაინახა. წელანდელი ლანდი იყო ალბათ, ირენთან ლაპარაკში ისე წამოპარვოდა, არაფერი შეუტყვია.

სკაფანდროსანმა ნაბიჯი გადმოდგა, ფეხის წვერებზე აიწია და მუზარადი ლამის მიადო ედის მუზარადს. როსტოკმა ბუნდოვნად გაარჩია დაჭყეტილი თვალები, გაბუშტული ცხვირი და უცნაურად მოცმაცუნე ტუჩები. ეტყობა, ტანმორჩილი სკაფანდროსანი რაღაცას ლაპარაკობდა და ედიმ უცებ იაზრა, რომ თუ ეს კაცი რიგითი ცოდვილი კი არა, არამედ სტრონგ ჰოილი იყო, იგი უეჭველად მაშინვე მიხვდებოდა, ვინ იდგა ახლა მის წინაშე: ჰოილისა და ცოდვილთა მუზარადების რაცია ხომ ერთ დიაპაზონში მუშაობდა, და იგი, ვინც ეს არ იცოდა, უთუოდ მტერი იქნებოდა. ედი როსტოკი სწრაფად გახტა მარჯვნივ და დროულადაც — სკაფანდროსნის ხელში ცივად იელვა რაღაც წვეტიანმა საგანმა, ხიშტმა თუ მახვილმა. ედიმ იცოდა, რომ ქინძისთავის ოდენა ნახვრეტიც კი სიკვდილის ტოლფასი იყო. ამიტომ მოპირდაპირეს მეორე მოქნევა აღარ დააცალა, წამის მეათედში ერთ კუნთად შეიკრა, შეხტა და ელვისებურად მოქნეული ფეხის ქუსლი ისეთი ძალით დააჯახა სკაფანდროსნის მუზარადს, რომ ზემტკიცე ორგანული მინა ნამსხვრევებად იქცა. სტრონგ ჰოილი — ედი არ შემცდარა, ეს მართლაც ჰოილი იყო — გუტაპერჩის თოჯინასავით მსუბუქად ამოტრიალდა, ჯერ თავით დაეცა ტინს, მერე კი პირაღმა გადავარდა და გაქვავდა.

ედი აღარ შეყოვნებულა, ბაგირს ხელი წაატანა, უსიცოცხლო სხეულს გადაალაჯა და, რამდენადაც სკაფანდრი საშუალებას აძლევდა, სწრაფი ნაბიჯით გასწია მთავარი ბლოკისაკენ. შესასვლელი აქვე იყო, ოთასიოდე მეტრზე: მის თავზე ცივად კაშკაშებდა ცისფერი ნათურა.

### 8. პირველი დარტყმა

მთავარი იყო, ჯიმ კროიდერს არ გადაჰყროდნენ — სპააკის რწმუნებულს, მის მარჯვენა ხელს, ბარის მეპატრონეს. ჯიმი იყო ერთადერთი კაცი, ვინც ყველა თანამშრომელს სცნობდა სახითა და ხმით. მაგრამ ირენმა დანამდვილებით იცოდა, რომ ჯიმ კროიდერი და მეო-

რე ფსიქოლოგი ჯონ ვაინფორდი სარდაფის ბლოკში ცოდვილთა ინდექსების გაშიფვრით იყვნენ დაკავებულნი, სავარაუდო ცნობით, თვითონ სპაკი ამჟამად ქარონზე იმყოფებოდა, მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდებოდა და ისიც — რამდენიმე წუთით: მაშინვე თეოდორასთან ჯანმარტოებას, სიგმატრონით დედამიწაზე გამგზავრებას აპირებდა (თუ ბოლო მომენტში არ გადაიფიქრა). თუმცა, სპაკთან შეხვედრა არც იყო საშიში, იგი პირადად თითქმის არც ერთ თავის თანამშრომელს არ ხვდებოდა და, ცხადია, არ იცნობდა მათ. კაცმა რომ თქვას, შეფთან შეხვედრის ოცნებით მაინცდამაინც არავინ იკლავდა თავს, რადგან ხმები დადიოდა, ვინც მისი კაბინეტის ზღურბლს გადააბიჯებს, უკანვე გამოსვლის იმედი დერეფანში უნდა დატოვოსო. ასეა თუ ისე, ირენი, აგერ უკვე მეორე წელია, აქ არის, მაგრამ შეფისათვის ერთხელაც არ მოუკრავს თვალი. სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით მას ერთი ვარაუდი გაუჩნდა, რომელიც მეგობრებსაც გაანდო. მაგრამ ამ ვარაუდს შემოწმება უნდა...

თვით ჯიმ კროიდერსაც კი, ზურგიდან რომ შეეხედა მეორე სართულის დერეფანში მსუბუქი ნაბიჯითა და უზრუნველი საუბრით მიმავალი მარისა და ირენისათვის, ეჭვიც არ შეეპარებოდა. ორივენი ფირმის თანამშრომლები, კომპიუტერის პროგრამისტები არიანო. ქალებს მოხდენილი, ტანზე სპორტული კოსტიუმივით მორგებული სპეციალური ლურჯი კომბინეზონები ეცვათ და ძალზე საქმიანად და მშვიდადაც გამოიყურებოდნენ (თუმცა, ირენი ხომ მართლაც იყო ფირმის შტატიანი თანამშრომელი). აი, რაც შეეხება ოციოდე მეტრით წინ მიმავალ შავტანსაცმლიან მამაკაცს, მისი მნახველი ჯიმ კროიდერი ნამდვილად დაეჭვდებოდა: შავი კომბინეზონი ბრიგადირების უნიფორმა იყო, გარდა ამისა, მათ სიარულიც დამახასიათებელი, გამორჩეული ჰქონდათ — დინჯი, მოზომილი. ის კაცი კი იმ დაძაგრული ვეფხვის მოქნილი და ნერვული ნაბიჯით მიდიოდა, მსხვერპლს კვალში რომ ჩასდგომია და ყოველ წამს მზად არის ნახტომისათვის. არც გასაკვირია — ეს ედუარდ როსტოკი იყო, და იგი მართლაც ისე გრძნობდა თავს, როგორც ნადირის კვალში ჩამდგარი იარაღშემართული მონადირე.

თაღოვანი დერეფნის მარჯვენა მხარეს ალაგ-ალაგ კარები იყო დატანებული. ყოველი კარის თავზე ხუთი ნაირფეროვანი ნათურა ენთო, ოღონდ სხვადასხვა კომბინაციით განლაგებული. ედიმ, ის იყო, იფიქრა, ამ მიმოგრეხილ დერეფანს ბოლო არ ექნებაო, რომ, როგორც იქნა, ერთ-ერთი კარის თავზე სწორედ იმ კომბინაციით განლაგებული ნათურები დაინახა, რომელიც ირენმა ასწავლა: თეთრი, წითელი, მწვანე, ლურჯი და ნარინჯისფერი. ედიმ მოიხედა, და როცა ირენმა თავი დაუქნია, კარს ერთი ნაბიჯით გასცდა და იქვე კედელს აეტუზა. ახლა ამ ოთახში ედუარდ როსტოკის დაუკითხავად ძეხორციელი ვეღარ შევიდოდა.

— მარი... — ხმადაბლა, თითქმის ბაგეების გაუხსნელად დაიჩურჩულა ირენმა.

მარი ირენს ზურგსუკან ამოუდგა და ისე აეკრა, ლამის ერთ სხეულად იქცნენ. ირენი აუჩქარებელი ნაბიჯით მიადგა კარს, გულისჯიბიდან ხუთკუთხა ჟეტონი ამოიღო და საჭვრეტს მიუახლოვა. კარი დაიძრა, განზე წავიდა, კედელში უხმაუროდ შეძვრა, ერთმანეთს შეტყუპებული ირენი და მარი გაატარა და მყისვე თავის ადგილს დაუბრუნდა.

ქალები პატარა, საგაზეთო კიოსკისხელა, გაჩახჩახებულ ცარიელ ოთახში აღმოჩნდნენ. ჭერი ლამის თავზე აწვათ — საშუალო ტანის კაცი ხელით მისწვდებოდა. მოპირდაპირე კედელში იატაკიდან ჭერამდე ტურნიკეტი იყო ჩადგმული.

„გავძვრებით? — დაეჭვდა მარი და მაშინვე თავი დაიმშვიდა: — გავძვრებით".

— პაროლი! — მკაცრად დაიყღრიალა უჩინარმა რობოტმა.

— ფარაონი და სფინქსი! — მყისვე მიაგება ირენმა.

გაისმა დაბალი მელოდიური ზუმერი. ურთიერთშეტყუპებული მარი და ირენი ტურნიკეტის სექტორში შევიდნენ და მშვიდობიანად გააღწიეს მეორე მხარეს, თითქმის ისეთსავე მოცუცქნულ ოთახში, როგორიც პირველი იყო. ოღონდ ამ ოთახში სხვადასხვა ფერის ღილაკებით, კლავიშებითა და ნათურებით აჭრელებული ლითონის მაღალი თხელი კარადა იდგა — ეტყობა, სწორედ ეს იყო გუშაგი რობოტი. მის წინ, მოპირდაპირე კედელში, კვადრატული ნიშა მოჩანდა. სქელი მინის მიღმა მაღალი ძაბვის ელექტროამომრთველის მსგავსი ბერკეტი ილანდებოდა. ირენმა შარვლის უკანა ჯიბიდან მინიატურული ლაზერონი* ამოიღო, რომელსაც ჩვეულებრივი სანთებელასაგან ვერ გამოარჩევდი, და ფაქიზად ამოჭრა ნიშის დამცავი მინა.

— მარი, აქ მოდი, — ჩურჩულით მოიხმო, თუმცა, რომ ეყვირა კიდეც, ამ ბეტონის კუბიდან გარეთ ხმა მაინც ვერ გააღწევდა. — აი, ამ ბერკეტს ხელი წაავლე და, როცა გეტყვი, ღონივრად გამოსწიე შენკენ. ოღონდ არ დამასწრო, იცოდე! — გააფრთხილა, თვითონ რობოტის უკან შეძვრა. მცირე ხანს რაღაცას საქმიანობდა იქ, საჭირო ღილაკს თუ ეძებდა, მერე სანახევროდ გამოძვრა და ხმადაბლა შესძახა: — ჰე!

მარიმ ღონივრად გადმოსწია ბერკეტი და წამით თვალებიც კი დახუჭა, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ამომრთველმა გაიტკაცუნა ოდნავგასაგონად, ეს იყო და ეს. თუმცა, არა, თვალი რომ გაახილა, დაინახა: „კარადაზე" ყველა ნათურა ჩამქრალიყო, და მარი მიხვდა — ახლა ეს რობოტი კი არა, ჯართის გროვაღა იყო მხოლოდ.

ირენი შუა ოთახში დადგა, ორთაბრძოლაში გამარჯვებულ მოჭიდავესავით ორივე ხელი მაღლა შემართა და სამურაის ყიჟინა დასცა:

* ლაზერონი — სხივური (ლაზერის) იარაღი (ფანტ.)



ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჲააა!
მერე უცებ დასერიოზულდა:
— შენი ჯერიც დადგა, მარი! ფსიქოველი გამორთულია, დაცვა — გათიშული. კიდევ ცოტა ხანიც და — კარიერებში არეულობა დაიწყება. მისტერ პირველი ფსიქოლოგი აქვე, ამ კედლის იქით ბრძანდება, — მარიმ ჩაიფრუტუნა. — მოუთმენლად გველოდება, ალბათ. მაშ, მოდი, ედის დავუძახოთ და საქმეს შევუდგეთ!
ტურნიკეტი ახლა თავისუფლად ტრიალებდა ვერტიკალური ღერძის გარშემო.

### თავი მეექვსე. ჰადესი (დასასრული)
### 1. N—Y. DA—126. SES

„შეფ!
არის ყველა საფუძველი ვივარაუდოთ, რომ სიგმატრონით არაერთგზის უსარგებლიათ თქვენი ნებართვის გარეშე. ამას ადასტურებს, კერძოდ, ენერგიის ანომალიური, კოლოსალური ხარჯი. ჩემი აზრით, საქმე გვაქვს აღურიცხავი ტელეროტაციის, სულ ცოტა, ოთხ შემთხვევასთან მაინც.
შეფ!
ოცი წუთის წინ კარიერში, თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მოჰკლეს კარიერის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი სტრონგ ჰოილი.



ჩემი ღრმა რწმენით, უბედური შემთხვევა გამორიცხულია.
მკვლელობის მიზეზია მუზარადის მინის მთელი წინა ნახევარსფეროს ჩამსხვრევა, რასაც, ცხადია, სკაფანდრის დეჰერმეტიზაცია მოჰყვა. მინა, როგორც ჩანს, მყარი საგნის ძლიერი დარტყმითაა ჩამსხვრეული.
ჩემი გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ ყოველი ბლოკის შესასვლელთან ანთია ცისფერი ნათურა. არ ვიცი, იქნებ ეს თქვენი განკარგულებითაა გაკეთებული.
ველი თქვენს ინსტრუქციას.

აგენტი WL-2"

### პ. გამოღვიძება

**ცოდვილ სტივენ როსის, რომელსაც აქამდე გონება დაბინდული ჰქონდა, აზროვნების უნარი უბრუნდება — აღარ არსებობს ტელეპათიური ველი...**

### ჟ. დუელი

ასე ოდესღაც კავალერისტები სჩეხავდნენ მტერს — გაჭენებული ბედაურის კისრისკენ წახრილნი, მხარიდლივ სხივილით მოქნეული ხმლით; ედუარდ როსტოკის ნახტომი ელვას ჰგავდა, გაშლილი ხელის გვერდული დარტყმა — მეხის დაცემას. ლაზერონი იატაკზე დავარდა და გასრიალდა, მაღალმა ძვალტყავა კაცმა კი ყრუდ დაიღმუვლა, მარჯვენა მხარზე ხელი იტაცა და იმავე სავარძელში ჩაიკეცა, საიდანაც წამის წინ წამოიჭრა. ზუსტად ამდენივე დრო დასჭირდა ირენსაც, რომ საოპერატოროში მყოფ მეორე ზორბა მამაკაცს გასწორებოდა — იაგუარივით ისკუპა, ქუსლით მზის წნულში მისწვდა, ჰაერშივე შემოტრიალდა და მსხვერპლს, რომელიც უკვე პირქვე ვარდებოდა, მარჯვენა ხელით კისერში, კეფის ფუძესთან, სასიკვდილო დარტყმა მიაყენა.
ყველაფერი ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ მარიმ გახძრევა კი არა, გაკვირვებაც ვერ მოასწრო ბოლო როცა გონს მოეგო, ტკივილისაგან სახედამანჭული ძვალტყავა უკვე სავარძელზე იყო დაკრული.
ირენი ნელი ნაბიჯითა და ბაგეებზე შეყინული დამცინავი ღიმილით მიუახლოვდა ძვალტყავას, წინ დაუდგა და თვალებში ჩახედა.
— რაო, მისტერ ალან ლი კეისი, დასრულდა თქვენი საინტერესო მოღვაწეობა, ხომ?
— ირენი... მის ირენ შერვუდი... — ბუდეებში ჩაცვივნულ-ჩაკარგული თვალები ლამის გადმოუცვივდა კეისს. — თქვენა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ვარ, მისტერ ალან. მაგრამ, თქვენი ნებართვით, არა მერვული, არამედ სევიჯი, და არა მის, არამედ მისის, რადგან ის ახალგაზრდა კაცი, რომელიც თქვენს უკან დგას და ყოველ წამს მზად არის, რომ კისერი მოგიგრიხოთ ან თავი წაგაცალოთ, ჩემი მეუღლე გახლავთ — მისტერ ედუარდ ერნსტ როსტოკი. ვიმედოვნებ, მშვიდად იქნებით და არ იცელქებთ, არა, მისტერ ალან?

კეისი ულოხოდ მიესვენა სავარძლის საზურგეს.

— რაღას ელოდებით, შეგიძლიათ ახლავე გამათავოთ, — თქვა ჩავარდნილი, ბედს შერიგებული კაცის ხმით. — სულერთია, ჩემგან ვერაფერს შეიტყობთ, მისის შერვ... სევიჯი. თქვენ ძე მიცნობთ. — და თვალი დახუჭა.

— არა, მისტერ კეისი. — თავი გააქნია ირენმა. — ასე არ გამოვა. დახვეწილი ჯენტლმენის, ინტელიგენტისა და ასპროცენტიანი ამერიკელისაგან ამას არ მოველოდი: მე ჯერ თქვენთვის ჩემი მეგობარი ქალიშვილი არ წარმომიდგენია, თქვენ კი ძილს აპირებთ. არა, ასე არ გამოვა. — გაიმეორა ირენმა. — მარი, გეთაყვა, წამოიღე ის სკამი და მოდი აქ. აი, ასე, გეთაყვა. გთხოვთ, იცნობდეთ ერთმანეთს, ლედი მარი ბრედფილდი: მისტერ ალან კეისი, „სპააკ ენდ სტიქსის“ პირველი ფსიქოლოგი. გაახილეთ თვალი, მისტერ ალან, უხერხულია, ბოლოს და ბოლოს!

არცთუ ლამაზი, მზით გახუნებული უდაბნოს ქვიშის ფერი თვალები ჰქონდა მარი ბრედფილდს, თანაც ოდნავ გადმოკარკლული, რაც მის საკმაოდ დახვეწილნაკვთებიან, სანდომიან სახეს, ცოტა არ იყოს, ეშხს უკარგავდა. გუგების ორივე მხარეს თეთრონებზე თხელი ნაცრისფერი ჰორიზონტალური ხაზი ჰკვეთდა. მაგრამ მთავარი ამ უცნაურ თვალებში სხვა რამ იყო: პატრონის განწყობილების და, ეტყობა, სურვილის შესაბამისადაც გუგები ხან ფართოვდებოდა, ხანაც ქინძისთავის ზომამდე პატარავდებოდა ხოლმე. ჯერ ხომ, თავისთავად, ეს მოქმედებდა ადამიანზე მომნუსხველად, მერე კიდევ ის, რომ თავისი დაჟინებული, გამყინავი მზერით მარი ბრედფილდი შენივე თვალებიდან შენსავე არსში სრულიად დაუბრკოლებლად შემოდიოდა, ძირისძირობამდე გწვდებოდა და ისე ადვილად ამოგიბრუნებდა სულს, ვითომც სვიტერის სახელო ყოფილიყოს.

— თვალი გაახილე და შემომხედე, ალან კეისი!

ედუარდ როსტოკს ტანში გასცრა. იგი ვერასდროს და ვერასგზით ვერ წარმოიდგენდა, რომ შეიძლებოდა ადამიანის, მით უმეტეს — ქალის ხმას ასეთი ცივი და ლითონისებური, მართლაც რომ ფოლადისებური ელერადობა ჰქონოდა.

კეისიმ თვალი გაახილა. ერთი კი შეხედა მის წინ მჯდომ წელგამართულ, თავაწეულ მკაცრ ლედის, თავი სილაგაწნულივით შეუქანდა, თვალებზე ხელი აიფარა და კი არ იყვირა, შეჰკივლა:

— არა! არა! არა!

ეს ისტერიკა იყო.

— მზერა გამისწორე, ალან კეისი! — იმავე ხმით, თითქმის დამარცვლით მოითხოვა მარიმ. — სულერთია, გამჭოლ "გხედავ!

და „სპააკ ენდ სტიქსის“ პირველი ფსიქოლოგი თვინიერი ბავშვივით დაემორჩილა ბრძანებას.

— შენ გძინება, ძალიან გძინება, კეისი! შენ ძალზე დაიღალე, ალან, და დასვენება გჭირდება! მშვიდად იყავი, ნურაფრისა გეშინია, კეისი! შენ მეგობრებს შორის ხარ, ალან! შენ უკვე იძინებ! გძინავს! გძინავს!

დასასრული მომდევნო ნომერში



# საქართველოს მომავლის სახელით

ნინო ხარაზიშვილი

დღეს საქმე ისე მოგვეწყო, რომ უკვე ხვალის საერთაშორისო კავშირებზე ფიქრობს საქართველო, ასე რომ, თანამედროვეობის ელემენტარული მოთხოვნა — ევროპული



ენების ცოდნა — უკვე იქცევა ჩვენი ყოფის აუცილებელ პირობად. ახლანდელ ყმაწვილებს გაუმართლათ წინა თაობებთან შედარებით; უცხოეთთან კონტაქტები სულ უფრო ინტენსიური ხდება. ახალგაზრდებს შესაძლებლობა ეძლევათ, ევროპაში მიღებული მაღალი განათლებით გამოადგნენ თავიანთი სამშობლოს ხვალინდელ პრობლემებს. ამ სანუკვარი მიზნისკენ ანგარიშმიუცემლად მრავალი წლის მანძილზე ისწრაფვოდა საქართველო. თუმცა, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ. ევროპასთან ამგვარ თანამშრომლობაზე ლაპარაკს მიამიტურ ოცნებად მოგინათლავდნენ.

მე ვიცნობ ფრანგ გოგონას, რომელიც უკვე მეხუთე თვეა, თბილისში ცხოვრობს. 17 წლის სესილი ნავერგონი თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლის XI კლასში სწავლობს და მასწავლებლებს აოცებს თავისი შრომისმოყვარეობითა და მიზანსწრაფულობით. ამ მოკლე ხანში შესამჩნევად გაიწაფა ქართულში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლებისაგანაც იღებს სათანადო კონსულტაციებს. ფრანგულად არასგზით არ დაგელაპარაკება. ენაში წავარჯიშების შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებს, თუნდაც ეს ტელეფონით სულ უცნობ ადამიანთან ლაპარაკიც იყოს. ახლა, როგორი ცოდნისმოყვარეა? პირდაპირ ისრუტავს ყოველ ახალ ინფორმაციას. თავის მასპინძელთან — მეათეკლასელ თეა წულუკიანთან ერთად თბილისის ძველი უბნები ფეხით აქვს დავლილი. უკვე შეექმნა წარმოდგენა ქართულ ფოლკლორსა და არქიტექტურაზე, დღეს ჩვენში მიმდინარე ეროვნულ მოძრაობაზე. აღმოჩნდა, რომ ჩვენეული განათლების სისტემის პრინციპული მსაჯულიცაა, განსაკუთრებით, ქართველ მოსწავლეთა ინერტულობა და სწავლისადმი გულგრილობა აოცებს.

29 ნოემბერს სესილს დაბადების დღე ჰქონდა — 17 წლისა შესრულდა. ქართველმა მეგობრებმა ნამდვილი ზეიმი მოუწყვეს. სიურპრიზად ამერიკელი თანატოლებიც დაუპატიჟეს, ისინი, რომლებიც, სესილის მსგავსად, თბილისის სკოლებში სწავლობენ. კიდევ ორი ფრანგი ბიჭი სწავლობს 23-ე სკოლაში. ერთ-ერთი მათგანი ბრეტანელი მათიე ქეგო (ქართულად მათეს ეძახიან) XI კლასშია.

თქვენ ალბათ უკვე დაინტერესდით ამ კონტაქტებით. რამაც ეს ფრანგი ყმაწვილები თბილისის 23-ე სკოლაში მიიყვანა. რა თქმა უნდა, ჩვენს დედაქალაქში ბევრია ტრადიციებით განთქმული ძველი სკოლა, 23-ე საშუალო სკოლა (დირექტორი გუგული მგელაძე) მათ რიგშია. უცხო ენის გაძლიერებული სწავლების ამ სკოლაში ფრანგული ენის სწავლების საინტერესო მეთოდიკა და გამოცდილება შეიმუშავეს წლების მანძილზე. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ამ კუთხით არც სტუმარი და არც მიმბაძველი არ აკლიათ. ასე დაიბადა სკოლის სულ პირველი უცხოური კავშირიც. ამ ცამეტიოდე წლის წინათ რესპუბლიკის განათლების სამინისტროს რჩევით მათ სკოლას ეწვია ბულგარეთის განათლების მთავარი მეთოდისტი მარგარიტა ავჯიევა. სწორედ ამ ვიზიტის წყალობა იყო ბულგარეთის ფრანგულ გიმნაზიებთან 23-ე სკოლელთა ის პირველი კონტაქტიც, სამი წლის განმავლობაში ზედიზედ რამდენჯერმე რომ ეწვივნენ ვარნისა და სოფიის ფრანგულ გიმნაზიებს.

გასულ შემოდგომაზე კი, აი, რა მოხდა: სკოლას ეწვია ბელგიელი ცოლ-ქმარი — ბერნადეტ და პიერ ლეჟენები. სასიამოვნოა, რომ საქართველოს სასწავლო დაწესებულებებთან დამეგობრების მისიით ჩამოსული ეს წყვილი, ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტთან ერთად, ამ ტრადიციული სკოლითაც დაინტერესდა. ბავშვებმა სტუმრებს წარმოუდგინეს, თუ რამ ჰქონდათ თავმოსაწონი. ეს ძირითადად იყო სცენები სკოლის ფრანგული ენის წრესთან არსებული დრამწრის ფრანგული სპექტაკლებიდან. ქალბატონი ბერნადეტი ისე აღფრთოვანებულა, იქვე დაუფიცია, უახლეს მომავალში უკლებლივ ყველას ბრიუსელში მიგიწვევთ და სამეფო კოლეჯს დაგათვალიერებინებთო. ნეტამც ასე ყველაფერი კარგი აგსრულებოდეთ...

რამდენიმე თვეში დიდი ილიას სახელობის ამ ორივე სასწავლებლის პედაგოგთა ჯგუფი ეწვია ბრიუსელს, მოგვიანებით კი, გაზაფხულზე — სკოლის ფრანგული ენის წრეში გაერთიანებული ყველა მოსწავლე. მათ ახლდათ სკოლის დირექტორის მოადგილე უცხო ენის დარგში — ქალბატონი ლუბა ნონიკაშვილი და ამ წრის ხელმძღვანელი — ქალბატონი დალი გოცირიძე. დღემდე ვერ გამოლიეს ბელგიიდან „ჩამოყოლილი“ მოსაყოლი... ბავშვები აღაფრთოვანა შეხვედრებმა ბრიუსელის სამეფო კოლეჯის მოსწავლეებთან. მით უფრო, რომ თავადაც თავი მოაწონეს — ქართული ცეკვების მიხედვით დადგმული (დამდგმელი იყო მოსწავლე ეკა კიკნაძე) მშვენიერი საცეკვაო იმპროვიზაციები წარმოუდგინეს, ქართული ხალხური და ფრანგული სიმღერები უმღერეს, ვერჰარნის ლექსები წაუკითხეს, თავიანთი ფრანგულენოვანი სპექტაკლებიდან რამდენიმე სცენა გაითამაშეს...

ამ შემოდგომაზე თავად ბელგიელი მოსწავლეები ესტუმრნენ. ასე რომ, ახლა მასპინძლების როლში აღმოჩნდნენ IX—X კლასელები: ქეთი კორძახია და ტარიელ სიხარულიძე, ეკა კიკნაძე და თამთა წილოსანი, ზურა სოხაძე და გიგი ბოხუა, ნინო კელაურიძე და გოგიტა კალანდაძე, ლელა ნეფარიძე და თეა წულუკიანი, ნატა მოდებაძე, ლევან კერესელიძე და რეზო ენუქიძე. თავიანთ გუშინდელ ბელგიელ მასპინძლებს მზრუნველობას არ აკლებდნენ დღეს უკვე პირველკურსელი სტუდენტები, სკოლის კურსდამთავრებულები — ქეთი ჩიგოგიძე და ვახტანგ ჯაოშვილიც, ყველგან დაჰყვებოდნენ, თბილისს ათვალიერებინებდნენ.

საკმაოდ ძლიერი საბალეტო დასი ჰყოლიათ ბრიუსელის სამეფო კოლეჯში. 23-ე სკოლელებმაც ისარგებლეს თავიანთი სტუმრების ამ დაინტერესებით და ისინი თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელთან



მოსწავლეებთან. მეგობრულ მიმოწერაში ჩართულია სკოლის სხვადასხვა კლასის 38 მოსწავლე. ეს კონტაქტი მით უფრო საინტერესოა, რომ ამ ფრანგულ ქალაქში 23-ე სკოლელ პედაგოგებს თავიანთი ყოფილი მოსწავლეც ეგულებათ. სკოლის კურსდამთავრებულმა ზაზა ნატროშვილმა ფრანგი ქალი შეირთო და ამ რამდენიმე წლის წინათ დასახლდა პლუდიუნოში. ასე რომ, იგი დღეს „კეთილი ძია ფოსტალიონის“ როლსაც ასრულებს.

ერთი სიტყვით, 23-ე სკოლელთა მეგობრული კონტაქტები ახალ ფაზ-

მეგობრებთან ყოფნის სიამოვნება საქმესაც კარგად გაკეთებინებს.



სესილისა და მათიეს უყვართ ქართველ თანატოლებთან ერთად ქალაქში გასეირნება.

დააკავშირეს. თბილისში ყოფნის მთელი კვირის მანძილზე თითქმის ყოველდღე დადიოდნენ ბელგიელი გოგონები ქორეოგრაფიულ სასწავლებელში, ესწრებოდნენ მეცადინეობებს, გამოცდილი ქართველი პედაგოგებისაგან რამდენიმე გაკვეთილიც კი მიიღეს.

ძალზე საინტერესო შემოქმედებითი კოლექტივია სკოლის ფრანგული ენის წრესთან არსებული დრამწრე. აქაური ბავშვები ენთუზიასტი თეატრალები არიან. თითქმის დამოუკიდებლად, თავიანთი ძალებით ქმნიან რეკვიზიტებს. აი, ეს შესანიშნავი სარკე „მძინარე მზეთუნახავში“ ფოლგისგან დაამზადეს. ძალზე საინტერესო კოსტიუმებს ქმნიან დრამწრის ნორჩი მხატვრები — ოთარ მიქელაძე, ქეთი კორძახია და გოგიტა კალანდაძე, შესანიშნავი სპექტაკლები დადგეს: „მძინარე მზეთუნახავი“, „კონკია“, „კოზეტა“ ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონის“ მიხედვით. ახლა ჟან ანუის „ანტიგონე“ უნდათ წარმოადგინონ. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ბავშვთა ცოცხალი შემოქმედების ეს ნაყოფი სკოლის კედლებშივე რჩება ლამაზ ალბომებად, გამოფენილ ულამაზეს ზღაპრულ გმირებად. ასეთია 23-ე სკოლის ფრანგული ენის კაბინეტის ტრადიცია და საერთო განწყობილება—ზღაპრული და შემოქმედებითი. ენთუზიაზმი აქაურთა ხასიათის ნაწილია.

23-ე სკოლელებს აქვთ მეორე, არანაკლებ ლამაზი კაბინეტიც. ამ ოთახში სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის წრის (ხელმძღვანელი ლილი ბერძენიშვილი) ბავშვები მუშაობენ. ბავშვებს, რა ხანია, მეგობრული მიმოწერა აქვთ საფრანგეთის ბრეტანის პლუდიუნოს სახალხო სკოლის აში შედის. ამ გაზაფხულზე ბრეტანის ერთ-ერთი სახელმწიფო ლიცეუმი უნდა მოინახულონ. ჯერ თავად უმასპინძლებენ ფრანგი თანატოლებისა და მათი მასწავლებლების მცირერიცხოვან ჯგუფს. მომავალში ეს კონტაქტები უფრო გამრავალფეროვნდება და ღმერთმა ქნას, რომ ამ სკოლელთა სახითაც ევროპაში სწავლამიღებული არაერთი მოღვაწე მოევლინოს საქართველოს.

ფოტო ჯემალ კასრაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დავითი და კონსტანტინე

მზია ჩხეტიანი

მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე

თითქოს გვერდით მიდგას
ღმერთი, —
ეს რა მადლი მეპკურება!
აი, შენი იმერეთი! —
მომახარეს ბელურებმა.
— ჰიკ-ჰიკ! — ალარ მშორდებიან,
მეც მივფრინავ,არ ვიღლები,
აქეთ-იქით ოდებია
პირმცინარე აივნებით.
გულზე ვიწერ შენს სიმღერებს,
ვარდნარეევო ნიავ-ქარო,
ვიცი, გინდა, მთელს იმერეთს
ჩემი მოსვლა მიახარო.
დგას გოგონა ხეთა შუა
სველი, ცივი ხელადითა, —
ფეხადგმული ფრესკა თუა,
დალოცვილი, გელათიდან!
გელათიდან მოწამეთას
შარა-შარა, შუკა-შუკა
მზეს ზეიმი თუ აქვს ფერთა, —
ყველა ერთად მომაშუქა!
მომაგება წყალწითელიც,
ბროლის შხეფი მომაყარა,
ყველა წყლული გამიმრთელა,
რაღაც ჩუმად მომახარა.
აქაც შუქი მომწვდა ფერთა
ყვავილების, ვარსკვლავების.
შუქში ჩადგა მოწამეთა
გმირ წმინდანთა საფლავებით.
ჭავლი, როგორც ორბის ბრჭყალი,
ჰკაწრავს ნაპირს,ლოკავს ტინებს,
თმაგაშლილი მორბის ქალი,
ხმობს დავითს და კონსტანტინეს.
ფიქრი იწვის, ფიქრი დნება,
ფიქრი ილტვის დროში კრულში,
ცად ლრუბელი აიშლება,
თუ ურდოა მურვან ყრუსი!
რაც მან პირი მოგვისართა,
სად და ვისთან დავიჩივლოთ!

დედას სიმწრით ეწვის კალთა:
— კონსტანტინე!
— დავით, შვილო!
საქართველო, სვეგამწყრალი,
დგას ცეცხლში და სისხლის რუში,
ჯარი მოდგა, როგორც მკალი,
მუჰამადის — მურვან ყრუსი!
ჰგავს ღვთის რისხვას,
თავს დატეხილს,
გაგვწყრომია, ვაგლახ, ღმერთი!
მოსრა თურმე ქართლ-კახეთი,
მოსრა მესხეთ-ჯავახეთი!
დაგვიბნელა მზეც და ზეცაც,
ქარ-ცეცხლს მისცა ჩვენი მიწა,
თუ ქალ-ბალღის კალო ლეწა,
თუ ტაძრები შეგვიბილწა.
გადმოლახა მერე მთები,
ხევი, ვაკე, ფერდობი და
სისხლის ნთხევით,
შხამის ნთხევით
იმერეთში შემოვიდა.
მამაცს ცეცხლად ანთებს ელდა,
ვერც რას გულში მოკლავს იმედს,
მათაც, მთავართ არგვეთელთა,
დავითსა და კონსტანტინეს,
შემოედოთ გულზე ალი,
დააკვესეს რისხვით თვალი,
თქვეს: მობრძანდნენ ვერაგები!
ჩვენც დავხვდებით,
თუ ვერ დავძლევთ,
ვაჟკაცურად შევაკვდებით!
— მოგვყევ, ვისაც გიჭრის ხმალი,
აბა, მკლავო, შეიძელი! —
მოწყდა რაზმი, მიჯრით მდგარი,
წინ წარუძღვნენ მხეიძენი.
— ღვთისმშობელო, დაიფარე! —
დედა პირჯვარს სახავს შორით,
მომხვდურს ხვდება იმერთ ჯარი,
უქლრიალებს აბჯარ-თორი!

ქუხს დავითი, ვითა ლომი,
ჩეხს გულდაგულ გორდა მძიმე,
— ჰკა მაგასა! — მოჰყიჟინებს
უფროსს მრწემი კონსტანტინე.
ანთებს ხსოვნას რა უკუნეთს,
ჰირთა თმენას, დარდთა ღმობას
(არის მერვე საუკუნე,
სისხლიანი არაბობა).
გულზე ცეცხლად წამეკიდა,
ის ტკივილი მწველი, ძველი,
ახლა მოდგნენ არგვეთიდან
თითქოს ძმანი მხეიძენი,
მოდგნენ გმირი იმერები
ხმლის, ფარ-შუბის ჯახაჯუხით,
ომახიან სიმღერებით,
სისხლიანი ახალუხით.
ენაცვალოს ჩემი თავი
მკლავებს, მაჯებს,
ნაბრძოლ თითებს,
არაბების მეწინავე
ლაშქარი რომ ამოწყვიტეს,
ასე იყო, ჩეხეს მტერი,
წინ აღუდგნენ მომხდურს ურჩად,
მაგრამ, ვაი! — ბევრზე ბევრი
ჰყავდა სპაი მურვან ყრუსა!
თუმცა სიმხნე არ გვაკლია,
ერთი ასთან რას გახდები!
შეეფარნენ სათაფლიას
არგვეთელი თავადებიც.

●

ქამი დადგა ავისა,
მთა-ველს აწევს ბინდი,
წყარო მაინც თავისას
ქლურტულებს და მიდის.
სევდიანი მოვა დღეც,
ვაჰ, თუ მზირიც მოვა!
მუჰამედი მსტოვარზე



მზია ჩხეტიანის პოემამ „დავითი და კონსტანტინე" ჟურნალ „ნაკადულის" კონკურსზე მეორე პრემია დაიმსახურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მსტოვარს გზავნის,
მსტოვარს...
წანწალებენ ღამით და
დღისით, ყველგან, გზებზე,
ყველა ეძებს დავითს და
კონსტანტინეს ეძებს,
დიდი, მწარე გამოცდა
დასდგომია სოფელს.
— რა გინდოდა წყაროსთან,
დედი, რისთვის მოხველ?
თავდახრილი, დაღლილი
დედა რეცხავს ჩოხებს.
ცრემლი წყაროს ჭავლივით
მოსდევს ფერმკრთალ ლოყებს...
— აკი ჯერაც შვილები
უვნებელნი გყავანან?
მაინც დარდით ილევი,
კბილს არ გიხსნის დანა!
დაგეძებენ მზირები,
ყველა გზაზე დგანან.
მზე მთის წვერვალს ამოსცდა,
გაჩახჩახდა ზეცა.
აქ, ამ მთაში, წყაროსთან,
ვის ახალუხს რეცხავს?
ვინ არისო ეს ქალი? —
ხევებს, ბუჩქებს ეფარვის
შებურვილი პირით
წყაროს თავზე მზირი
და ცახცახებს შემკრთალი
ვერხვის გრძელი ჩრდილი.

— ეჰ, რა მწარე გამოცდა
დასდგომია სოფელს!
მოღალატევ, რა მოხდა,
გონს რად ვეღარ მოხველ?
არც სინდისმა გამხილა,
არც უფლის ხმა გესმა,
შეუპყრიხარ ადვილად
ოქროს, ყვითელ ეშმას!
დაუბინდავს მთლიანად
შენი ფიქრიც, აზრიც,
ეს სად მოგიყვანია
ამ მტარვალთა რაზმი?!
მზე მთის მწვერვალს ამოსცდა,
რთავს ნაირფერ ნოხებს,
დედა რეცხავს წყაროსთან
ახალუხებს, ჩოხებს.
ირგვლივ არ ჩანს არავინ.
დედა წყალს სვამს პეშვით.
ოცდაათი არაბი
გასუსულა ტყეში.
ჰახჰახებენ შაშვები
თუ ჰყვებიან ამბებს,
დაუბრუნდნენ ვაჟები
სათაფლიის ქვაბებს?
იქნებ ნანადირევი
მოაქვთ ხვამლის მთიდან?
ჩრდილმა წყაროს პირები
რატომ დამიბინდა? —
შეცბა ქალი. — მიშველეთ,
აქ რამდენ ხანს დავრჩი!

და, ჰა, ტარიც შიმშერის
ჩაჰკრეს კიდეც თავში!
ბილწი მზირი შედგა და
ცერად გადმოხედა,
— ეს დავითის დედაა,
კონსტანტინეს დედა!

●

წარმოიდგინოთ თუ გსურთ ჯალათი,
ანდა სატანა,ბილწი მაცილი,
— მარვან მეორე იბნ მუჰამადი,
ხალხისგან მურვან ყრუდ
შერაცხილი!
— უთარგმნეთ მაგას! —
გრგვინავს უგნური, —
სად ჰყავს შვილები?
თქვას, ფარჩით მოერთავ...
არა? დასჰერით ორთავ ძუძუნი!
შანთით ამოსწვით თვალები ორთავ!
—თქვი, ქალო, ჩქარა!
სად გყავს შვილები? —
თარჯიმანს რისხვის ალი გადასდის.
დგანან მცველები გატვრენილები,
ბობოქრობს მარვან იბნ მუჰამადი.
ქალმა აჰხედა, წარბნი შეჰყარა
და გააჰრუოლა არაბს, გოლიათს,
— გული არა აქვს, იცის ქვეყანამ,
წაწყმედილს გონიც არა ჰქონია!
მისი ნებაა — ასეც უთხარით —
დამგლიჯოს თუნდაც ნაწილ-ნაწილად!
სად ნახა დედა, ვინც საკუთარი
სიცოცხლისათვის შვილი გასწირა?
— რატომ „გასწირა“!
შენი შვილების
მომწონს მხნეობაც,
ნიჭიც მხედრული,
ხელსაც არ ვახლებ,
აგერ გპირდები,
არ წამომცდება არც საყვედური!
შეატყობინე მათაც, უწყოდნენ,
ვითარ ღირსეულ გმირთ ეკადრებათ,
მივიღებ, მალალ ფირმანს ვუბოძებ,
გავხდი არაბთა მხედართმთავრებად.
— არ გამოვაო, — დედამ, —
ამრიგად,
იმათ ნამუსის ქუდი ახურავთ,
ვზრდიდი მამულის ჩვენის ტარიგად
და არა ქვეყნის მტრის სამსახურად!



გაგრძელება მომდევნო ნომერში

# წარწერები

**ზურაბ სარჯველაძე,**
პროფესორი

**პალესტინის წარწერები.** 1952-1953 წლებში იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ იერუსალიმის მახლობლად, ბეთლემში, აღმოაჩინა ქართული მონასტრის ნანგრევები.

ბეთლემი ის ადგილია, სადაც მაცხოვარი იშვა. ბუნებრივია, ყველა ქრისტიანი ერის სანუკვარი ოცნება იყო ამ წმიდა ადგილას სალოცავის აგება. ქართველებს პალესტინაში, იესუ ქრისტეს მოღვაწეობის რეგიონში, უძველესი დროიდან არაერთი ეკლესია და მონასტერი დაუარსებიათ. ერთ-ერთი დიდებული ძეგლი მათ ბეთლემშიც აუშენებიათ, რისი მოწმობაც არის ჩვენამდე მოღწეული ძველი ქართული წარწერები.

ვირჯილიო კორბომ ქართული არ იცოდა და წარწერების შესასწავლად ვატიკანში მიიწვია დიდი ქართველი მოღვაწე, ქართველი მეცნიერი მიხეილ თარხნიშვილი. მ. თარხნიშვილმა უშეცდომოდ ამოიკითხა წარწერები, თარგმნა ლათინურად და დაურთო მეტად მნიშვნელოვანი კომენტარები.

განვიხილოთ ბეთლემის წარწერები. სპეციალისტთა აზრით, უძველესია ორი წარწერა, რომლებიც ჩვენამდე ფრაგმენტულადაა მოღწეული. ეზოს ჩრდილო-დასავლეთით შემონახულია მოზაიკური წარწერის ნაწილი, რომელიც მ. თარხნიშვილმა ასე წაიკითხა:

1. წმიდაო თეოდორ
2. ე, მარუან და ბუ —
3. რზენ... ენ ამი...
4. ე...

ეს წაკითხვა გაზიარებულია სპეციალისტთა მიერ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მეორე სტრიქონის პირველი ასო არის არა **ე**, არამედ **ი**, რაც გვავარაუდებინებს, რომ **ი** არის რომელიღაც სიტყვის დაბოლოება.

ეზოს მოზაიკური იატაკის დასავლეთ ნაწილში შემორჩა წარწერის შემდეგი ნაწილი: და ძუძეულნი მათნი, ბაკურ და გრი-ორმიზდ, და ნაშობნი მათნი, ქრისტე, შეიწყალენ, ამენ (და მათი ახლო ნათესავები, ბაკური და გრი-ორმიზდი, მათი შვილები. ქრისტე, შეიწყალე).



პალესტინის უდაბნოს ქართული მონასტრის წარწერა
(V საუკუნის I ნახევარი)

მიხეილ თარხნიშვილმა ასოთა მოხაზულობის მიხედვით ეს წარწერები VI საუკუნით დაათარიღა. ამავე დროს მან გამოთქვა საყურადღებო მოსაზრებები წარწერებში მოხსენიებული პირების შესახებ. თეოდორე არის ცნობილი მოწამე (IV ს.),

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა განძი გვქონია



რომლის სახელზედაც აუგიათ მონას-ტ.რი. მ. თარხნიშვილი მიუთითებს **მარუან** და **ბურზენ** სახელთა გამო: „ეს სახელები **ოდნავ განსხვავებული ფორმით** ცნობილი იყო საქართველოში. პეტრე იბერიელის (V ს.) ქართული ცხოვრების მიხედვით, მისი ქართული სახელი იყო მურვანოსი და ამავე პეტრეს მამას ბუზმირი ერქვა". როგორც ვხედავთ, მ. თარხნიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ამგვარი სახელები საქართველოში უცნობი არ ყოფილა. შალვა ნუცუბიძე უდავოდ მიიჩნევდა, რომ მარუანი პეტრე იბერიელის ერობის სახელია. მისი აზრით, წარწერა V საუკუნის პირველი ნახევრისაა. წარწერაში მოხსენიებული მარუანი რომ პეტრეა, ხოლო მონასტერი — პეტრეს აგებული, ვარაუდობდა გ. წერეთელიც, რომელმაც გამოაქვეყნა მონოგრაფია „უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან (1960 წ.). მისი აზრით, წმიდა თეოდორეს სახელობის მონასტერი პეტრემ V საუკუნის ოცდაათიან წლებში აგო. მანვე შეამკო „იგი ქართული წარწერებით, სადაც თვით მისი მამისა და პაპის სახელებია მოხსენიებული". გ. წერეთლის რწმენით, ეს წარწერები ყველაზე ძველია დღემდე ცნობილ წერილობით ძეგლებს შორის.

სამწუხაროდ, ამ მიმზიდველ თვალსაზრისს ზოგი არსებითი ხასიათის დაბრკოლება ელობება. კერძოდ, წარწერის **მარუანს** აკავშირებენ პეტრე იბერის ერობის სახელთან — **მურვანოსთან.** ყურადღება რომც არ მივაქციოთ საკმაოდ შთამბეჭდავ გარეგნულ სხვაობას, ძნელი წარმოსადგენია, პეტრეს (ბერს, სასულიერო პირს) წარწერაში თავი საერო სახელით მოეხსენიებინა. მიუთითებენ იმის შესახებ, რომ პეტრე პალესტინაში ჩავიდა V საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს და იქ არაფერი აუშენებია; უდავოდ ანგარიშგასაწევია მ. თარხნიშვილის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, წარწერა ასოთა მოხაზულობის მიხედვით VI საუკუნისაა.

ამდენად, დებულება იმის შესახებ, რომ ბეთლემის წარწერაში მოხსენიებული მარუანი პეტრე იბერია, დამტკიცებულად ვერ ჩაითვლება.

ბეთლემის მონასტრის სასადილოს მოზაიკურ იატაკზე აღმოჩნდა შემდეგი წარწერა: შეწევნითა ქრისტჱსითა და მეოხებითა წმიდისა თეოდორჱსითა შეიწყალენ ანტონი აბაჲ და იოსია, მომსხმელი ამის სეფისაჲ, და მამა-დედაჲ იოსიაჲსი, ამენ (რაც ნიშნავს: ქრისტეს დახმარებით და წმიდა თეოდორეს შუამდგომლობით შეწყალებულ იქნეს ანტონი აბა (აბა არამეული სიტყვაა, ჩვენთან ბერძნულის გზით შემოსული, ნიშნავს „მამა"-ს, აქ — მონასტრის წინამძღოლს) და იოსია, რომელმაც ეს მოზაიკა გააკეთებინა, და იოსიას მშობლები).

მ. თარხნიშვილმა მიუთითა, რომ ანტონი აბაჲ ცნობილია წმიდა მართას, სვიმეონ მესვეტის დედის, ცხოვრებიდან. ანტონის წმიდა ნაწილები მიუტანიათ სვიმეონთან 552 წელს, მართას გარდაცვალებისა და სვიმეონის სვეტზე ასვლის ერთი წლის შემდეგ. 553 წლიდან ანტონი აღარ არის პალესტინაში, იგი სელევკიის ეპისკოპოსი გახდა. გ. წერეთელმა მიუთითა, რომ, „მართას ცხოვრების" მიხედვით, 532 წელს ანტონი ჯერ კიდევ საქართველოშია. ამრიგად, დადგინდა, რომ ანტონი ბეთლემის მონასტრის წინამძღოლი შეიძლებოდა ყოფილიყო 532-552 წლებს შორის და, ბუნებრივია, წარწერაც ასე დათარიღდა.

იოსია, რომელიც ამ წარწერაში მოიხსენიება, სხვა წერილობითი წყაროებისთვის უცნობია. იგი მიაჩნიათ ხელოსნად, რომელმაც სეფი მოასხა (მოზაიკა გააკეთა). უფრო სავარაუდოა, რომ მან გააკეთებინა მოზაიკა.

**ურბნისის სიონის წარწერა.**

გორის მახლობლად, სოფელ ურბნისში შემონახულია ერთ-ერთი უძველესი საყდარი, რომლის ჩრდილოეთის კედელზე მოთავსებულია სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა:

ოო იჳ ქე
კტი მმ მქლ შწყნ
ას სნა მშბლნი

წარწერაში ყველა სიტყვა შემოკლებულია, მაგრამ არც ერთს არ ახლავს შემოკლების ნიშანი (ქარაგმა). წარწერის ტექსტი ასე უნდა წავიკითხოთ:

უფალო იესუ ქრისტე,
კონსტანტი, მარიამ, მიქაელ
შეიწყალენ,
ამის სიონისა მაშენებელნი



პალესტინის უდაბნოს ქართული მონასტრის წარწერა
(V საუკუნის პირველი ნახევარი)




ჭრიჭინა მთელ დღეს აქეთ-იქით უმიზნოდ დაფრენდა. დაღამებისას დიდი ტბის პირას ბეჯით ფუტკარს შეხვდა.

—მიამბე, რა ნახე დღეს კარგი და საინტერესო? — ჰკითხა ჭრიჭინამ.

— ბევრი რამ, — მიუგო ფუტკარმა. — ვნახე უამრავი ჭრელი ყვავილი. ო, რა საამო სურნელებას აფრქვევდნენ! ყვავილთა მტვერში დავცურავდი. ყოველ პაწაწა მტვერს თავისი დამახასიათებელი სურნელება, გემო და ფერი აქვს.

— მეტი არაფერი? — ჰკითხა იმედგაცრუებულმა ჭრიჭინამ.

— როგორ არა, — მიუგო ფუტკარმა, — მოციმციმე ტბის თავზე დავფრენდი და ჩემს ქვემოთ ლურჯი და ოქროსფერი ვარსკვლავები მოჩანდა. ტბის ნაპირზე კი ხუჭუჭა ტირიფებმა და თოვლივით ქათქათა გედებმა მომხიბლეს. ვნახე, აგრეთვე, შრომით გართული ადამიანები და მხიარულად მოთამაშე ბავშვები.

— კმარა! — შეაწყვეტინა მოუთმენლად ჭრიჭინამ. — ახლა მისმინე, რა ვნახე და, საერთოდ, მუდამ რას ვხედავ. აბა, ჩაიხედე ტბაში! ხედავ ჩემს მბზინავ ფრთებს, მთვარის შუქზე ვერცხლივით რომ ელავენ? ხედავ ჩემს პაწაწინა კოხტა თავს და დიდრონ მეოცნებე თვალებს? შეხე, რა ლამაზი ლია ცისფერი კაბა მაცვია! ქვეყანაზე ამაზე მშვენიერი რამ შეიძლება იყოს?!

— სულ ეს არის, რაც დღეს ნახე? — ჰკითხა გაკვირვებით ფუტკარმა და დასძინა: — რა საბრალო და საცოდავი რამ ყოფილხარ, შე უქნარა და ამპარტავანო! მთელ დღეს აქეთ-იქით დაფრინავდი და საკუთარი თავის გარდა არაფერი დაგინახავს!

## უდიდესი სიმდიდრე

ერთი ხარმაცი ბიჭი განუწყვეტლივ თავის სიღარიბეზე ჩიოდა.

— რა გაწუწუნებს? — ჰკითხა ერთხელ მოხუცმა კაცმა. — შენ ხომ უდიდესი სიმდიდრე გაქვს!

— აბა, სადა მაქვს?! — გაიკვირვა ბიჭმა.

— აი, შენი თვალები, მისი ფასი განუზომელია, — მიუგო მოხუცმა, — რამდენი ფულიც გინდა, მოგცემ, თუნდაც ერთ თვალში, თუკი მომყიდი.

— ჩემს თვალებს ამქვეყნად არავითარ სიმდიდრეში არ გავცვლი, — — უპასუხა ბიჭმა.

— კეთილი, — უთხრა კვლავ კაცმა, — მაშინ ხელები მაინც მომეცი, აურაცხელ ოქროს გადაგიხდი.

— არა, რამდენიც უნდა მომცე, ვერც ხელებს დავთმობ.

— აი, ხომ ხედავ, რა სიმდიდრის პატრონი ყოფილხარ!—ღიმილით მიუგო მოხუცმა და დასძინა: — ადამიანის ყველაზე დიდი სიმდიდრე ჯანმრთელობაა. ჯანმრთელობას ვერავითარი ოქრო-ვერცხლით ვერ შეიძენ. სიღარიბის უებარი წამალი კი ბეჯითობა და გარჯაა. თვალი გიჭრის, მუხლი გერჩის, ხელები ძღლონითა გაქვს სავსე, იშრომე და ყველაფერი უხვად გექნება...

ჰოდა, ახლა იმ სოფელში იმ ბიჭზე მდიდარი, ბედნიერი და ხალისიანი მეორე არ დადის.

თარგმნა შოთა ამირანაშვილმა

---

წარწერა უაღრესად საყურადღებოა პალეოგრაფიული თვალსაზრისით: ბუნშეკრულია ბ, ყ, შ, ს, წ ნიშნები, რაც წარწერის დიდ სიძველეზე მეტყველებს. ამიტომაც იგი V საუკუნის დასაწყისით დაათარიღა ცნობილმა მკვლევარმა ნოდარ შოშიაშვილმა.

**უკანგორის წარწერები.** 1936-1937 წლებში დმანისის მახლობლად, სოფელ უკანგორის ეკლესიის გარშემო მდებარე სასაფლაოზე ლ. მუსხელიშვილმა იპოვა ჯვრის კვარცხლბეკი, რომელზედაც აღმოჩნდა ასომთავრული წარწერა. აღსანიშნავია, რომ ადრეული ქრისტიანობის ხანაში ყველგან როდი იყო ეკლესია. ამიტომ აღმართავდნენ ხოლმე ქვისაგან გამოკვეთილ ჯვარს, სადაც იკრიბებოდნენ მორწმუნენი და ტარდებოდა წირვა-ლოცვა. სწორედ ამგვარი შემთხვევის შესახებ მოგვითხრობს უკანგორის წარწერა (მოგვაქვს თანამედროვე ქართულით): „პეტრეს მღვდლობისას მე, თათვარაზმა, აღვმართე ეს ჯვარი ღმრთის სახელით, იესუ ქრისტეს დახმარებით. ვინც თაყვანი სცეთ, ლოცვისას მომიხსენიეთ“.

წარწერა ასოთა მოხაზულობის მიხედვით ძალზე ძველია. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს **ალხუმართე** ზმნური ფორმა: **ალ** — ზმნისწინია, **ხ** — მე-3 ირიბ-ობიექტური პირის ნიშანი, **უ** — (უმარცვლო უ) პირველი სუბიექტური პირის აღმნიშვნელია, **მართ** — ძირი, — **ე** — წყვეტილის მწკრივის სუფიქსი. **ალხუმართე** ნიშნავს **ალვმართე**. ამრიგად, იგი ხანმეტი ფორმაა. ასევე ხანმეტია **თაყვანის-ხცეს** ზმნაც, ხ—მესამე ირიბ-ობიექტურ პირს გამოხატავს, ც—ძირია, ე—II კავშირებითის ნიშანი, —ს — III სუბ. პირის სუფიქსი. თანამედროვე ქართულით **თაყვანის-ხცეს** ნიშნავს: — **თაყვანს სცემს.**

ლევან მუსხელიშვილმა წარწერა VI საუკუნის დამდეგით დაათარიღა.

იმავე უკანგორის ეკლესიაში ლ. მუსხელიშვილმა იპოვა კიდევ ერთი კვარცხლბეკი, რომელზედაც მოთავსებული წარწერა მეტად დაზიანებულია, თუმცა აშკარაა, რომ ისიც ხანმეტი უნდა ყოფილიყო. ამას ნათელყოფს **ალხო**, რაც **ალხუმართეთ** ზმნის ნაშთია. მეცნიერებმა ეს ძეგლიც VI საუკუნის დასაწყისისად მიიჩნია.

19790

ავთანდილ მურმენიძე

# აქა ამბავი ზოოპარკში სპილოს მონათვლისა

ზოოპარკში გუგუნია.
ზოოპარკში ხმაურია...
ქარამშოტმა დაუბერა
თუ რა აურზაურია?..
ქარის რა ვთქვა, ამბავი კი
დაწვრილებით მოაქვს ნიავს:
— ჩვენთან სპილო მოიყვანეს,
სპილო მცირეწლოვანია.
კარგად იცით, მცირეწლოვანს
რანაირი მოვლა უნდა —
საფენები, საზვევები
და საკვები დროზე მუდამ.
სანახავად მისულებმა
მიიტანეს ყველაფერი —
არცთუ ისე ძალზე ცოტა,
არცთუ ისე ბევრზე ბევრი.
— პატარაო?.. ამოდენას
წამლის შუშით როგორ ვასვათ?..
— ამის მოვლა-პატრონობა
დაგვიჯდება ქვეყნის ფასად!
გაუმართლა სპილომ ყველას,
გაათავა ვედრო რძე და
ზედ ფაფაც რომ მიაყოლა,
დაიჩივლა: — მშია, დედა!..
მერე, ბოლო რომ მოუღო
რაღაც ხუთ-ექვს კილო ხაჭოს,
იგრიალა ირგვლივ ტაშმა:
— ჭამის ოსტატს გაუმარჯოს!
ჭორიკანა ყვანჩალამ კი
არც აცხელა, არც აცია:
— ჩვენი სპილო ჭამის დარგში
ბეჭე ბიჭის ძმაკაცია!
ალერსით რომ დაილალნენ,
რა გქვიაო, — ჰკითხა ერთმა.
— რა მქვია და სპილო მქვია,
გამაჩინა სპილო-დედამ!
გაეღიმათ, გაეცინათ,
ძველებურად მოეფერნენ,
ისაუბრეს, იკამათეს
და აუხსნეს სპილოს მერე:
— აქ სუყველას რაღაც ჰქვია —
ყვავს — ყვანჩალა, სელაპს —
სლიპა.
სავარცხელა — ლამაზ ოფოფს.
ამ პატარა მელას — წრიპა.
შეხე, აგერ, ბეჭე მოდის,
ბეჭე — შვილი ბეჭემოთის.
ამ ზებრას კი ჭრელა ჰქვია,
ლომს — ფაფარას ეძახიან.
მურა დათვი არის სანჩო,
ჟირაფი კი — დონ კიხოტი;
პროფესორია არის ჭოტი...
ნუთუ დღემდე არ იცოდი?
დაუძახეს მხატვარ ჭრელას,
დატრიალდა ზებრა უცებ,
ამდაგვარი განცხადება
გამოაცხო იმ ცხელ გულზე:
„ყურადღება! ყურადღება!
ყველა მკითხველს, ყველა მნახველს!
უსიერას ბინადრისთვის —
სპილოსათვის — ვეძებთ სახელს!“
ორ-სამ დღეში, სამ-ოთხ დღეში
უსიერას ლამაზ ტყეში
წერილების მოდის წვიმა,
არ უნახავთ მსგავსი წინათ.
არ გეგონოთ იოლი,
იყო ფოსტალიონი:
ჩანთოსანი კენგურუ
დღე და ღამე ვერ იცლის,
წერილები მოზღვავდა —
მოსავალი მთელი წლის!
სპილოს ნათლიობა
მოინდომა მრავალმა...
შეიკრიბა ჟიური —
ცხოველების ამალა.
რას არ იწერებოდნენ —
სპილოს დაარქვითო:
მიხო, ბიბო, ბუთხუზა,
ნატრულა თუ ხვითო...
ბაჩო, დუდუ, მერცხალა,
ნებიერა, ბოტა...
მოკლედ, არჩევანი
თავსაყრელი ჰქონდათ.

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე



მაგრამ ამდენ სახელში
ერთის პოვნა არ გინდა?..
(სავსე იყო ფურცლებით
ვეებერთელა მაგიდა!).
ბოლოს ასე შეთანხმდნენ —
რა თავს ვიმტვრევთ ვითომო,
სპილო აგერ ბრძანდება,
აირჩიოს თვითონო.
მოიყვანეს პატარა —
მოკაზმული, მორთული.
თუმცა კითხვა არ იცის,
კონვერტს დასწვდა ხორთუმით.
ლომმა გახსნა კონვერტი
(უფროსობას რა სჯობს!)
და შესძახა ღრიალით:
— გაუმარჯოს... ბაჩოს!
ისევ გაჩნდა წვენები,
რძე, ფაფა და ხაჭო...
ზოოპარკში გაისმის:
— ბაჩო, ბაჩო, ბაჩო!..
გააშანშალეს „მეტრიკა“,
ფაფარა ურტყამს ბეჭედსა...
„სჯობს სახელისა მოხვეჭა
ყოველსა მოსახვეჭელსა!“
ბაჩო კი ფიქრობს თავისთვის,
ბედი მქონია ნაღდიო,
რაკი სახელი დამარქვეს,
სახელოვანი გავხდიო!..





საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბიბლიური ისტორია

## იაკობის შვილები

(დაბ. 29, 32-25; 30,8-24; 37,3-10)

იაკობსა ჰყავდა თორმეტი შვილი. სხვაზედ მომეტებულად მას უყვარ-და უმცროსი შვილი, სახელად იოსე-ბი. ეს იმიტომ, რომ იოსები იყო მეტად კეთილი ბავშვი. მართლის-მთქმელი, გულწრფელი და თავის მა-მას არაფერს არ უმალავდა. მამაც მას უფრო ალერსიანად ექცეოდა და ჭრელ ტანისამოსს აცმევდა. ძმებ-მა ამიტომ ძვირი გული ჩაიდვეს იო-სებზედა. შურის თვალით უცქერდ-ნენ მას და შეიძულეს სრულიად. მა-თი სიძულვილი იქამდის მივიდა, რომ თავის უმცროს ძმასთან ლაპა-რაკსაც კი ერიდებოდნენ. მაგრამ თვითონ იოსებს კი ძვირი გული არა ჰქონდა ძმებზედ. უყვარდა ისინი და გულწრფელად ექცეოდა, რადგანაც გულში მას ეშმაკობა სრულიად არ ედო, ამიტომ ძმებს არ დაუმალა თა-ვისი სიზმრები, რომელნიც მოასწა-ვებდნენ, რომ იგი გახდება მომეტე-ბული თავის ძმებზედ. აი, რა სიზმ-რები იყო: მე მესიზმრა, — ეუბნება იოსები ძმებს, — ვითომ ჩვენ ყვე-ლანი ყანაში ვიყავით და ვკრავდით ძნებსა. უცებ ჩემი ძნა შუაში დად-გა, თქვენი ძნები კი გარს შემოერტ-



ყნენ და თავის დაკვრა დაუწყეს. ჩვე-ნზედ მეფობა ხომ არ მოგდომია? — უთხრეს გაჯავრებით ძმებმა. რო-ცა ეს სიზმარი მოისმინეს. შემდგომ იოსებმა მეორე სიზმარი უთხრა: მე მესიზმრა, ვითომ შუაში ვიდექი და გარს მეხვივნენ მზე, მთვარე და თერთმეტი ვარსკვლავი და თავს მიკ-რავდნენ. როცა იოსებმა ეს სიზმარი სთქვა, მამაც კი გაუჯავრდა: ნუთუ მეცა, დედაშენიცა და შენი ძმებიცა შენ უნდა გიკრავდეთ თავს?! თუმცა კი იაკობი გაუჯავრდა იოსებსა, მაგ-რამ ეს სიზმრები კი ღრმად ჩაირჩი-ნა გულში, რადგანაც იფიქრა, უთუ-ოდ მომავალს მოასწავებენო. ძმებმა ამის შემდეგ უფრო მომეტებულად შეიძულეს იოსები, მისი დაღუპვა მოინდომეს და კიდეც შეასრულეს თავიანთი ბოროტი განზრახვა.

## იოსების გაყიდვა

(დაბ. 8,14—85)

ერთხელ იაკობმა გაგზავნა იოსები მინდორში თავის ძმებთან, რომელ-თაც საქონელი შორს წაესხათ და რამდენიმე დღე მამამ მათი არა იცო-და რა. იოსები წავიდა, ბევრი ეძება და ბოლოს მიაგნო თავის ძმებსა. ძმებმა რომ შორიდან დაინახეს იო-სები, ერთმანეთს უთხრეს: აგერ, ჩვენი სიზმრად მნახველი მოდის; მოდით, მოვკლათ იგი და მამას უთხ-რათ, მხეცს გაეგლიჯა და შეეჭამა-თქო; მაშინ ვნახოთ, როგორ ასრულ-დება მისი სიზმრები. მარტო ყველა-ზედ უფროსი ძმა, რუბენი, არ იყო თანახმა და სხვას ურჩევდა ძმებსა: ისა სჯობიან, რომ ძმის სისხლში ხე-ლი არ დავისვაროთ და ჩავაგდოთ ღრმა ხაროში. მას განზრახვა ჰქონდა, მერმე ჩუმად ამოეყვანა იოსები ორ-მოდან და გაეპარებინა მამასთანა. გაუგონეს უფროს ძმასა, გახადეს იოსებს ტანისამოსი და ჩააგდეს ღრმა ხაროში. შემდეგ დასხდნენ და სადილს დაუწყეს ჭამა. ამ დროს გა-მოჩნდნენ მათკენ მომავალი უცხო ქვეყნის ვაჭრები, რომლებიც და-ტვირთული აქლემებით ეგვიპტეში მიდიოდნენ და ერთმანეთში [illegible] დაიწყეს: რა სარფას მოვიგებთ ძმის



მოკვლით, უფრო სჯობია, მივყიდოთ ამ ვაჭრებსა. მინამ მისი მკვლელები შევიქნეთ; რაც უნდა იყოს, მაინც ჩვენი ძმაა. სთქვეს და აასრულეს კი-დეცა. ამოიყვანეს იოსები ხაროდან და მიჰყიდეს უცხო ვაჭრებსა ოც ვერცხლადა. ამ დროს უფროსი ძმა რუბენი სხვაგან იყო წასული და არ იცოდა, რა უყვეს ძმებმა იოსებს. როდესაც მობრუნდა უკანა და ხარო ცარიელი დახვდა, გულს ელდა ეცა და დიდის სიმწუხარით უთხრა ძმებ-სა: ბავშვი აქ აღარ არის, ახლა რაღა მეშველება?! როგორც უფროს შვილს, იაკობი მას მოჰკითხავდა თა-ვის უმცროსი შვილის დაკარგვასა და ამიტომ სწუხდა რუბენი. მოხუ-ცებული მამა რომ მოეტყუებინათ, ძმებმა დაჰკლეს თიკანი, მის სისხლ-ში გასვარეს იოსების ტანისამოსი. მოუტანეს მამასა და ჰკითხეს: ეს შე-ნი შვილის ტანისამოსი ხომ არ არის, ჩვენ მინდორში ვიპოვნეთო? იაკობ-მა იცნო თავისი საყვარელი შვილის ტანისამოსი, იფიქრა, უთუოდ შეუბ-რალებელმა ნადირმა გამიგლიჯა გზა-ზედაო და მორთო მწარე ტირილი და გოდება. შვილები ცდილობდნენ, ნუგეში ეცათ, მაგრამ იაკობი საშინ-

ლად წუხდა, მათ ნუგეშს არც კი ისმენდა და ამბობდა: სამწუხაროთა ჩემითა ჩავალ საფლავსაო.

## იოსების მიყვანა ეგვიპტეში

**(დაბ. 37,36—39; 37,1—2, 39,4—23, 1—23)**

ვაჭრებმა მიიყვანეს იოსები ეგვიპტეში და მიჰყიდეს მონად ერთ დიდკაცსა, რომელსაც სახელად ერქვა პეტეფრე. იოსები ამ დროს იყო ჩვიდმეტი წლისა. ღმერთმა თავის მოწყალება არ მოაკლო აქ იოსებსა. რასაც საქმეს კი ჩააბარებდნენ, იოსები აკეთებდა სწრაფად, მოხერხებით და სინდისიანად. ყოველ საქმეში მას ღმერთი ხელს უმართავდა და სხვებში ისე ერჩეოდა, როგორც დღე ერჩეოდა ღამიდან. პეტეფრე რომ დარწმუნდა იოსების მხნეობაში და პატიოსნებაში, მოუწოდა მას თავისთან და ჩააბარა მოურაობა მთელი თავის სახლისა და ქონებისა. ამის შემდეგ ღმერთმა კეთილად წარმართა ყოველი საქმე პეტეფრესი.

მაგრამ, საუბედუროდ, პეტეფრეს ჰყავდა ცოლი მეტად ცუდი, ბოროტი და ღვარძლიანი დედაკაცი. ყველა ცუდ ადამიანს სძულს კეთილი, სინდისიანი ადამიანი, ამიტომ რომ, როცა თავის თავს მასთან ადარებს, თავის საძაგლობას უფრო ცხადად გრძნობს. პეტეფრეს ცოლმაც შეიძულა უმანკო იოსები და მოინდომა იმისი გაძევება თავის სახლიდანა. დასწამა რაღაც ცილი იოსებს თავის ქმრის წინაშე და ჩააგდებინა იგი საპყრობილეში. მაგრამ მართალმა და უმანკო იოსებმა თავისი მშვენიერი ყოფა-ქცევით საპყრობილეშიაც მალე მოიპოვა ნდობა და პატივისცემა თავისი უფროსისა, რომელმაც დააყენა იგი პყრობილთა ზედამხედველად. ამ პყრობილთა შორის ერია ორი კაცი, რომლებიც უწინ იყვნენ დაახლოებულნი მსახურნი ეგვიპტის მეფისა. ერთი იყო მეპურე, მეორე მეღვინე. ერთხელ იოსებმა ნახა, რომ ორივენი ძალიან დაღონებულნი იყვნენ და ჰკითხა, რადა ხართ



აგრე მწარედ დაღონებულნიო? იმათ მიუგეს: ჩვენ ორივემ სიზმრები ვნახეთ და არ ვიცით, რას მოასწავებენო. ხოლო იოსებს ღვთისაგან ჰქონდა მიცემული იმისთანა ნიჭი, რომ შეეძლო გაეგო, ღვთისაგან იყო სიზმარი, თუ არა. და თუ ღვთისაგან იყო, რას მოასწავებდა. იოსებმა სთხოვა ეთქვათ სიზმრები. მეღვინემ უთხრა: მე ვნახე სიზმრად, ვითომც წინ ვიდექი, ხელში მეჭირა სამი მტევანი ყურძნისა, ვწურავდი მათგან წვენსა ჯამში და ვასმევდი ხელმწიფესა. მეპურემ უთხრა, მე მეჩვენა, ვითომც თავზედ სამი კალათა მედგა — ერთი-ერთმანეთზედ, მაღლა კალათში ეწყო სხვადასხვა საჭმელი, ფრინველები ასხდებოდნენ და ჰკენკავდნენ. როცა იოსებმა მოისმინა ეს სიზმრები, მეღვინეს უთხრა: შენი სიზმარი კაი რამეს მოასწავებს: შენ მეფე ისევ დაგაბრუნებს სასახლეში, და უწინდელსავე თანამდებობას ჩაგაბარებს. მეპურეს უთხრა: სამწუხაროდ, შენი სიზმარი დიდ უბედურებას ნიშნავს: სამი დღის განმავლობაში შენ მეფის ბრძანებით გაგიყვანენ აქედან, ჩამოგახრჩობენ და ფრინველნი დაუწყებენ შენს სხეულს გლეჯასა. როცა სიზმრების ახსნა დაამთავრა, იოსები მიუბრუნდა მეღვინეს და სთხოვა: იმდენი სიკეთე მიყავ, რომ გამიხსენე, როცა მეფემ ისევ დაგიახლოვოს, შეაბრალე მას ჩემი თავი და დამიხსენ აქედან. მე აქ სრულიად უდანაშაულოდ ვარ დამწყვდეული.

რაც იოსებმა უწინასწარმეტყველათ, ყველაფერი ისე ასრულდა: მეპურე სიკვდილით დასაჯეს, მეღვინეს კი დანაშაული აპატიეს და უწინდელი ადგილი ისევ დაუბრუნეს. როცა მეღვინე ბედნიერებაში ჩავარდა, იოსები სრულიად დაივიწყა და აღარ ახსოვდა მისი თხოვნა, მაგრამ უფალი არასდროს არ დაივიწყებს მართალ ადამიანს.

•

სამი წლის ლალი უხსნის ორი წლის ძმა გობარს:

— კატა საშინაო ცხოველია, ძროხა — ეზოსი!

•

— რატომ ყეფენ ძაღლები ღამით? — კითხულობს ხუთი წლის ლალი.

— შენ თვითონ არ იცი?!

— ალბათ ეშინიათ!

•

ხუთი წლის ლალი ქალის შიშველ ქანდაკებას უყურებს და დედას ეკითხება:

— ახლა ზაფხულია, ზამთარში ხომ ჩააცმევენ კაბას?

•

დიდხანს უმზერდა ნატურმორტს ოთხი წლის ლალი და ბოლოს ჰკითხა მამას:

— ხილს ზამთრისთვის ხატავენ?

•

ექვსი წლის ლალის ბებია დასაძინებლად ამზადებს და სხვათა შორის ეკითხება:

— ხომ იცი, ადამიანები რატომ იძინებენ?

— სიზმრები რომ ნახონ!

ბ. ზედგელაშვილი



# „დიდა-მონკა"

გუგული ტოგონიძე

მხატვარი
ედუარდ ამბოკაძე

ლეგენდა

უკვე ოცი დღე იწურებოდა, რაც ქუჯის ციხე მტრის ჯარით იყო გარშემორტყმული. გალავნის შიგნით, ეზოში, ბრძოლით მოქანცული, დაღვრემილი მეომრები აჩრდილებივით მიმოდიოდნენ. ეკლესიაში ისმოდა დაჭრილთა კვნესა, ბავშვების ტირილი და ქალების ჩუმი, მავედრებელი ლოცვა.

შიმშილით გასავათებულებს ლაპარაკის თავი აღარა ჰქონდათ, მაგრამ რა უნდა ექნათ! იერიშის დროს მოღალატემ სურსათის საწყობს ცეცხლი წაუკიდა, ციხეში პურის ერთი კიდობანი გადარჩენილიყო და ბავშვებსა და დაჭრილებს უზოგავდნენ. მაგრამ კიდობანიც თვალსა და ხელს შუა ცარიელდებოდა. შეფიქრიანდნენ მამაკაცები, ნაღველი გაუდიდდათ. სევდაშემოწოლილებს ერთთავად ერთი და იგივე ფიქრი უტრიალებდათ, შიმშილს ვერ გაუძლებენო ბავშვები. გალავანს იქით დაბანაკებული მტერიც ამას უცდიდა, შიმშილი ფარ-ხმალს დააყრევინებს გაჯიქებულ ქართველებსო.

ალყაში მოქცეულ ქალებს დარდით გული გახეთქვაზე ჰქონდათ. რაც დრო გადიოდა, უფრო უჭირდათ. გაძლება ჭირდა, მაგრამ ითმენდნენ, იცოდნენ, თავისუფლების დაკარგვა შიმშილზე უარესი რომ იყო. რწმენა ასულდგმულებდათ, ღვთისა და გარეთ დარჩენილების იმედი ჰქონდათ. გაუსაძლისი და სულისშემძვრელი იყო ეს ლოდინი. შიშითა და შეშფოთებით ელოდნენ საიდუმლოებით მოცული ყოველი დღის გათენებას.

ბავშვები თვინიერი თვალებით, იმედით შესცქეროდნენ მათზე არანაკლებ გასავათებულ ქალებს. ეკლესიის შიგნით, კუთხეში, ქვის სკამზე ჩამომჯდარ ბერიკაცს ჯვარი ჩაეხუტებინა გულში და თავისიანების სულის გადასარჩენად ღმერთს ევედრებოდა. მუხლგადაყვლეფილ და შიმშილით ილაჯგამოცლილ პატარა ბიჭს ცრემლით ბანდა ტკივილს შეწუხებული დედაბერი.

—ბებო, პური!.. — წაიჩურჩულა ბიჭმა და დედაბერი თითქოს გაქვავდა, გული შეეკუმშა, ენა ვერ დაძრა. ბავშვი მიხვდა, უთქმელად იგრძნო, რომ ბებოს ნამცეციც აღარ ჰქონდა და თავადაც შეეცოდა მოხუცი.

— უფალი დიდია, არ გაგვწირავს...

— თქვა ისე, როგორც დიდებისგან გაეგონა და ნაღვლიანად მიიხედა გვერდზე. თავსაბურიანი ქალი დაბნეული, შიშჩამდგარი თვალებით შესცქეროდა.

„რა ლამაზია, — გაიფიქრა ბიჭმა, — შეუძლია გალავანს იქით გაიპაროს და შიმშილს დააღწიოს თავი... ისეთი მშვენიერია, მის ცოლობაზე შაჰიც კი არ იტყვის უარს, მაგრამ..." და ბიჭმა თავისთვის, უხმოდ ჩაილაპარაკა, ისევ ისე, როგორც თავისიანებისგან გაეგონა: „მამა-პაპის ანდერძს ასრულებს, თავის მიწისა და ნამუსის ერთგულთა ანდერძს". უეცრად თვალი შეასწრო, რომ ქალმა კაბის უბიდან მალულად რაღაც ამოიღო, ხელისგულებში მოიქცია, პარვით პირთან მიიტანა და ტუჩები ააცმაცუნა.

— პური?! — წამოიძახა ბიჭმა თითქმის ჩურჩულით და თვალები გაუფართოვდა. ქალმა გაიგონა და გაწითლდა. ლუკმა ყელში გაეჩხირა. მართლაც ერთი ლუკმა იყო. ცარიელი ხელები ძირს დაუშვა და სახე მიაბრუნა. ბავშვის მიჩერებულ თვალებს გაექცა.

ბიჭი მოიბუზა და თავი ბებოს მუხლებზე ჩამოდო.

მოულოდნელად ალყაში მოქცეულთა დაზაფრულ დუმილში, დაჭრილთა კვნესასა და ბავშვების ტირილში სიმღერა გაისმა. ვიღაც კოლხი ჭაბუკი მღეროდა. ჯერ ჩუმად, ნაღვლიანად, მერე ნელ-ნელა ხმას აუწია. შიგ სიამაყე, იმედი ჩააქსოვა, გმირობის სადიდებელი დააგუგუნა. თალებქვეშ სამშობლოსათვის თავდადებულთა საგალობელი დაირხა.

აგუგუნდა ტაძარი. სიმღერა გალიიდან გაფრენილი ჩიტივით გაიჭრა გარეთ. ქვედა ციხეს შემოუფრინა, მერე მთის წვერზე — შიდა ციხეზეც აიჭრა და მთელს გალავანს შემოუარა, ციხის ქონგურებზეც შეინავარდა.

— ჰე, ჰე, ჰეი! — ომახიანი ბანი მისცეს სიმღერით გულმოცემულმა სათოფურებთან მდგარმა გუშაგებმა. კაცს თუ ქალს, დიდსა თუ პატარას ძარღვებში გამოღვიძებულმა სისხლმა დაუარა. წელში გაიმართნენ, სევდაშემოწოლილებს შუბლი გაეხსნათ და სახეზე ათინათმა გადაურბინათ. გულში იმედი შეუფრთხიალდათ და თავადაც ამღერდნენ. გონებაში ათასგვარი სურათები დაუტრიალდათ. მშვიდობიანი დღეები გაახსენდათ. ზოგს — სატრფო, მეზობელ სოფელ-სათემში რომ ცხოვრობდა, ზოგსაც მეგობარი... და ვინ იცის, კიდევ ვინ... თავსაბურიანი ქალიც უსმენდა სიმღერას, დარდს წაელო. იმერეთში მოყვრებთან სტუმრად წასული ქმარი გაახსენდა. მისი უნახაობა გულს უწვავდა.

უცებ სუსტი კვნესა ჩაესმა. ფიქრის ძაფი გაუწყდა. მოიხედა. დედაბრის ბიჭი ნაიარევ მუხლს დასცქეროდა და ზედ თითებს ფრთხილად ისვამდა.

— ძალიან გტკივა?! — ჰკითხა ქალმა.

ბიჭმა გატანჯული თვალები შეანათა და ნაღვლიანად გაუღიმა.

— ჰო, თან შია ამ საცოდავს! — ბიჭის მაგივრად გაეპასუხა დედაბერი. — ერთი ნამცეციც არა დარჩა. მე კი საქმაოდ ვიცოცხლე... ბოლო ცოდო...

„ალბათ ამანაც შემასწრო თვალი წელან, ის ერთი ლუკმა რომ შევჭამე მალულად. მა-ლუ-ლად." — დამარცვლა ფიქრებში თავსაბური-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანმა ქალმა და ისევ გაწითლდა. ის ქადის ნატეხი მონაზონმა მოუტანა: ფეხმძიმედ ხარ და გამომართვი, დიდა-მონკა, აიღე, — დაიძახა. ქალმა მხარზე ხელის შეხება იგრძნო და შეკრთა:

— ჰა... შენა ხარ. პატარა ბიჭო?

პატარა ბიჭი სულ ახლოს მოჩოჩებულიყო და მავედრებელი თვალებით შესცქეროდა.

„ალბათ ჰგონია, კიდევ მაქვს"... — გული შეეკუმშა დიდა-მონკას. შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა და ხელები გაასავსავა. ბავშვი ნაფიქრს მიუხვდა და უხმოდ გაეცალა. ისევ ბერიასთან მივიდა და თავისაბურიან ქალს აწყლიანებული თვალებით მოხედა.

უცბად დიდა-მონკას მკერდსქვემოთ ჯერ არმოვლენილი პაწაწა აუფართხალდა, ფეხუცები გაიქნია და... ქალს ერთბაშად მოეჩვენა, რომ ის პაწაწა სხეულიდან გადმოსულიყო. ახლა მის წინ იჯდა და... ტკივილისა და შიმშილისაგან ცახცახებდა.

— ვაიმე, შვილო, რა ვქნა. რით გიშველო, — უთხრა პატარა ბიჭს დიდა-მონკამ, მიმოიხედა, იქნებ სასწაულად ვინმეს ერთი ლუკმა პური აღმოაჩნდესო. კედელთან თხილის პწკალებით წმინდად მოწნული და პირებმოგვირისტებული ცარიელი კალათა შეამჩნია. კალათამ გალავანს იქით, მდინარის გაყოლებით წვრილ ტყეში მდგარი შაქარვაშლა გაახსენა. რამდენჯერ ჩამოუკრეფია მისი ტოტებიდან ვარდისფერი ვაშლები. გუშინაც გაახსენდა. მაგრამ ციხეგალავანი მტრის ჯარით იყო გარშემორტყმული და იქით ნაბიჯის გადადგმა კი არა და, ამაზე ფიქრიც კი საზარი იყო. ახლა კი ისევ აუწრიალდა შაქარა ვაშლზე ფიქრი. ბიჭის შეშფოთებული თვალებით თითქოს უკვე ამქვეყნად მოვლენილი თავისი პატარა შემოსცქეროდა. ეს სევდიანი თვალები გულს უფორიაქებდა და ზარავდა. ნამალევად გადაყლაპული ლუკმა თითქოს ყელზე ედგა და ახრჩობდა. ეს იყო სულისშემძვრელი, სირცხვილის მსგავსი რაღაც, დაუძლეველი, მამა-პაპიდან დანათლული სიბრალული უმწეო ბავშვისადმი. ქალს უნდოდა, მისულიყო პატარა ბიჭთან და მოფერებოდა. წამოიწია... სწორედ ამ დროს თითქოს ვილაცამ ჩასძახა, კალათა აიღე და წადიო.

— ჰო, წავალ, — გასცა პასუხი და იმწამსვე თოფნაკრავივით შეხტა. გარეთ სიკვდილზე უარესია ჩასაფრებული — ტყვეობა. მასთან შედარებით, ახლანდელი სინამდვილე არარაობად ჩანდა. არადა, დიდა-მონკას ბიჭის თვალები არ ასვენებდნენ. ქალი მზად იყო, ცეცხლწაკიდებულივით ეყვირა, ყველასთვის გაეგებინებინა თავისი ფიქრი. შეაჩერებდნენ და არ გაუშვებდნენ.



— ვაი, დედიკო! — შეუერთდა სიმღერის ექოს ბიჭის ხმა და დიდა-მონკა ისევ შეკრთა, ისევ მოეჩვენა, რომ მისი პაწია მოვლენილიყო ამქვეყნად და ახლა, მუხლში დაჭრილი კვნესოდა, შიმშილით ილეოდა და შველას თხოვდა.

—წადი, რაღას უცდი?! — ჩასძახა ისევ ვილაცამ დიდა-მონკას, — ის ვაშლი ჩამოკრიფე... ღმერთი შეგეწევა...

ქალმა ნაბიჯი გადადგა... კალათას დასწვდა... თავისი გადაწყვეტილებით უკან დასახევი გზა მოიჭრა და ერთბაშად თავის სულს შვება მისცა. თითქოს შიშიც გაუქრა. მხრებში გაიშალა და ეკლესიიდან ჩუმად გავიდა. ეზო ფრთხილად გაიარა. პირი კედლისკენ ჰქნა. გალავანში ძეძვით დაფარული საიდუმლო ხვრელი ეგულებოდა და იქით გაეშურა. ეკლებიანი ტოტები მისწი-მოსწია, და, როგორც იქნა, გალავნიდან გავიდა. აქ კი შეჩქვიფდა. გულმა გუგუნი დაუწყო. შიშით მიმოიხედა. არავინ ჩანდა, ოდნავ დამშვიდდა. ფიქრის დრო აღარ რჩებოდა. სწრაფად უნდა წასულიყო და სწრაფადვე დაბრუნებულიყო.

მიხვეულ-მოხვეულ ბილიკს დაადგა. გზამ მდინარისკენ გაუხვია. ისის იყო, წვრილიანში უნდა შესულიყო, რომ უკანიდან ფაჩუნი შემოესმა. შეკრთა, სწრაფად შემოტრიალდა და დამფრთხალმა მიმოიხედა. არავინ ჩანდა. მომეჩვენაო, — გაიფიქრა და გზა განაგრძო, მაგრამ უცებ ხეს ამოფარებული კაცი დალანდა. საფრთხე იგრძნო, შიშმა გათანგა.

„მტერია თუ მოყვარე?" — ესღა გაიფიქრა.

კაცი ხეს მოსცილდა და გზაზე გამოვიდა.

სპარსელი იყო. ქლაქწვერა. ბრგე ტანისა. ჩაცმულობაზე ეტყობოდა, ასისთავი უნდა ყოფილიყო. ქალისთვის შორიდან მოეკრა თვალი და ქინმორეული მალულად უკან ასდევნებოდა.

ქალი რომ შემოტრიალდა. მისმა მშვენიერებამ ისე მოხიბლა. ადგილიდან დაძვრა ველარ მოახერხა. გაშტერებული შესცქეროდა.

თავზარდაცემულმა დიდა-მონკამ არ იცოდა, რა ექნა. საით გაქცეულიყო. ბილიკის თავში სპარსელი იდგა, ბილიკის ბოლოში ადიდებული მდინარე გაწოლილიყო.

— რა ლამაზი ხარ?! — ღუღუნა ხმით, კოლხურად დაელაპარაკა ალელვებული კაცი. — ამბობენ, ეგრისელები მზის შვილები არიანო, ამიტომაც მზესავით მწველ სხივებს აფრქვევენ შენი თვალები.

კაცმა ჯიბიდან ლარადე,ზურმუხტის მძივების აცმული ამოაცოცა და ქალს გაუწოდა:

—პირველ ცოლად დაგისვამ, დედოფლობას გიბოძებ!

დიდა-მონკამ უკან დაიწია. ძვირფას საჩუქარს ზედაც არ შეხედა. უარის ნიშნად ხელები გაასავსავა, სწრაფად შეტრიალდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მდინარისკენ გაიქცა.

კაცი დაედევნა, ფეხდაფეხ მიჰყვა გავეშებული, და ის იყო, ხელი უნდა ჩაევლო, რომ ანაზდად ფეხი ქვას წამოჰკრა და წაბორძიკდა. ამასობაში დევნილმა უკვე მდინარის ნაპირს მიაღწია, ტეხურას გახედა და წამით შედგა. შიშმა დაზაფრა, მიხვდა, ადიდებულ მდინარეს ვერ გასცურავდა. სასოწარკვეთილმა ვედრებით ზეცას ახედა და შეჰღაღადა:

— ღმერთო, ვიღუპები... ჩემი პაწაწაც მიკვდება, შემინდე! — ესლა მოასწრო; დრო აღარ იყო, მდევრის მოახლოება იგრძნო და გავეშებულ მდინარეში შეაბიჯა. ტალღები მუქარით აიყალყნენ. ჰაერში ქალის გულისგამგმირავი შეკივლება გაისმა. მდინარე თითქოს შეჩერდა. განწირულის ქრუოლისმომგვრელი ხმა ზეცას ასწვდა. იელვა, თითქოს ცეცხლი დაენთო ცაზე. თვალისმომჭრელი შუქით დაიფარა ყველაფერი. უცებ მოხდა სასწაული. ტეხურის ნაპირებმა პირი შეიკრა. მდინარემ შეიწყალა მტრისაგან დევნილი ფეხმძიმე ქალი, შეიწყალა და გზა მისცა. დიდა-მონკა წყალგაღმა გავიდა.

— გადარჩა! — სიხარულისგან შეჩქაფუნდა პატარა ტალღა.

ნაპირზე ბულულა ყვავილს სიხარულისგან ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა და გაღობდა.



## ყველაზე... ყველაზე..., ყველაზე...

● შინაურ ძაღლებს შორის ყველაზე მძიმეა სენბერნარი. ცნობილი უდიდესი ეგზემპლარი 5 წლის ასაკში 140,6 კგ-ს იწონიდა, სიმაღლე კი ჯიდაოში 99 სმ-ს აღწევდა.

● კატის 330 ჯიშიდან ყველაზე დიდია რეგდოლი. ხვადის წონა 6-9 კგ-ს აღწევს. შინაური ხვადის საშუალო წონა 2,8 კგ და ძუ კატისა — 2,45 კილოგრამია. შინაური კატებიდან ყველაზე მძიმე იყო ზოლიანი ხვადი. მეტსახელად ხიმი, რომელიც 1986 წელს 10 წლისა და 4 თვის ასაკში მოკვდა, იგი ამ დროს 21,3 კგ-ს იწონიდა.

● თაგვების ჭერის ყველაზე დიდი ოსტატი იყო ჭრელი კატა, მეტსახელად ტაუზერი. თავისი სიცოცხლის განმავლობაში მან 28889 თაგვი დაიჭირა, რაც დღეში საშუალოდ 3 თაგვს შეადგენს.

● ერთმა ნიუ-იორკელმა ქალმა 1981 წელს ყველაზე დიდი მემკვიდრეობა დაუტოვა თავის პუდელს — 15 მილიონი დოლარი.

# თანამედროვე რიტმები

ეს საინტერესო მუსიკალური ჯგუფი, ალბათ, ერთ-ერთი „ხანდაზმულთაგანია" მსოფლიოს როკკოლექტივებს შორის და — ყველაზე შეუპოვარიც. მისი შემადგენლობა ბევრჯერ შეცვლილა, გასაჭირიც ბევრი მოსდგომია კარს, „ბენეზისი" კი კვალავაც განაგრძობდა სიცოცხლეს და, მაშასადამე, შემოქმედებით ძიებასაც.

ჯგუფის ისტორია 1968 წელს დაიწყო, როცა ჩარტერჰაუზის, ინგლისის ამ დახურული პრივილეგირებული სკოლის ხუთმა კურსდამთავრებულმა — ბენქსმა, გაბრიელმა, რეზერფორდმა, სტიუარტმა და ფილიპსმა — გაერთიანება და პოპანსამბლის შექმნა გადაწყვიტა. ახალგაზრდებმა „გენეზისი" დაირქვეს, პირველი ფირფიტაც ჩაწერეს და აღიარების მოლოდინში ახალ-ახალი გეგმების დაწყობას შეუდგნენ. მაგრამ მათი პირველივე ნაბიჯი წარუმატებელი აღმოჩნდა, „გენეზისის" შესრულებაში პირველ რიგში მიმბაძველობა დაინახეს და ფირჩამწერმა ფირმა „დეკამ" აღარ ისურვა ამ ჯგუფთან კონტრაქტის გაგრძელება.

არც მეორე ფირფიტას მოუტანია წარმატება, მაგრამ მასში, თუმცა კი ბუნდოვნად, მაგრამ მაინც გა-

## ხ ა ო

სოფელ ციხესულორში, სკოლასთან ახლოს ცხოვრობდნენ კირილე ბაბუა და ნინა ბებია. ორი ქალიშვილი ჰყავდათ, ორივე ქალაქში იყო გათხოვილი.

პატარა სახლი ედგათ მოხუცებს. საკმაოდ მოზრდილი ეზოს ჭიშკართან გვიმრიანი და ოწინარიანი ჭა იყო. ჭიშკარსა და სახლს ბილიკი აერთებდა. მოლიან ეზოში მრავლად იდგა ტყემალი, მსხალი, ალუჩა, კარალიოკი, ლეღვები. სახლის უკანა ეზოს სიმინდის ყანა, სარებზე შემოხვეული ლობიო, მიწაზე გველებივით გაქლაკნილი კვახის ღეროები ამშვენებდა. გვერდით კი, მაღალი ხეჭეჭურის ძირში, ღვინით სავსე ჭურები სტუმ-



# „გენეზისი“

მოიკვეთა „გენეზისის“ შემოქმედებითი ხელწერა. ბალადური ხასიათის დინამიკურ მუსიკაში უხვად იყო გამოყენებული სითბოთი, სინათლითა და ნატიფი ლირიულობით სავსე ინგლისური ფოლკლორი. სწორედ ამის წყალობით მიიქცია „გენეზისმა“ ყურადღება. მერე კი, როცა ჯგუფში ფილ კოლინზი (დასარტყამი საკრავები) და სტივ ბაკეტი (გიტარა) მოვიდნენ, „გენეზისს“ აღმავლობის ხანა დაუდგა. მისი შესრულების სტილს „სიმფონიური როკი“ უწოდეს. თანდათან იცვლებოდა სიმღერების ტექსტებიც. უკან დარჩა პირველი სიმღერების ზღაპრული სიმბოლიკა, ახალგაზრდა მუსიკოსები ახლა ცხოვრებისეულ რეალობაზე ესაუბრებოდნენ მსმენელებს. 1972 წელს გამოვიდა „გენეზისის“ ალბომი „ფოქსტროტი“, რომლის ცენტრალური სუიტა იყო „ვახშამი მზადაა“. ეს არის მოთხრობა ქრისტეს მეორედ მოსვლაზე. მასში ჯგუფის წევრები გონებამახვილურად დასცინოდნენ ინგლისში , დაწყებულ რელიგიურ-მისტიკურ ბუმს. დიდი წარმატება მოუტანეს ჯგუფს „ინგლისის გირვანქებად გაყიდვამ“, (1978) და „კრავის შეწირვამ ბროდვეიზე“ (1974). ეს უკანასკნელი როკ-ოპერაა, რომელშიც ბურჟუაზიული ქალაქის ღრმა სოციალური წინააღმდეგობებია გაშიშვლებული. და აი, სწორედ ამ აღმავლობისა და მსოფლიო აღიარების დღეებში მიატოვა „გენეზისი“ პიტერ გაბრიელმა, რომელმაც იმით ახსნა თავისი გადაწყვეტილება, რომ არ უნდოდა კოლეგებისათვის თავისი გემოვნება მოეხვია თავს და მათი ინდივიდუალობა ჩაეხშო. ასე იყო თუ ისე, ჯგუფს წამყვანი მუსიკოსი გამოაკლდა და კრიტიკა „გენეზისის“ დაშლაზე ალაპარაკდა. მაგრამ ასე არ მოხდა. მიკროფონთან ფილ კოლინზმა გადმოინაცვლა და ანსამბლის მიერ ჩაწერილი ახალი ალბომი „ტრიუკი კუდით“ წლის საუკეთესო ფირფიტად იქნა აღიარებული. ფილ კოლინზს მანამდეც და მერეც დაჟინებით იწვევდნენ სხვადასხვა ჯგუფებში, მაგრამ „შეუპოვარი კალის მედოლე,“ როგორც მას ჟურნალისტებმა უწოდეს, კვლავაც „გენეზისში“ რჩებოდა და დიდად უწყობდა ხელს მის ახალ-ახალ წარმატებებს. კოლინზმა შემოქმედებაში დაამკვიდრა ახალი მუსიკა, რომელსაც საფუძვლად ჯაზის, როკისა და კლასიკური სონატის ფორმის სინთეზი დაუდო.

1977 წელს ჯგუფიდან წავიდა ჯიმ ბაკეტი და სიმებიანი პარტიების შესრულება მაიკ რეზერფორდმა იდო თავს... თავის საკონცერტო გამოსვლებში „გენეზისმა“ მედოლე ჩესტერ ტომპსონი და გიტარისტი დარილ სტერშერიც ჩართო. ასე რომ, ახლა სტუდიაში ტრიო მუშაობდა, გამოსვლით კი კვინტეტი გამოდიოდა. ასეა დღესაც. „გენეზისი“ უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. მის წევრებს კვლავინდებურად აქეთ-იქით ეწევიან, შესაძლოა, რომელიმე მათგანმა მართლაც სხვა მუსიკალური ჯგუფი ირჩიოს, ფილ კოლინზი კი, როგორც მან საჯაროდ განაცხადა, ბოლომდე მისი ერთგული დარჩება.

რებს ელოდებოდნენ. მეორე მხარეს ბოსელი და საქათმე იყო.

დილით ადრე, როგორც კი მამალი დაიყივლებდა და ბოსლიდან ძროხის ბღავილი შემოესმებოდა, კირილე ბაბუა ზმორებით გამოდიოდა სახლიდან.

ერთ დღესაც ასე მოიქცა. გამოვიდა გარეთ, გაიზმორა, სამზადში შევიდა, ცივი მჭადი და ყველი შეჭამა, მერე კი ბოსლიდან ლიპიანი ძროხა გამოიყვანა და ჰალის გზას დაადგა.

ორიოდე საათის შემდეგ დაბრუნდა, თოხი აილო და ყანის თოხნას შეუდგა. საღამოს კი ისევ ჰალისკენ გაეშურა ძროხის წამოსაყვანად. ძროხა ადგილზე არ დაუხვდა, პალო აეგლიჯა და გაუჩინარებულიყო. მიწას პალოს ჩანასობილა აჩნდა. შეშფოთდა მოხუცი, კარგა ხანს ეძება ძროხა და ბოლოს მიაგნო — ბალახის ძიძგნა-ძიძგნით მდინარემდე ჩასულიყო.

კირილე ბაბუამ თოკს ხელი დაავლო და ძროხა შინ წამოიყვანა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ძროხა ბოსლიდან გამოვარდა, ეზო ძუნძულით გადაირბინა, გზაზე გავიდა და ჰალისკენ დაალირა თავი.

გულგახეთქილი კირილე ბაბუა ძროხას გამოედევნა. ეს რომ ნონა ბებიამ დაინახა, თავადაც გამოუდგა ორთავეს.

ძროხას ჰალაზელა წამოეწივნენ. კუნელის ბუჩქთან იდგა და მიწაზე გართხმულ, ჯერ კიდევ სველ ბოჩოლას ლოკავდა.

მოხუცებმა ერთმანეთს გადახედეს. უცებ ნონა ბებიამ წამოიძახა:

— უიმე, ბეჩა, რამ გადამავიწყა, მაკედ არ იყო?! ა, აგერ მოუგია ხბო და თურმე ამიტომ გამორბოდა!



კირილე ბაბუამ ბოჩოლა აიყვანა, მკერდზე მიიკრა და შინისაკენ გამოსწია. თავდახრილი ძროხაც უკან მიჰყვა.

ლადიკა სულაბერიძე,
თბილისი, 85-ე სკოლა, XI კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკამი ბაღში

ნინო ლონდარიძე
მხატვარი
თინა კრაწაშვილი

მუზეუმის უშველებელ ოთახში ჩუქურთმებით მორთული ავეჯი გამოეფინათ... ოთახის შორეულ კუთხეში კი ერთი უბრალო, მოყამული ფერის სკამი იდგა. აბა, ვინ შეამჩნევდა ასეთ სკამს? იდგა და მოწიწებით შეჰყურებდა ჩუქურთმიან თანამოძმეებს. გულის სიღრმეში შენატროდა მათ.

ერთხელ მუზეუმში მოხუცი კაცი შევიდა. კაცმა უხმოდ მოიარა ოთახი, ყველაფერი დაათვალიერა, მერე კი, დაღლილმა, იქვე, ერთ-ერთ ჩუქურთმიან სკამზე დაჯდომა დააპირა.



— რას ჩადიხარ?! ჩვენი მხოლოდ ცქერა შეიძლება! — აღშფოთდნენ ჩუქურთმიანი სკამები.

მოხუცი დაიბნა, აღარ იცოდა, რა ექნა. უმწეოდ მიიხედ-მოიხედა და, საბედნიეროდ, შორეულ კუთხეში უბრალო სკამს მოჰკრა თვალი. მივიდა, ჩამოჯდა და შვებით ამოისუნთქა...

— როგორც იქნა, სტუმარი მეღირსა! — გაიხარა სკამმა.

როცა მოხუცმა სული მოითქვა და თავისი გზით წავიდა, მოხდა საოცარი რამ... ის ჩვეულებრივი სკამი ნაირ-ნაირი ფერებით შეიმოსა!

მოხუცი, თურმე, კეთილი ჯადოქარი ყოფილა!

ახლა კი ყველამ შენიშნა ფერადი სკამი, აიღეს და გარეთ ბაღში, ვარდის ბუჩქთან დადგეს... სკამმა ცას

# მთვარე

უხსოვარ დროში ცაზე თურმე ორი მზე კაშკაშებდა. ამიტომაც დედამიწაზე ისე უხვად იღვრებოდა სინათლე, რომ არასდროს ღამდებოდა... ადამიანებიც მუდამ კარგ გუნებაზე იყვნენ, არასოდეს იძინებდნენ და ხალისით საქმიანობდნენ...

ეს ამბავი ერთ ავზნიან კაცს არ ახარებდა მხოლოდ. სულ იმის ოცნებაში იყო, ოდესმე ორივე მზე ჩამ-



ქრალიყო და სიბნელე დასადგურებულიყო ირგვლივ...

და აი, ერთხელაც მზეებს ასძახა:

— ეი, თქვენ, მანდ რომ კაშკაშებთ, ვითომ მართლაც მზეები იყოთ... ნეტავ, რა თავი მოგაქვთ?! ყველამ ვიცით, რომ ერთი უბრალო, ბრჭყვიალა ჭაღები ხართ და მეტი არაფერი!

მზეებმა არაფერი უპასუხეს, მხოლოდ თავისთვის ჩაეღიმათ...

მას შემდეგ კაცი მუდამდღე უმეორებდა ამ სიტყვებს სხივების-

# მეოცნებე

ერთხელ მეოცნებე კაცს უჩვეულოდ კარგ გუნებაზე გამოეღვიძა. მის პატარა ოთახში, აივნის ღია კარიდან უხვად იღვრებოდა მზის სითბო, ამწვანებული ხეების სურნელი და ჩიტების ჭიკჭიკი... მეოცნებემ იგრძნო, როგორ მოეძალა უთვალავი კეთილი ფიქრი... სიხარულისგან თავბრუდასხმული აივანზე გავიდა, ხელები გაშალა და გამვლელ-გამომვლელს ჩასძახა: რომ იცოდეთ, რა უხვად მაქვს დღეს ყოველი და რა სავსე ვარ წყალობით, თქვენც ჩემთან ერთად იზეიმებდითო!



მის სიტყვებს ორმა ბოროტმა კაცმა მოჰკრა ყური. იფიქრეს, ამ კაცს უთუოდ უთვალავი ოქრო-ვერცხლი უშოვიაო, აღარ დააყოვნეს, მიუცვივდნენ, გაკოჭეს და ოქრო-ვერცხლის ძებნაში ყველაფერი გადააქოთეს, თავდაყირა დააყენეს. მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ვერ იპოვნეს, რასაც ეძებდნენ. ბოლოს კბილების ღრჭიალით ეძგერნენ მეოცნებეს: ახლავე მოგვეცი ის განძი, რამაც ასე გაგაბედნიეროო!

— სიამოვნებით! — მიუგო ღიმილით მეოცნებემ. — გვერდით დამიჯექით და ის კეთილი ფიქრები, ამ დღემ რომ მიწყალობა, სამივემ თანაბრად გავინაწილოთო!

ბოროტმა კაცებმა იფიქრეს, გიჟიაო, და იქაურობას გაეცალნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აჰედა. ხეები შეათვალიერა, მიმოიხედა და სიხარულით გაიფიქრა: ჩუქურთმები არა მაქვს, მაგრამ დალლილი კაცი მაინც მე მომაშურებსო.

---

მფრქვეველ მნათობებს.

ერთ მშვენიერ დღესაც, როცა კაცმა ჩვეულებისამებრ ასძახა მზეებს, ჰალები ხართო, ერთ-ერთმა მათგანმა თავისთვის გაიფიქრა, ვინ იცის, იქნებ მართლა არა ვარ მზეო?!..

ამის გაფიქრება და მისი ელვარების ჩაქრობა ერთი იყო...

მზე, რომელსაც ეჭვი შეეპარა საკუთარ ძალაში, მთვარედ იქცა!

---

მეოცნებეებმ კი მზერა გააყოლა მათ. შეებრალა ადამიანები, რომელთაც მხოლოდ თვალებით ცქერა შეეძლოთ, ნათელი გრძნობებით მოგვრილი ბედნიერების განცდის უნარი კი არ გააჩნდათ.



ალბათ ბევრ თქვენგანს უნახავს ქართული მხატვრული ფილმი „ჯვარცმული კუნძული“..

ეს იყო 1945 წლის აპრილში. ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე აჯანყდა ტყვე ქართველთა ბატალიონი კაპიტან შალვა ლოლაძის მეთაურობით. რვაასმა აჯანყებულმა გერმანელთა 3.500-იანი გარნიზონი გაანადგურა და კუნძული გაათავისუფლა. გერმანიის სარდლობამ ტექსელზე მძიმედ შეიარაღებული მესამე დესანტი გადასხა. ამასობაში დადგა მაისიც. დამთავრდა ომი, კუნძულ ტექსელზე კი კვლავ მიმდინარეობდა სისხლისმღვრელი ბრძოლები. ომისშემდგომი პერიოდის ცხარე ბრძოლებში კიდევ დაიღუპა 200-მდე ქართველი, განმათავისუფლებელთა შესუსტებულ ბატალიონს კი გერმანელთა დესანტის ძლიერი შემოტევის მოგერიება სულ უფრო უჭირდა. გადარჩენა მხოლოდ სასწაულს შეეძლო. მიუხედავად ამისა, ტექსელის საშინელებებს 228 ქართველმა გამოაღწია და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ისინი უმთავრესად გადარჩნენ კუნძულის ადგილობრივი მოსახლეობის თავგანწირვით. დიახ, ჰოლანდიელები საფრთხეში აგდებდნენ თავიანთ სიცოცხლეს, რომ ტყეში გაჭრილი ქართველი მეომრები გადაერჩინათ. ამ მორალურ და ფიზიკურ მხარდაჭერას შეეწირა 117 ჰოლანდიელი. ქართველთათვის დახმარების გაწევისათვის ისინი გერმანელებმა საჯაროდ დახვრიტეს. მაგრამ ამ სამაგალითო დასჯამ ვერავინ შეაშინა. კუნძულის მცხოვრებნი ისევ თავიანთ მხსნელთა გვერდით იდგნენ, მტრის სისასტიკეს არ ეპუებოდნენ. კორნელია ფონ ბერნბერგი კი ერთ-ერთი იყო, ვინც უცხო მიწაზე მებრძოლ ქართველებს დედურ სითბოს და შემწეობას არ აკლებდა. ქართველთა გადასარჩენად იგი საფრთხეში აგდებდა საკუთარ შვილებსაც. აგზავნიდა მათ ტყეში მათთან საჭმლის მისატანად. საკუთარ სახლში მალავდა დაჭრილ ქართველ მეომრებს. ამ გზით მან 25 ქართველი გამოსტაცა უეჭველ სიკვდილს.

ქალაქი ზღვების

# კორნელია ფონ ბარნბერგის ცხოვრებიდან

დედა კორნელია — ასე ეძახდნენ მას ქართველი მეომრები. ამ სახელით დაიმახსოვრა იგი სრულიად საქართველომ, ამ ათიოდე წლის წინათ მისი ჩამობრძანება ჩვენში ქართველთათვის ნამდვილ ზეიმად იქცა...

მაგრამ ყველაზე საოცარია ის, რაც მეუღლისა და შვილების უდროოდ დაღუპვით არაერთგზის გამწარებულმა ამ ქალმა სიკვდილის წინ დაიბარა: ჩემი სხეული დაწვით და ფერფლი ქართველების საფლავებზე მოაბნიეთო... ანდერძი, რაღა თქმა უნდა, დიდი პატივისცემით შესრულდა. ჩვენ კი, ქართველებს, ზნეობრივი სილამაზისა და დიდი პატრიოტული მადლიერების მაგალითად დაგვრჩა ამ უბრალო ჰოლანდიელი ქალის საქციელი. ამგვარი დამოკიდებულება საქართველოსადმი დღესაც ეტყობა ჰოლანდიელთა განწყობილებებს. ისინი თვლიან, რომ ქართველთა აჯანყება ტექსელზე ის უმთავრესი მუხტი იყო, რამაც მათი ქვეყნის გათავისუფლება დააჩქარა. კუნძულის მთავარ ქალაქ დენბურგში დღესაც არის ქართველთა სახელობის ქუჩა. კუნძულელთა ერთ-ერთი საამაყო ადგილია ქართველთა სასაფლაო — აქ 565 საფლავზე 565 ვარდის ბუჩქია დარგული. ამჟამად სასაფლაოს ცნობილი მწერლისა და კინორეჟისორის რ. თაბუკაშვილის თაოსნობით გაკეთებული ქართული ჭიშკარი ამშვენებს. გერმანელთაგან დახვრეტილი იმ 117 ჰოლანდიელის საფლავზე კი, უკვე რამდენიმე წელია, აღმართულია ქართველ ხელოვანთა ხელით გამოძერწილი „სიცოცხლის ხე“ — ჰოლანდიის შვილებისადმი ქართველთა მადლიერების თავისებური გამოხატულება.

# ადელის დაბრუნება



ნიკოლაი შმელიოვი

მხატვარი გ. ფოცხიშვილი

— აქ? — იკითხა ბორისმა, როცა, ბოლოს და ბოლოს, ხშირ ბალახში ჩამალული მომცრო ბორცვი დაინახა.

— დიახ, — დაუმოწმა ვერა არსენტიევნამ.

— როდის მოხდა ეს ამბავი?

— გაზაფხულზე, მაისში. ახალგადმოსულნი ვიყავით. ბორის, მე არაფერში ვარ დამნაშავე. მაშინვე გამოვუძახე ვეტერინარს, დიდხანს და გულმოდგინედ ეწვალა, მაგრამ ვერაფერი უშველა. იცი, როგორ განვიცადე? ბედია — სახლშიაც რომ არავინ იყო?

— დეპეშა გამოგეგზავნა, დეიდა ვერა, აუცილებლად ჩამოვიდოდი.

— რა ვიცი, შვილო, სულ მივლინებაში ხარ ხოლმე, სად უნდა მეძებნე? ისე, ხანდახან მოხუცი დეიდა რომ ინახულო, კი არაფერი დაგიშავდება. ზაფხული მიილია, ჩვენ კი, აგერ ზამთრიდან მოყოლებული, არ გვინახავს ერთმანეთი.

ისინი მარტონი იყვნენ ბაღში. აქ ყველაფერი ბავშვობიდანვე ნაცნობი იყო ბორისისათვის: იგივე ძველიანი სახლი, ბაღი, რაღაცნაირი ყვითელი ბურთულები, შემოდგომით რომ მთელ კედელზე გაიბარდნებოდნენ, და ელექტრომატარებლების ბორბლების რაკარუკში ტკბილად ჩაძინება. დეიდა მართალია — მთელი ნათესაობა აქ მხოლოდ მისი დაბადების დღეს იკრიბებოდა, სხვა დროს მის სანახავად ჩამოსასვლელად ვერ იცლიდნენ. რას იზამ, ყველას თავისი საქმე აქვს...

— როგორ გგონია, დეიდა, დამნაშავე ვარ?

— აბა რა გითხრა, ბორის, შენ უკეთ იცი. არ გეგონოს, დეიდასთან ცუდად ცხოვრობდაო. საბოლოოდ შემეჩვია და შემიყვარა კიდეც, მაგრამ შენ ბოლომდე ვერ დაგივიწყა.

ერთხელ ბორისმა ოთხი თვის ლეკვი იყიდა, ძალზე ლამაზი: თეთრი მხვართი ტანი, რაღაცნაირი კეთილი გამომეტყველება, მაყვალივით მოელვარე შავი თვალები, აცქვეტილი ყურები და მოკვეცილი კუდი ჰქონდა. ამაყად და კეკლუცად დაჰყვებოდა პატრონს, გამვლელები მისი სილამაზით ტკბებოდნენ.

რატომ იყიდა მაშინ ადელი ბორისმა? ოცდაექვსი წლის მარტოხელა ყმაწვილი იყო, პერსპექტიული ჟურნალისტი, სამსახურით კმაყოფილი. ბევრი მეგობარი ჰყავდა, დროსაც კარგად ატარებდა. ცალკე, კეთილმოწყობილ ბინაში ცხოვრობდა. მისი მთავარი გატაცება წიგნი იყო. როგორ უყვარდა საღამოობით, შუქფარის მყუდრო შუქზე, სავარძელში ჩაფლულს წიგნების კითხვა... ერთხელ, სწორედ ერთ-ერთი მწერლის მოთხრობის წაკითხვის შემდეგ, ძაღლის შეძენის სურვილი დაებადა. ადელმა თითქოს შეავსო მის ცხოვრებაში არსებული სიცარიელე. ოთახში შესვლისთანავე ღუმელის წინ გაფენილ ნოხზე მოკალათდა და ოჯახში რიტას გამოჩენამდე იქ ეძინა.

ადელი სწრაფად იზრდებოდა და მალე იქცა ლონიერ, მკერდგანიერ ძაღლად, მაგრამ ხასიათით ძალზე მიამიტი დარჩა. ბორისს თავიდან სწყინდა კიდეც ძაღლის ასეთი სიკეთე: ყველას უყოყმანოდ აგებებდა თათს, სიხარულისგან იგრიხებოდა და პირში ფლოსტგაჩრილი ოთახში დახტოდა.

„ერთხელ დაუღრინე ან დაუყეფე მაინც, რა იცი, რომ ჩემი მეგობარია. იქნებ მტერია, ჰა?" — საყვედურობდა, როცა ძაღლი ცდილობდა, სტუმრის შიშისაგან შეშლილ სახეს მისწვდომოდა ძლიერი თათებით და ალისფერი ენით. ის მხოლოდ მაშინ იღრინებოდა, როცა პატრონთან ერთად თამაშობდა და ხალიჩაზე გორაობდა, ანდა სეირნობისას გადაგდებულ ჯოხს ბორისი პირიდან რომ გლეჯდა ხოლმე.

მაგრამ ერთხელ... ერთხელ ისინი სახლიდან მოშორებით სეირნობდნენ. საკმაოდ ციოდა. ის იყო, შინ დაბრუნება დააპირეს, ქუჩაში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ადელი ლასლასით მისდევდა პატრონს. საბელი არ ეკეთა. მარჯვნივ გრძელი ფიცრული ღობე იყო. უცბად ვიღაცამ ორი ფიცარი გასწია და რაღაც ტომარა გამოათრია ქუჩაზე. ზურგზე მოიგდო და ჩქარი ქურდული ნაბიჯით გასწია. ბორისმა განძრევაც ვერ მოასწრო, რომ ადელი ზურგზე შეახტა კაცს. ქურდმა ერთი კი ამოიკვნესა და ტომრიანად გაგორდა. თათებგაფარჩხული და კბილებდაკრეჭილი ადელი ავად იღრინებოდა. ბორისი მივარდა, კისერზე საბელი შეაბა და მამაკაცს შეხედა. ასეთი შეშინებული თვალები პირველად იხილა...

„სულელო, რას აკეთებ, რა გინდოდა ამ კაცისგან?" — გაუჯავრდა, როცა შინ დაბრუნდნენ. ადელი, როცა დამნაშავე იყო, ჩვეულებრივ, თითქოს იხრავდა და თათს უწვდიდა შესარიგებლად. ამჯერად კი თათი არ გაუწვდია. ის კი არა, თავიც კი მიაბრუნა.

მეორედ, როცა ადელი ბუჩქებში ნავარდობდა, ბორისი ორმა ბოშა ქალმა შეაჩერა. რაღაცას ექაქანებოდნენ თუ სთავაზობდნენ და ნაბიჯის გადადგმის საშუალებას არ აძლევდნენ. ბორისმა აღარ იცოდა, როგორ მოეშორებინა თავიდან ეს ყაყანა ქალები, რომ უეცრად ადელი გამოჩნდა, მათ ზურგს უკან მიწაზე დაწვა და დაიღრინა. ბოშა ქალები გაქვავდნენ, მერე უკან-უკან დაიხიეს და შიშით გულგახეთქილები გაეცალნენ იქაურობას.

ამ ორი შემთხვევის გარდა სხვა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლო წარმატებები ადელს არ მოუპოვებია.

ბორისი მალე მიხვდა, რომ ადელი, უბრალოდ, ძალზე ჭკვიანი ძაღლი იყო, იგი ტყუილად და უმიზეზოდ არავის ერჩოდა. მართლაც, რატომ უნდა დაეღრინა ოჯახში შემოსული კაცისათვის? მასპინძელი მას უღიმის, ხელს ართმევს, ორივენი მეგობრულად საუბრობენ, მაშასადამე, იქნება ყიყინა, თამაში, სიმხიარულე და ცხოვრება ისევ საინტერესო და სახალისო გახდება, პატრონიც საწერ მაგიდას მოსცილდება. მას სულაც არ აინტერესებს, მე რომ მოწყენილი ვარ. თუ ეს მისი ძველი მეგობარია, მაშინ შეიძლება თავის ჩადება მის კალთაში, ის კი თავზე ხელს გადამისვამს და ყურისძირებს დამფხანს...

ან კიდევ, შეიძლება პატრონის დეიდა მოვიდეს; გამასეირნებს, მაჭმევს, ძალიან სასიამოვნო ქალია, მაგრამ რაღაცნაირად თავი უკანკალებს და გულმავიწყობა სჭირს.

ხანდახან, როცა პატრონი ავადაა, ექიმი ეწვევა. ექიმს სუნი ასდის. ეს იმდენად არასასიამოვნოა, რომ როცა მომიახლოვდება, ცხვირს ვაცემინებ და ვახველებ, რის გამოც ის სასაცილოდ კრთის ხოლმე. საერთოდ, ეს ექიმი ყველაფერს არასწორად აკეთებს, რაღაც ქაღალდებს წერს, ყურებში რაღაც მილებს იწყობს და არ იცის, რომ ყველაფერი ზედმეტია. უბრალოდ, საჭიროა თვალდახუჭული პატრონის საწოლთან მისვლა და მის ბალიშზე თავის დადება. იგი თვალს გაახელს, აუცილებლად გაიღიმებს და ეტყვის: „წადი ახლა შენს ადგილზე, მე ჯერ სიკვდილს არ ვაპირებ...“

ადელი რიტასაც შინაურულად შეხვდა. ჯერ გასახდელში ჩანთა წაართვა და ოთახები მოარბენინა, მერე მთელი საღამო მის ფეხებთან იწვა, ბოლოს კი სამზარეულოში გავიდა და დილამდე იქიდან არ გამოსულა.

ეჰ, რაღა მის პატრონს შეხვდა ეს ქალი! რიტას თითქოს უყვარდა ბორისი, მაგრამ აუტანელი ხასიათი ჰქონდა. ყოველდღე ჩხუბობდნენ. მას არ მოსწონდა, რომ ბორისი მშვიდი ხასიათისა იყო, ცდილობდა კამათში გამოეწვია.

„ვერ ვიტან, რომ ყველაფერი გეხერხება, ყველაფრით კმაყოფილი ხარ, არავის აწყენინებ. მატყუარა ხარ, ეგოისტი!“ — ამბობდა იგი.

ნუთუ ეს ქალი უყვარდა ბორისს? ალბათ უყვარდა, თორემ ამ ჯოჯოხეთს ოთხი წლის განმავლობაში ვერ გაუძლებდა. იგი ცდილობდა რიტას მორჯულებას, მაგრამ ამაოდ! ადელი მათი ურთიერთობის პირველი მსხვერპლი გახდა. როცა რიტა საბოლოოდ დასახლდა მათ ოჯახში, ადელი ცდილობდა, საერთო გამონახა მასთან. მაგრამ მალე მიხვდა, რომ ეს ამაო ცდა იყო. ძაღლმა მოიწყინა და კუთხეებში დამალვაც კი დაიწყო. ქუჩაშიც აღარ დახტოდა, აღარც საბლის მოშორებას ცდილობდა, მორჩილად მისდევდა მათ. არა, რიტას იგი არ მტრობდა, არ უღრენდა, უბრალოდ, აღარ ამჩნევდა და სულ სამზარეულოში იძინებდა.



ალბათ, სწორედ ამ გულგრილობას გამოჰყავდა რიტა მწყობრიდან. რაღაც ბოროტი კმაყოფილებით აჩვენებდა ბორისს ძაღლის თათების სველ ნაკვალევს იატაკზე, სასოწარკვეთილი გამომეტყველებით აალიდა ხოლმე მის ბეწვს ნოხსა თუ ფარდას. ადელის ბურთს ფეხით მოისროდა ტახტქვეშ. როგორ ცდილობდა ბორისი რიტას დაშოშმინებას, ემუდარებოდა, ამისთანებს შეშვებოდა, მაგრამ ქალი ჯიუტად იდგა თავისაზე.

და ერთხელ ადელმა ყველაფრისათვის აზღვევინა სამაგიერო. რიტას ძვირფასი ფერადი შალი ჰქონდა, ძალიან ამაყობდა ამ შალით. ჩვეულებრივ, სავარძლის ზურგზე ჰქონდა გადაფარებული... მოგვიანებით რიტა ამტკიცებდა, რომ იმ დღეს ძაღლი არ გაუბრაზებია. მთელ საღამოს ადელი შინ მარტო იყო. როცა პატრონები ოთახში შემოვიდნენ, კარებშივე გაშეშდნენ: ადელი შემოსასვლელში იჯდა და ნაკუწ-ნაკუწ გლეჯდა შალს. რიტამ სახეზე ხელები აიფარა, ბორისმა კი დაუფიქრებლად ჩამოიღო ქამარი და ზურგზე გადაჰკრა ძაღლს. ადელმა დაიწკმუტუნა, სამზარეულოში გავარდა და მაგიდის ქვეშ შეძვრა. კაცმა იგი გამოათრია და ქანცის გაცლამდე ურტყა, შემდეგ კი მუცელში ამოჰკრა წიხლი.

„ღმერთო, წიხლი მაინც არ ამოეკრა. მაშინ ასე მტკივნეული არ იქნებოდა ამის გახსენება“. ძაღლს გვერდები უთრთოდა ცემისაგან, იგი არ ეწინააღმდეგებოდა, მხოლოდ თავის ჩარგვას ცდილობდა თათებში. როცა დაღლილმა ბორისმა ქამარი დააგდო, ადელი მიხოხდა მასთან და თავი ასწია. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე...

რიტას არც უჩხუბია, არც უყვირია... მხოლოდ ეს თქვა, მორჩა და გათავდა, ან ეს ძაღლი, ან მეო და მშვიდად შევიდა საბაზანოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორისს მთელი ღამე არ უძინია, სიგარეტს აბოლებდა, ძაღლს ეფერებოდა. დილით კი დეიდა ვერას დაურეკა და ძაღლის წაყვანა სთხოვა. დეიდა ვერა მარტო ცხოვრობდა, ქურდების ეშინოდა და ძაღლის ყოლა უნდოდა. შინიდან საღამოს გავიდნენ. ადელს არაფრით არ უნდოდა წასვლა, ასფალტზე ჯდებოდა, უკან იხედებოდა. თავს იქნევდა, ცდილობდა ხელიდან დასხლტომოდა პატრონს. ბორისმა თითქმის მიათრია დეიდა ვერას სახლამდე.

თავიდან თითქოს გულზე მოეშვა: ადელი საიმედო ადგილასაა, ახლა სასიამოვნო რამეებზე ფიქრიც შეიძლება...

მაგრამ მერე... როგორღაც ერთი აზრი აეკვიატა და მოსვენება დაკარგვინა. ეს აზრი ტვინს უხვრეტდა და სწორედ მაშინ უჩნდებოდა, როცა თავისთავითა და სამყაროთი კმაყოფილი იყო. „ბორის, შენ პირუტყვი ხარ... რისთვის, რატომ გააგდე? უკეთესად გეპყრობოდა ვინმე?" განსაკუთრებით აუტანელი ხდებოდა დეიდა ვერასთან სტუმრობა: მივიდოდა თუ არა, ადელი აღარ შორდებოდა, ხელებს ულოკავდა, ხოლო როცა პალტოს იცვამდა, ძაღლი საშინლად ღელავდა, ხტებოდა და საკიდიდან საბელის ჩამოღებას ცდილობდა, დღეს მაინც წამიყვანე სახლშიო.

„მერე რა, — თავს იმშვიდებდა ბორისი, — შევცდი ცხოვრებაში, სხვა რამეში სწორად ვიქცეოდი. ერთადერთი დანაშაული მაქვს... არ მომიკლავს, არ დამიჭრია, მხოლოდ დეიდას მივეცი. მას ძაღლი უყვარს, ეფერება...".

„ვითომ? — ეწინააღმდეგებოდა მეორე, დამცინავი ხმა. — ამბობ, ერთადერთიო? შენი აზრით, ერთი არ არის საკმარისი? ბევრია საჭირო? შენ გგონია, აუცილებლად ვილაცა უნდა მოკლა, რომ არამზადად იგრძნო თავი? სხვა არ ყოფილა, სხვა?"

ახლა აღარც ამაში იყო დარწმუნებული, მით უმეტეს, როცა უკვე 35 წლისაა და ყველაფერს სხვანაირად უყურებს. მაინც, რა უნდოდა ამ ქალს, რატომ იყო ასეთი ბუნებისა, ყველას რომ ემტერებოდა, ყველასთან კინკლაობდა — სახლში, ამხანაგებთან, სამსახურში?..

ერთხელ, როცა ცოლ-ქმარი დასაძინებლად ემზადებოდა, ზარი დაირეკა. კარებში მისი ბავშვობის მეგობარი იდგა. მთვრალი იყო, რაღაცას გაურკვევლად ლუღლუღებდა. ბორისმა შემოიყვანა და გადაწყვიტა ღამე გაეთევინებინა, ასეთ გალეშილს გარეთ ხომ არ გაუშვებდა. ვიდრე კარადიდან თეთრეულს გამოიღებდა, კარის ხმა მოესმა. დერეფანში გამოვარდა. ამხანაგი აღარ ჩანდა. „რა მოხდა?" — იკითხა ბორისმა. „არაფერი, უბრალოდ, მე იგი გავისტუმრე", — მშვიდად უპასუხა ცოლმა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

დილით ადრე ბორისმა ჩემოდანი მოამზადა და რედაქციაში წავიდა. ხანგრძლივი მივლინებით გაემგზავრა. მან იქ სამი თვე დაჰყო. იქიდან რიტასთვის ერთხელაც არ მოუწერია. შინ დაბრუნებულს ის ქალი ბინაში აღარ დახვედრია...

— ბორის, იცი რა... — უცბად შეაწყვეტინა ფიქრები ვერა არსენტიევნამ. — მას ლეკვი დარჩა, ჯერ ერთი წლისაც არაა. ძალიან ჰგავს. მეზობლებს მივეცი, მაგრამ ვერ იტანენ, სიამოვნებით დაუთმობდნენ ვინმეს. მე თვითონ ავიყვანდი. მაგრამ მოხუცი ვარ და როდის რა მომივა, ღმერთმა უწყის...

დიდხანს დუმდა ბორისი. თვალწინ დაუდგა თავისი მშვიდი, მყუდრო ოთახი. თითქოს თანდათან ქრებოდა ტკივილი, ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა.

რაღა უნდოდა! აღარაფერი! აღარავინ! თითქოს იმდენად მომძლავრდა, ისე შეეგუა ცხოვრებას, რომ აღარავინ და აღარაფერი აინტერესებს. აღარც ძაღლი უნდა! არ უნდა! თუმცა...

— ვერა დეიდა, წადი, მომიყვანე ლეკვი...

თარგმ. ნ. ფაღლიაშვილისა






იოდით
ხატვა

ვსინჯოთ, დავხატოთ რამე ლითონზე.

ყველაფერი, რაც ამ ცდისთვისაა აუცილებელი, ეთუოდ სახლში გექნებათ: სანთელი, ფუთიაქის იოდი (სპირტხსნარი, იოდის ნაყენი) და რამე გამოუსადეგარი რკინის ნივთი — ძველი კარის ანჯამა, გაფუჭებული საკეტის გასაღები ან ბოქლომი, რომლის გასაღებიც დაკარგულია.

მოსახატავი ლითონის ზედაპირი აბზინებამდე გააპრიალეთ ზუმფარით. სანთელი აანთეთ და ისე დახარეთ, რომ პარაფინი პრიალა ზედაპირს ეწვეთებოდეს. ნივთი შეათბეთ და პარაფინი თხელ ფენად დაგება. როცა იგი გაგრილდება და გამაგრდება, ნემსით მასზე არხები გაჭერით, ისე, რომ ლითონამდე ჩააღწიოთ. პიპეტით აიღეთ ფუთიაქის იოდი და ნაკაწრებს დააწვეთეთ. რამდენიმე წუთში იოდის ხსნარი გამჭირვალდება, და მაშინ იგი ისევ დააწვეთეთ ნაკაწრებს. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ლითონს პარაფინის ფენა ჩამოაცილეთ და ზედაპირზე დაინახავთ ნათელ [illegible], რომელიც ზუსტად ემთხვევა პარაფინზე გაკეთებულ ნახაზს.

თუ ცდამ წარმატებით ჩაიარა, შეიძლება უფრო სერიოზულ საქმიანობაზე გადავიდეთ — უბრალოდ კი არ გაკაწროთ პარაფინი, არამედ დაწეროთ რამე სიტყვა ან დახატოთ, ვთქვათ, თქვენი სახლის ან ველოსიპედის ქანჩის გასაღები.

რა ხდება? რკინასა და ლითონს შორის მიმდინარეობს რეაქცია. ამის შედეგად წარმოიქმნება მარილი, რკინის იოდიდი. იგი ფხვნილია და ადვილად სცილდება ზედაპირს და იქ, სადაც ნაკაწრები იყო, ლითონში ღრმულები წარმოიქმნება. ასეთ პროცესს ქიმიურ ამოჭმას უწოდებენ.

იოდი არა მარტო რკინასთან, არამედ სპილენძთანაც ურთიერთქმედებს. მაშასადამე, იოდით შეგიძლიათ [illegible] ნივთი, როგორიც სპილენძისა და მისი შენადნობებისაგან, მაგალითად, თითბერისაგან დამზადებული.

# ნორჩ მოჭადრაკეთა კლუბი „ნაკადული"

30 წლის წინათ ლენინის რაიონში, ქალაქის ბავშვთა სახლის სკოლის (დირექტორი ვიქტორ გოგილიძე) ფილიალში, საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა ნორჩ მოჭადრაკეთა კლუბი „ნაკადული". ეს იყო პირველი შემთხვევა ჭადრაკის ისტორიაში.

„ნაკადულმა" ბევრი ნიჭიერი და კარგად მომზადებული მოჭადრაკე შესძინა ქართულ საჭადრაკო ორგანიზაციას: საერთაშორისო დიდოსტატები ნინო გურიელი, ნანა იოსელიანი, ქეთი კახიანი, გენადი ზაიჩიკი (ქართველი ებრაელი), დათო გურგენიძე (საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი საჭადრაკო კომპოზიციაში), ზურაბ აზმაიფარაშვილი (ჯერჯერობით მისი მსგავსი მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის ქართველ ვაჟ მოჭადრაკეთაგან არავის მიუღწევია); ოსტატები მზია წერეთელი, ქეთევან და ნინო მელაშვილები, ცირა მერეკლიშვილი, თამაზ ტაბატაძე, ვარლამ ვეფხოშვილი, კახა შალამბერიძე, აკაკი იაშვილი, რეზო კაკაბაძე, ბექა კვარაცხელია, ზურაბ იგრიაშვილი, გიორგი ხომერიკი, გიორგი მაჭარაშვილი (საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი; ამეცადინებს ქეთი კახიანს), ნატო ბალაშვილი-მესხი (1968 წლის იანვარში 13 წლისამ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა 16 წლამდე გოგონებში, რაც წინათ დიდი იშვიათობა იყო: ქართველ გოგონათაგან ნატო მეხამეა მანანა ტოგონიძისა (1954) და ციური კობაიძის (1967) შემდეგ).

ამჯერად გთავაზობთ 1965 წლის მარტის არდადეგებზე ტალინში გათამაშებულ პარტიას, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ლელოში", მეოთხე-მეხუთე კლასელებისაგან შემდგარმა თბილისის ნორჩ მოჭადრაკეთა კლუბ „ნაკადულის" გუნდმა მწვრთნელ ანგარიშით 12:0 დაამარცხა ტალინის პიონერული ნაკრები, საინტერესოა, ლამაზი მინიატურა მოუგო 10 წლის მესამეთანრიგოსანმა (მეცადინეობის მეოთხე წელი) ზურაბ რუხაძემ 12 წლის მეორეთანრიგოსან ვეინგოლდს (ამჟამად — საერთაშორისო ოსტატი).

**რუხაძე — ვეინგოლდი.** კარო-კანის დაცვა. ტალინი, 1965 წელი. 1. e4 c6 2. d4 d5 3. ed cd 4. კd3 მc6 5. c3 მf6 6. h3 (სისტემა, ნაკლებად რთული განტოტებებით, ბუნებრივია, უფრო შეუძლია იტვირთოს ნორჩმა მესამეთანრიგოსანმა) 6... e5 7. de მ:e5 8. მf3 მ:d3 9. ლ:d3 კe7 10. 0—0 0—0 11. კg5 g6 (ვეინგოლდი თეთრუჯროვანი კუს გააქტიურების მიზნით, რამდენადმე ასუსტებს შავ უჯრებს მეფის ფრთაზე) 12. კh6 კf5 13. ლd4 ეc8 14. ეe1 ლb6 15. მbd2!! (ნორჩი მოჭადრაკე ფერად ოცნებებშია. „შემოქმედებითი ფანტაზიის საფუძველია ოცნება", — ამბობს სოშერსეტ მოემი. ჯერჯერობით კი პაიკის შეწირვის მიღება არ ვარგა: 15... ლ:b2 16. ე:e7!! ლ:a1 17. მფh2 ე:e7 18. ლ:f6+—. შავი უჯრები! ეს ვარიანტი, ორი ხარისხის შეწირვით, თვალნათლივ მეტყველებს ნორჩი მოჭადრაკის ნიჭიერებასა და საჭადრაკო კულტურაზე!) 15... კc5 (ეტყობა, ვეინგოლდმა ალღო ვერ აუღო. ვერ ჩასწვდა რუხაძის ზედმიწევნით ღრმა, ეფექტურ ჩანაფიქრს) 16. ე:e8 ე:e8 17. ლh4 ლ:b2 18. ეb1!!



ეტლის ამ მოულოდნელ შეწირვაშია ჩაქსოვილი თეთრების შესანიშნავი ჩანაფიქრი. შეწირვის მიზანია f5 კუს გატყუება (18... კ:b1 19. ლ:f6 კf8 20. მg5), ახლა შავებს აღარ აქვთ კe6 სვლა. ბრძოლის ბედი გადაწყვეტილია) 20... ეe1 21. მფh2 ეe7 22. კ:f8 (ახლა ყველაფერი ნათელი გახდა. თუ 22... მფ:f8, მაშინ 23. ლh8×) ვეინგოლდი დანებდა.

პატარა ზურიკომ სული ჩაუდგა ხის ფიგურებს. მშვენიერი ფინალური პოზიცია ოცნების რეალიზებაა, უხეშ ძალაზე აზრის, იდეის გამარჯვებაა.

## ქართული საკომპოზიციო სკოლის ფუძემდებელი



41 წლის წინათ ტრაგიკულად დაიღუპა საქართველოში საჭადრაკო კომპოზიციის ფუძემდებელი, მსოფლიოში სახელმოხვეჭილი შემოქმედი ალექსანდრე (ალიო) დობრჯგინიძე (1904-1950). 1928 წელს დაიბეჭდა მისი პირველი საჭადრაკო კომპოზიცია. სულ გამოაქვეყნა 150-ზე მეტი ნაწარმოები, მოიპოვა რამდენიმე პირველი პრიზი საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში.

საყოველთაო აღიარებით, დობრჯგინიძე იყო ერთი იმათგანი, ვინც დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა კავშირში საჭადრაკო კომპოზიციის მხატვრული პრინციპების ჩამოყალიბებასა და დამუშავებაში.

1941 წელს ჟურნალის — «Шахматы в СССР» — მოწინავე სტატიაში აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა საჭადრაკო კომპოზიტორებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს, რომ ა. გულიაევის, ბ. ბარულინის, ა. დობრჯგინიძის, ე. უმნოვის, ლ. ოშინსკის და სხვათა სახელებს საერთაშორისო კონკურსზე მუდამ გამარჯვებულთა შორის ვხვდებით. ამავე ჟურნალის 1938 წლის ერთ-ერთ ნომერში დობრჯგინიძე დასახელებულია საბჭოთა კავშირის რვა წამყვან საჭადრაკო კომპოზიტორს შორის ა. ტროიცკისა და ლ. კუბელის გვერდით, ხოლო სტატიაში „საჭადრაკო ამოცანების კომპოზიცია ოქტომბრის რევოლუციის XX წლისთავისთვის" (1937 წ.) ა. დობრჯგინიძის ამოცანა მიჩნეულია განსაკუთრებულ შემოქმედებით მიღწევად.

განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოსა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი
**შოთა ინწკირველი**

ა. დობრჯგინიძე
I პრიზი, 1936 წ.



შამათი სამ სვლაში

1. მფf7!! de 2. მc4 მფd5 3. მb6× ან 1... fe 2. მf5 მფ:f5 3. g4×.

ამ ამოცანაში ჩეხური სკოლის პრინციპებია დაცული, თა-

# ჩვენი სამზარეულო



## კარტოფილი ცომში

წვრილად დაჭრილი 1,5 კგ კარტოფილი გაამშრალე ხელსახოცით. მოამზადე ცომი შემდეგი წესით: 3 სუფრის კოვზი პურის ფქვილი გათქვიფე ერთ ცალ კვერცხში, დაუმატე 40 გრამი გახეხილი ყველი, დაასხი 0,3 ლიტრა რძე. უნდა მიიღო ნახევრად თხელი ცომი.

ამ ცომში ჩააწყვე დაჭრილი კარტოფილი ისე, რომ ცომის თხელმა ფენამ თითოეული ნაჭერი დაფაროს. შეწვი ცხიმში, წვის დროს პერიოდულად ურიე.

## მურაბიანი ნამცხვარი

500 გრამი კარაქი ასრისე ორ ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილთან ერთად, ნელ-ნელა დაამატე 5 კვერცხის გული, 1 სუფრის კოვზ ძმარში გახსნილი 1 ჩაის კოვზი სოდა, ცოტა მარილი, ვანილი, დააყარე პურის ფქვილი (რამდენიც დასჭირდება), მოზილე მაგარი ცომი, გაყავი სამ (ორ დიდ და ერთ პატარა) ნაწილად და გამოაცხვე ცალ-ცალკე.

ორ ფენას გადაუსვი უკურკო ლოლნაშოს მურაბა და შეაერთე. მესამე ფენა დაფშვენი და ზემოდან მოაყარე. შეგიძლია გამოიყენო უკურკო ალუბლის ან შინდის მურაბებიც.

## ნამცხვარი „ციყვი“

200 გრამი კარაქი და 1 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი ერთმანეთში კარგად აურიე, თითო-თითოდ დაამატე 5 კვერცხი, დაასხი 1 ჭიქა არაჟანი, 1 სუფრის კოვზ ძმარში გახსნილი 1 ჩაის კოვზი სოდა, მარილი, ვანილი, 2,5 ჩაის ჭიქა პურის ფქვილი. ეს ყველაფერი კარგად აურიე. მიღებული მასა დაასხი თუნუქის ფურცელზე და ნელ ცეცხლზე გამოაცხვე. შეგრილების შემდეგ დაჭერი ჩაის ჭიქით. ჩამონაჭრები ისევ შედგი გამოსაცხობად, დასაფშვნელად და ნამცხვარზე მოსაყრელად გამოგადგება.

ჭიქით გამოჭრილი ნაჭრები გაჭერი ჰორიზონტალურად. წაუსვი კრემი ან ვაშლის პიურე, შეაერთე გადანაჭრები ერთმანეთთან და ზემოდანაც იგივე გადაუსვი, მოაყარე დაფშვნილი მასა და შაქრის პუდრა.

**კრემის მომზადება:** 1 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი და სამი სუფრის კოვზი პურის ფქვილი თბილ რძეში გახსენი და ნელ-ნელა ჩაასხი ადუღებულ რძეში, შედგი ცეცხლზე და განუწყვეტელი მორევით ადუღებამდე მიიყვანე, იდუღოს 5-10 წუთი, შეაგრილე, შეაზილე 100 გრამი დარბილებული კარაქი და ცოტა ვანილი.

---

მაში ეკონომიური შამათით (ე. წ. სწორი შამათით) მთავრდება. ორივე ვარიანტში არის მესამე სწორი შამათიც: 1... d[illegible] 2. მh5 მე:e4 3. ლe8×.

ეს ნამდვილი შედევრი საჭადრაკო კომპოზიციის ოქროს ფონდს განეკუთვნება.

ალექსანდრე დობორჯგინიძე იყო ქართველ საჭადრაკო კომპოზიტორთა აღიარებული ლიდერი. იგი სათავეში ედგა საქართველოში საჭადრაკო კომპოზიციის განვითარებას. ამ თავმდაბალმა, უპრეტენზიო, ნათელმა შემოქმედმა აღზარდა კომპოზიტორთა მთელი თაობა. 1947-1948 წლებში მეთაურობდა საქართველოს გუნდს პირველ საკავშირო შეჯიბრებაზე. მისი თაოსნობით საქართველოში ჩატარდა არაერთი მნიშვნელოვანი საკავშირო კონკურსი კომპოზიციაში. ისე რომ, საქართველოში კომპოზიციაში კონკურსების მოწყობის ტრადიციასაც სათავე ალექსანდრე დობორჯგინიძემ დაუდო.

40-იანი წლების მიწურულში დობორჯგინიძე თბილისში ჩამოვიდა (იმჟამად იგი ბორჯომში ცხოვრობდა) საჭადრაკო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. მე დამაინტერესა მისი ერთ-ერთი პარტიის ლამაზმა საშამათო კომბინაციამ. მხედრების დასურათხატებულმა განლაგებამ და ჩავიწერე. ამ დაბოლოების გაცნობა, ვფიქრობ, საინტერესო იქნება ჭადრაკის ნორჩ და არა მარტო ნორჩ მოყვარულთათვის.



დობორჯგინიძე

შექმნილი პოზიცია ცხადად მეტყველებს წინამორბედი ბრძოლის სიმძაფრეზე. ახლა დობორჯგინიძე შეწირვათა ფეიერვერკით აგვირგვინებს ბრძოლას:

1. ლ:h6!! g:h6 2. ეg8! ე:g8 3. მ:f7×.

როგორც ვხედავთ, ალექსანდრე დობორჯგინიძე დიდი დიაპაზონის შემოქმედია, მან რამდენიმე საჭადრაკო ეტიუდიც შეადგინა. ქართული საკომპოზიციო სკოლის ფუძემდებელმა უდიდესი წვლილი შეიტანა მის პოპულარიზაციასა და განვითარებაში. უნიჭიერესი კომპოზიტორისა და დიდი მოღვაწის მდიდარი საჭადრაკო მემკვიდრეობის გარკვეული ნაწილი — შედევრები მსოფლიოს საჭადრაკო კომპოზიციის ოქროს ფონდშია შესული. ზემოთ ჩამოთვლილ საერთაშორისო დოსტატებთან ერთად, ალექსანდრე დობორჯგინიძე საბჭოთა კავშირის საკომპოზიციო სკოლის პიონერია და რაოდენ სავალალოა, რომ ამ ვეებერთელა შემოქმედებისა და ღვაწლის ამსახველი ბროშურაც კი არ არსებობს.

ამოსახსნელად გთავაზობთ რთულ სტრატეგიულ იდეების შერწყმაზე აგებულ ბრწყინვალე ამოცანას.

**ა. დობორჯგინიძე**

I—II პრიზები
პროფკავშირების კლუბის
II საკავშირო კონკურსი,
1940 წ.



შამათი ორ სვლაში.

### სიზარმაცის დღე

კოლუმბიაში დღესასწაულობენ ყავის, ყვავილების, ზღვის, ლუდისა და ეშმაკის დღესაც კი. ახლახან ახალი საზეიმო დღე დააწესეს — სიზარმაცის დღე. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დილიდან საღამომდე არაფერი უნდა აკეთო. უბრალოდ, ჩვენმა დაძაბულმა საუკუნემ ადამიანი იმ ზომამდე მიიყვანა, რომ იგი მუდამ ჩქარობს, ჩქარობს სამსახურში, ესწრაფვის კარიერას, ცხოვრობისეულ სიკეთეს და ველარ იცლის თავის სულიერ სამყაროში ჩასახედად, შემოქმედებითი ფანტაზიის ალმაფრენისათვის. ამიტომ სიზარმაცის დღეს მას შეუძლია იცეკვოს, ხატოს, იფილოსოფოსოს, მოკლედ, გათავისუფლდეს ყოველგვარი ჩვეულებრივი საზრუნავისაგან.

### სურნელოვანი მუზეუმი

უკვე სამასი წელია, საფრანგეთის საპარფიუმერიო ფირმა „ლოტიე" სუნამოებს ამზადებს. მსოფლიოს 60 ქვეყანაში მისი 600 თანამშრომელი მუშაობს. ისინი ზრუნავენ და აგროვებენ მანამდე უცნობ არომატებს. საფრანგეთის ქალაქ გრასში ახლა პარფიუმერიის მუზეუმის გახსნას აპირებენ, სადაც სხვადასხვა ნივთებთან ერთად ფლაკონებიც იქნება ექსპონირებული. მათ შორის — ქერქიდან ძველ ეგვიპტეში დამზადებული შუშები. ყველაზე დიდ ინტერესს მუზეუმის სახურავზე მოწყობილი ბაღი იწვევს, რომლის ხინადარი მცენარეებიც პარფიუმერიაში გამოიყენება.

### მწვანე ფაბრიკა

თითოეული ჩვენგანი სიცოცხლის განმავლობაში საშუალოდ მახალის, ავეჯის, სათამაშოების, აბანოს, ქაღალდის სახით დაახლოებით 200 ხეს იყენებს. ქვანახშირისა და ნავთობის შემდეგ ნედლეულებში მეხამე ადგილი ხეს უჭირავს. მისგან 12 ათასი დასახელების ნივთს ამზადებენ. მაგალითად, 18³ ხის მასალისაგან მზადდება 120 კილოგრამი ქაღალდი. 190 კგ საფეიქრო ცელულოზა. არ უნდა დავივიწყოთ ერთი რამ: „მწვანე ფაბრიკებმა" რომ კვლავაც იმოქმედონ, ტყეს დარგვა უნდა.

### ცოცხალი მეხამრიდი

კარგად მოგეხსენებათ, თუ რა კოლოსალური ენერგია აქვს მეხს. მოდა, მის დარტყმას მტერსაც არ ვუსურვებ. მაგრამ ერთი ამერიკელი მეტყევე, რომელსაც მეხი 7-ჯერ დაეცა, თითქმის უვნებლად გადარჩა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ 1942 წელს მეხმა მას თითის ფრჩხილი გააცალა, 1969 წელს წარბი შეუტრუსა, მომდევნო წელს ბეჭი დაუწვა, 1973 და 1974 წლებში თმა შეუტრუსა, 1976 წელს ფეხი დაუზიანა, 1977-ში კი მეტყევემ გულმკერდისა და მუცლის ხერხემლის დამწვრობა მიიღო. თუ ეს უცნაური ადამიანი ცოცხალია, მას უკვე 8 ან 10 მეხის დარტყმა ექნება გადატანილი.



### მეტი სიცივე — მეტი ბუმბული

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ გედს 25 ათასი ბუმბული აქვს, იხვს — ორჯერ ნაკლები, მგალობელ ფრინველებს — 1500-დან 4000-მდე. საინტერესოა, რომ ერთი და იმავე სახეობის ფრინველს შეიძლება სხვადასხვა რაოდენობის ბუმბული ჰქონდეს. თეთრყელა ბელურას, მაგალითად, ზამთარში 2710 ბუმბული აქვს, ზაფხულში კი — მხოლოდ 1508.

### სპილოც ამას ჰქვია!

ბოლო დროის არქიტექტორთა ფანტაზია გაოცებას იწვევს. გაჩნდა ახალი უცნაური ნაგებობანი.

დასავლეთგერმანულ ქალაქ ჰამში სპილოს ფორმის მრავალსართულიანი შენობა აიგო. მასში ტროპიკული ბაღი და აკვარიუმია მოწყობილი. აქვე სურათებისა და ფოტონამუშევართა გამოფენები ეწყობა. შეიძლება ითქვას, რომ ეს „სპილო" ყველაზე დიდია მსოფლიოში.

### ვარსკვლავიანი ცის ქვეშ

ამერიკელმა და იაპონელმა ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ თუ ადამიანი დაძინებამდე ცაზე ვარსკვლავებსათვალიერებს, მისი ძილი ღრმა და სრულფასოვანია. კოსმოსთან ურთიერთობა მას ყოველდღიური საზრუნავისგან განტვირთავს და დადებითად მოქმედებს სტრესულ სიტუაციებში. ამერიკელმა ინჟინრებმა ძილის გასაუმჯობესებელი აპარატი შექმნეს, რომელსაც „საოჯახო პლანეტარიუმი" დაარქვეს. ლოგინის დაჭერის შემდეგ ჭერსა და კედლებზე ვარსკვლავები აციმციმდებიან, ჩნდება ნისლოვანებები, კაშკაშებს ირმის ნახტომი...

## საინტერესო სიახლენი

### ბიორიტმების მართვა შეიძლება

მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტის შემდეგ ბოსტონელმა (აშშ) მედიკოსებმა დაასკვნეს, რომ ტვინის ერთ-ერთ უბანში კონცენტრირებული ჰორმონი მელატონინი მთავარ როლს ასრულებს ადამიანის ბიორიტმების რეგულირებაში. მელატონინის საფუძველზე დამზადებული პრეპარატი ზრდადო უბრუნებს ორგანიზმს მისთვის ჩვეულ ბიორიტმს. ისე, მაგალითად, სხვა საათის სარტყელში მოხვედრილი ავიამგზავრები, რომელთაც ახალი პრეპარატი მიიღეს, უკეთ იძინებენ და, საერთოდ, უკეთ გრძნობენ თავს, ვიდრე ისინი, რომელთაც ეს პრეპარატი არ მიუღიათ.

### ტემპერატურა მატულობს

აზოტოვანი სასუქების ფართო მოხმარება ხელს უწყობს გლობალურ დათბობას, რადგან აძლიერებს მეთანით მკვებავი ბაქტერიების აქტივობას. ეს ბაქტერიები კი ხელს უწყობენ სითბოს შეკავებას დედამიწის ზედაპირის სიახლოვეს.

### ძველი გაზეთების კლინიკა

ვენის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოქმედებს ძველი გაზეთების ქაღალდის სარესტავრაციო აპარატი. მისი წარმადობა დღეში 2000 საგაზეთო ფურცელია. საქმე ისაა, რომ ალმდგენი სითხით ცალკეულ ფურცლებს კი არა, ერთბაშად მთელ შეკვრას ამუშავებენ.



● აი, მაცივარში დაგროვილი ყინულის სწრაფი გალღობის კიდევ ერთი ხერხი: საყინულეში ცხელი წყლით სავსე სამედიცინო სათბურა მოათავსე. ყინული საკმაოდ სწრაფად გალხვება, თანაც დაზღვეული იქნები საორთქლებლის დაზიანების საშიშროებისაგან.



● ბურთულიანი ავტოკალმის ცარიელი პოლიეთილენის ღერო შეიძლება გახვრეტილი ქაღალდის ფურცლების ასაკინძად გამოიყენო. იგი ფურცლების დასტის სისქის ტოლ ნაჭრებად დაჭერი. ნახვრეტებში ჩასვი და მცირე ხნით ცხელი უთო დაადე ჯერ ერთ, მერე მეორე მხრიდან.



● შეგიძლია სტუმარი ასიამოვნო გაზქურის ბა[illegible]ღუმელში მშვენივრად შემწვარი მწვადით. 1-2 მმ-იანი დიამეტრის მავთულისაგან ჩარჩო გააკეთე და მიმმართველ შვერილებზე დადგი. ჩარჩოზე კი 7 შამფური დაალაგე. ღუმელი ცხიმით რომ არ მოისვაროს, მის ფსკერზე ქვაბი მოათავსე.



● ყველა ხელმარჯვე ოსტატს აქვს და უთუოდ შენც გაქნება წყვილგამტარიანი ელექტროსადენი. ამ სადენის ორად გაკეცილ მომცრო ნაჭერს თავისუფლად შეუძლია დუბელის მაგივრობა გაგიწიოს.



● ზოგჯერ საჭირო ხდება ტელევიზორის კაბელის დაგრძელება-დამოკლება ან მისი შეყვანილობის გადატანა მეორე ტელევიზორზე. ყველაფერი ეს გაგიადვილდება, თუ შენთვის მოხერხებულ ადგილას შტეკერით და ანტენის ბუდით მოწყობილ გასართს მოამაგრებ.



● თუ ონკანს ხრახნკუთხვილი მოეშალა, მისი „სოკოს" ბუდეში საილენძის ან თითბრის 3-4 მმ-იანი დიამეტრის მავთულის შუასადები ჩასვი და ონკანი კიდევ კარგა ხანს მოგემსახურება.



# სარჩევი


მ. ბელაშვილი — მერე რა, რომ ცხენის წელიწადი გასრულდა! (წერილი) . . . გარეკ. 2
ნ. აფხაზავა — იანუსი (მოთხრობა, გაგრძელება) . . . 2
ნ. ხარაზიშვილი — საქართველოს მომავლის სახელით (ნარკვევი) . . . 9
მ. ჩხეტიანი — დავითი და კონსტანტინე (პოემა) . . . 12
ზ. სარჯველაძე — წარწერები (წერილი) . . . 14
იგავები . . . 16
ა. ბურბენიძე — აქა ამბავი უსიერაში სპილოს მონათვლისა (ლექსი) . . . 17
ი. გოგებაშვილი — ბიბლიური ისტორია . . . 18
ა-დან ჰ-მდე (იუმორი) . . . 19
ბ. ტოგონიძე — დიდა-მონკა (მოთხრობა) . . . 20
„გენეზისი" (წერილი) . . . 22
სისი . . . 22
ნ. ლონდარიძე — ზღაპრები . . . 24
მაღალი ზნეობის გაკვეთილი — (წერილი) . . . 25
ნ. შველიოვი — ძელის დაბრუნება (მოთხრობა) . . . 26
სახალისო ქიმია (წერილი) . . . 28
მხედრიონი . . . 29
ჩვენი სამზარეულო . . . 30
ჯადოსნური სარკე; საინტერესო სიახლენი . . . 31
გამოგადგება . . . 32
ცხრაკლიტული . . . გარეკ. 3


გარეკანის 1-ლ გვერდზე — ნახატი გიგი ნონიკაშვილისა


მთავარი რედაქტორის მაგიერ — ნუგზარ აფხაზავა

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ბოცვაძე, მანანა ბელაშვილი, ავთანდილ ბურბენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ ხაშხონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარ-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ბაბულია შელია, ზურაბ ტუმბურიძე, ნინო ხარაზიშვილი.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, კოსტავას ქ. № 14. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-51-51, პ.მგ. მდივნის — 93-97-03, 93-58-05, განყოფილებების — 93-97-99, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 03. 01. 1991 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 04. 04. 1991 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,85. შეკვ. 6. ტირაჟი 30.000 ეგზ.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო"-ს სტამბა.
380096 თბილისი, კოსტავას ქ. № 14

თბილისში მცხოვრებ ავტორებს [illegible] წერილებს არ ვუბრუნებთ

«Накадули» журнал для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.

За главного редактора —
АПХАЗАВА НУГЗАР ЧИЧИКОЕВИЧ

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Костава, 14.
Отпечатано в типографии газетно-журнального издательства Грузии «Самшобло».
Формат 60×90¹/₈, учетно-изд. л. 3, усл. печ. л. 5.85.

Тираж 30.000 экз. Цена 40 коп.

## კროსვორდი

შვეულად: 1. თათარა, ანუ... 2. საგრილებელი; 3. ფულის ერთეული ევროპის ზოგ ქვეყანაში; 4. მეცნიერება ცოცხალი ორგანიზმის აგებულების შესახებ; 6. მარცხი, მწყობრიდან გამოსვლა; 7. სამხედრო წოდება; 9. მთათა სისტემა; 10. ამიერკავკასიის რესპუბლიკა; 14. საქართველოს ძველი სახელწოდება ანტიკურ წყაროებში; 15. ქალაქი ჩინეთში; 18. მიბაძვა, მიმსგავსება; 20. არაპერიოდული ლიტერატურული კრებული; 21. ქართული საესტრადო ანსამბლი; 22. წელიწადის თვე; 26. ნ. დუმბაძის ნაწარმოების პერსონაჟი; 27. ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე.



თარაზულად: 5. სატრფიალო სიმღერა; 7. ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი; 8. გამოჩენილი ქართველი პოეტის სახელი; 10. ევროპის მდინარე; 12. ქართული ხალხური ზღაპარი; 13. მუსულმანი მამაკაცის თავსაბურავი; 16. ბიბლიური პერსონაჟი; 17. ქართული საბავშვო ფილმი; 18. მცირე ფორმის პოეტური ნაწარმოები სოფლის ცხოვრებაზე; 19. ბალტიისპირეთის რესპუბლიკა; 23. საპატრიარქო ტაძარი თბილისში; 24. კონტინენტი; 25. დროშა; 28. ქართული სამეფო გვარი; 29. გეომეტრიული მრავალწახნაგა სხეული; 30. ბოსტნეული მცენარე.

შეადგინა
ლია იორამაშვილმა,
გორი, მე-3 საშ. სკოლა, IX კლ.

## სახალისო ამოცანები

### რამდენი ბატი იყო?

ერთხელ გუნდი ბატებისა
მიფრინავდა ცაში.
გუნდში ბევრი ბატი იყო —
იგრძნობოდა ხმაში.

წინ შემოხვდათ ბატი კენტად,
მოწყენილი ფრენდა...
გაიფიქრა: ასი ბატი
იქნებათ ერთად.

— გამარჯობათ, ასო ბატო! —
გადასძახა უმალ,
მაგრამ ასე უპასუხა
გუნდის მეთაურმა:

—ჩვენ რომ კიდევ დაგვემატოს,
რაც ვართ, იმოდენი,
კიდევ ჩვენი ნახევარი,
ჩვენივ მეოთხედიც,

თანაც შენ რომ ყოფილიყავ
წევრი ჩვენი დასის,
სწორედ მაშინ ვიქნებოდით
სრულყოფილი ასი!

თურმე ბატი ახლაც ფიქრობს—
ხუმრობაა განა?..
დაეხმარეთ, ამოხსენით
მისი ამოცანა.

ნ. კლდიაშვილი

## გამოცანა

არავის მკითხა, მოვიდა,
როგორც კი დაიმარტოვა —
მზე გადაყლაპა სასწრაფოდ
და ვარსკვლავები დატოვა.

ალ. ნამორაძე




## შარადა

დათვის ნაშიერს რაც მქვია,
ჯერ ის მითხარი, ყმაწვილო,
მერე მცენარის ტანია
მორიგ ნაწილად საჭირო,
წინა სიტყვას რომ ჩაურთო
მისი საწყისი მარცვალი,
და აიგება თუ არა,
მყისვე მიხვდები, რაც არი.

შ. ამირანაშვილი

## თ ა ვ ს ა ტ ე ხ ი

თარაზულ
უჯრებში
ჩაწერეთ
„ვეფხის
ტყაოსნის“
პერსონაჟთა
სახელები
ისე,
რომ
ფერად
შვეულ
სვეტში
მიიღოთ
„შოთა
რუსთაველი“.



შეადგინა ტაშისკარის სანატორიული სკოლა-ინტერნატის IX კლ. მოსწავლემ თამარ ვალიშვილმა.

## პასუხი 1991 წლის № 1-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

### კროსვორდი

თარაზულად: 2. პრალა; 4. განგაში; 5. კოკორი; 6. ნობათი; 8. სპორა; 10. კუცია; 12. ბაიკა; 14. სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი; 15. ფაქტი; 16. სატანა; 18. ენგური; 22. ბულვარი; 24. პრიზი; 25. ფლავი; 26. ანექსია; 27. ქრონიკა; 28. სისტემა.

შვეულად: 1. ხაცა გავიქეცი, იქით წავიქეცი; 2. პირამიდა; 3. არაშენდა; 5. კაირო; 7. ირიტი; 8. სახნისი; 9. ამირანი; 10. კორუფცია; 11. აფორიზმი; 12. ბოსტანი; 13. აბრაზია; 17. ტელევიზორი; 19. ულტიმატუმი; 20. რეიგანი; 21. ასფალტი; 22. ბლანკი; 23. იტალია.

### სახალისო ამოცანა

38 და 39.

### შარადები

კაჭაჭი, კაჭკაჭი; ბილეთი, ილეთი; მეხი, რკო, მეხიკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ინდექსი 76157

ფასი 40 კა